



ქვემო კიდურების ქრონიკული ვენური დაავადებების მკურნალობა

სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული გაიდლაინი

დოკუმენტი შექმნილია შემდეგი ორგანიზაციების მხარდაჭერით:

The European Venous Forum (ევროპის ვენური ფორუმი)

The International Union of Angiology (ანგიოლოგთა საერთაშორისო კავშირი)

The Cardiovascular Disease Educational and Research Trust (UK) (კარდიოვასკულური დაავადებების

საგანმანათლებლო და კვლევითი ფონდი (გაერთიანებული სამეფო)

Union Internationale de Phlebologie (ფლებოლოგთა საერთაშორისო კავშირი)

2014

სარედაქციო კომისია

A Nicolaides (თავმჯდომარე), S Kakkos, B Eklof, M Perrin,

O Nelzen, P Neglen, H Partsch, Z Rybak

საგამომცემლო მდივანი

Evi Kalodiki

ავტორები

N Baekgaard (დანია)

G Bates (ბრიტანეთი)

H Bjarnason (დანია)

A Bradbury (ბრიტანეთი)

R Broholm (დანია)

M Cairols (ესპანეთი)

P Carpentier (საფრანგეთი)

S Chastanet (საფრანგეთი)



J Christenson (შვეცარია)

A Comerota (აშშ)

B Eklof (შვედეთი)

T Gasparis (აშშ)

N Georgiou (კვიპროსი)

G Geroulakos (ბრიტანეთი)

A Giannoukas (საბერძნეთი)

A Jawien (პოლონეთი)

S Kakkos (საბერძნეთი)

E Kalodiki (ბრიტანეთი)

T Kцlbel (გერმანია)

N Labropoulos (აშშ)

L Lonn (დანია)

M Lugli (იტალია)

O Maleti (იტალია)

D Milic (სერბეთი)

R Milleret (საფრანგეთი)

G Mosti (იტალია)

P Neglen (კვიპროსი)

O Nelzen (შვედეთი)

S Pappas (კვიპროსი)

A Nicolaidis (კვიპროსი)

H Partsch (ავსტრია)



M Perrin (საფრანგეთი)

A A Ramelet (შვეიცარია)

Z Rybak (პოლონეთი)

E Shaidakov (რუსეთი)

C Wittens (ნიდერლანდები)

სამდივნო

A Taft (ბრიტანეთი), J Sano (ბრიტანეთი), N Georgiou (კვიპროსი)

განცხადება პასუხისმგებლობის შესახებ

მედიცინის განვითარებამ, შემდომში ჩატარებულმა ახალმა კვლევებმა, სათანადო დროისგავლის შემდეგ, შესაძლოა შეცვალონ წინამდებარე დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციები. პუბლიკაციის მომენტისათვის ყველა ღონე იქნა ნახმარი იმისათვის, რომ მოწოდებული ინფორმაცია ყოფილიყო უახლესი და ზუსტი. პაციენტისათვის ოპტიმალური მკურნალობის შერჩევაზე პასუხისმგებელია მისი მკურნალი ექიმი. ავტორები, კომიტეტის წევრები და გამომცემლები არ შეიძლება იყვნენ პასუხისმგებელი რაიმე სამართლებრივ დავაზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას აღნიშნული დოკუმენტის ციტირებისას.

მტკიცებულებათა სარწმუნოების დადგენის წესები

ტრადიციულად, ქრონიკული ვენური დაავადებების მქონე პაციენტების მართვას ექიმები სუბიექტური ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ახდენენ, რაც ხშირად ხდება არაოპტიმალური სტრატეგიის დაგეგმვის მიზეზი. მოცემულ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია სისტემური მიდგომა, რომელიც შემუშავდა



ლიტერატურაში არსებული მტკიცებითი მონაცემების საფუძველზე. მტკიცებულებათა დონე ვარირებს A –დან C-დონემდე, ხოლო რეკომენდაციების სიძლიერე არის 1 ან 2.

A დონის რეკომენდაცია (Grade A) –რეკომენდაცია დაფუძნებულია ერთ ან მეტ მეცნიერულად მნიშვნელოვან რანდომიზებულ კონტროლირებად კვლევაზე ან სისტემურ მიმოხილვაზე, სადაც შედეგები ერთმნიშვნელოვანია და უშუალოდ გამოსადეგია სამიზნე პოპულაციისათვის.

B დონის რეკომენდაცია (Grade B) - რეკომენდაცია დაფუძნებულია რანდომიზებულ კონტროლირებად კვლევაზე, ნაკლებად სარწმუნო შედეგებით, შეზღუდული სიძლიერის ან სხვა მეთოდოლოგიური პრობლემებით, რომლებიც უშუალოდ გამოსადეგია სამიზნე პოპულაციისათვის, ან რანდომიზებულ კონტროლირებად კვლევით, რომელიც ექსტრაპოლირებულია სამიზნე პოპულაციაზე პაციენტების სხვა ჯგუფებიდან.

C დონის რეკომენდაცია (Grade C) – რეკომენდაცია ემყარება სუსტი დიზაინის კვლევებს, ობსერვაციულ კვლევებს ან მცირერიცხოვანი შემთხვევების სერიებს^{1,2}

რეკომენდაცია ძლიერია (1) თუ სარგებელი გადაწონის ან არ გადაწონის რისკებს.

რეკომენდაცია სუსტია (2) თუ სარგებელი და რისკები ახლოსაა ერთმანეთთან ან თუ არ არის ცნობილი სარგებელისა და რისკების სიმძლავრე.

მეტა ანალიზი

მეტა ანალიზების შედეგები მოცემულია ამ დოკუმენტში, თუმცა მათი გამოყენება უნდა მოხდეს ფრთხილად. ზოგიერთი კვლევა შეიძლება ანალიზში ჩართული იყოს გაუფრთხილებლად, მისი არსის გათვალისწინების გარეშე, რელევანტური ცვლადების იგნორირებით, ჰეტეროგენული შედეგების გამოყენებით ან მათი შედეგების არაზუსტი ინტერპრეტაციით. ნაჩვენებია, რომ 12 დიდი რანდომიზებული კონტროლირებული კვლევის გამოსავლები 35%-ში სიზუსტით არ ემთხვეოდა იმავე თემაზე გამოქვეყნებულ მეტაანალიზს.

გამოყენებული შემოკლებები:

bFGF: ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორი

CEN: ევროპის ნორმალიზაციის კომიტეტი [Comite Europeen de Normalisation]



CVDs: ქრონიკული ვენური დარღვევები

CVD: ქრონიკული ვენების დაავადება

DVT: ღრმა ვენის თრომბოზი

EGF: ენდოთელური ზრდის ფაქტორი

EMMPRIN: მატრიქსული მეტალოპროტეინაზების უჯრედგარე ინდუქტორი [ეს ტერმინი გამოყენებულია ერთჯერ]

EVLA: ენდოვენური ლაზერული აბლაცია

GSV: დიდი საჩინო ვენა

ICAM-1: უჯრედშიდა ადჰეზიის მოლეკულა-1

IL-1: ინტერლეიკინ -1

IPC: გარდამავალი პნევმატური კომპრესია

IPV: არაკომპეტენტური პერფორანტული ვენები

IVUS: სისხლძარღვშიდა ულტრაბგერითი გამოკვლევა

LDS: ლიპოდერმატოსკლეროზი

MPFF: მიკრონიზებული გაწმენდილი ფლავონოიდური ფრაქცია`

MMPs: მატრიქსული მეტალოპროტეინაზები

MT1-MMP: მემბრანის ტიპი 1 MMP

MT2-MMP: მემბრანის ტიპი 2 MMP

PDGFR-β: თრომბოციტული ზრდის ფაქტორის ბეტა რეცეპტორი

PE: ფილტვის arteriis ემბოლია

PG: პროსტაგლანდინები

PGE1: პროსტაგლანდინი E1

PGE2: პროსტაგლანდინი E2

პროქსიმალური DVT: DVT მუხლქვეშა ან უფრო პროქსიმალურ ვენებში



QOL: cxovrebis ხარისხი

PTS: პოსტთრომბოტული სინდრომი

RF: რადიოსიხშირე

SEPS: პერფორანტული ვენების სუბფასციალური ენდოსკოპიური ლიგურება

SFj: საფენო-ფემორალური შერთული

SMC: გლუვი კუნთის უჯრედები

SPj: საფენო-პოპლიტეალური სერთული

SSV: მცირე საჩინო ვენა

tcPO2: კანზედა ჟანგბადის დაჭიმულობის განსაზღვრა

TGF-β1: სიმსივნის ზრდის ფაქტორი- β1

TIMPs: მეტალოპროტეინაზების ქსოვილოვანი ინჰიბიტორები

uPA: უროკინაზა პლაზმინოგენის აქტივატორი

VADs: ვენოაქტიური პრეპარატები

VCSS: ვენური დაავადების კლინიკური სიმძიმის სკალა

VEGF: ვასკულური ენდოთელური ზრდის ფაქტორი

VTE: ვენური თრომბოემბოლიზმი

VV: ვარიკოზული ვენები

References

1. Guyatt GH, Cook DJ, Sackett DFL, Eckman M, Pauker S. Grades of recomendacion for antithrombotic agents. Chest Nov 1998;114(5 suppl); 441S-444S.



2. Guyatt G, Gutterman D, Baumann MH, Addrizzo-Harris D, Hylek EM, Phillips B. et al. Grading strength of recommendation and quality of evidence in clinical guidelines: report from an American college of chest physicians task force. Chest 2006;129(1):174-81
3. Bailar JC, 3rd. The practice of meta-analysis. J.Clin Epidemiol. 1995;48(1):149-57
4. LeLorier J, Gregorie G, Benhaddad A, Lapierre J, Derderian F. Discrepancies between meta-analyses and subsequent large randomized, controlled trials. N Engl J Med 1997;337 (8):536-42

თავი 1

შესავალი

ქრონიკული ვენური დარღვევები ეს არის ტერმინი, რომელიც გულისხმობს ვენური სისტემის მორფოლოგიური და ფუნქციონალურ დარღვევას სრულ სპექტრს იმის მიუხედავად იწვევენ ისინი სიმპტომებს თუ არა.

ვენების ქრონიკული დაავადება (CVD) ეს არის ტერმინი, რომელიც მოიცავს ვენური სისტემის ხანგრძლივად მიმდინარე მორფოლოგიურ ან ფუნქციურ დარღვევებს, რომელიც მანიფესტირებულია სიმპტომებით და/ან ნიშნებით, რაც მიუთითებს გამოკვლევის და/ან მკურნალობის საჭიროებაზე.

1. სიმპტომები მოიცავს შემდეგს: ტკივილს, წვის და სიმძიმის შეგრძნებას, კუნთოვან კრუნჩხვებს, კანის ქავილს, დაჭიმულობის, სიმძიმის და დაღლილობის შეგრძნებას ფეხებში, შეშუპებას და მოუსვენარი ფეხების სინდრომს, ვენური წარმოშობის გარდამავალი კოჰლობას და კოსმეტიკურ დეფექტს.

2. ნიშნები მოიცავს შემდეგს: ტელეანგიექტაზიებს, რეტიკულურ და ვარიკოზული ვენებს, შეშუპებას და კანის გამოვლინებებს, როგორცაა პიგმენტაცია, ლიპოდერმატოსკლეროზი, დერმატიტი და წყლული^{2,3}.

CVD -ს ჩვეულებრივ იწვევს ვენის კედლების და/ან სარქველების პირველადი დარღვევები და/ან ღრმა ვენების უკვე არსებული თრომბოზის (DVT) მეორადი დარღვევები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს რეფლუქსი, ობსტრუქცია ან ორივე ერთად. იშვიათ შემთხვევებში CVD შეიძლება გამოიწვიოს თანდაყოლილმა მალფორმაციამ⁴.

ქრონიკული ვენური უკმარისობა (CVI) არის ტერმინი, რომელიც გულისხმობს შორსწასულ ქრონიკულ ვენურ დაღვევას, რომელსაც თან სდევს ვენური სისტემის ფუნქციონალური დარღვევები, რასაც მიყვებათ შეშუპებისაკენ, კანის ცვლილებისაკენ ან ვენური წყლულის ჩამოყალიბებისაკენ. კლინიკური ანამნეზი და გამოკვლევა ყოველთვის ვერ ავლენს გამომწვევი პათოლოგიის ბუნებას და გავრცელებას. შედეგად, შემუშავებული იქნა მრავალი ტექნიკური



სადიაგნოზო მეთოდი რომელიც განსაზღვრავს ობსტრუქციის და/ან რეფლუქსის ანატომიურ გავრცელებასა და დისფუნქციის სიმძიმეს, და ასევე წვივის კუნთების მტუმბავ დისფუნქციას. რთული გადასაწყვეტია რომელი გამოკვლევის მეთოდი უნდა გამოვიყენოთ და როგორ უნდა მოხდეს შედეგების ინტერპრეტაცია. ამიტომ 2000 წელს ჩამოყალიბდა CVD-ს დროს გამოკვლევების გამოყენების შეთანხმებული ინსტრუქცია⁵. 2008 წელს ეს ინსტრუქცია განახლდა, მოხდა მისი განვრცობა და მასში შეტანილი იქნა ასევე CVD-ს მართვის საკითხები⁶. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია წარმოადგინოს CVD-ს თანამედროვე კონცეფციები და მოახდინოს მართვის გაიდლაინების განახლება.

References

1. Eklof B, Perrin M, Delis KT, Rutherford RB, Gloviczki P. Updated terminology of chronic venous disorders: the VEIN-TERM transatlantic interdisciplinary consensus document. *J Vasc Surg* 2009;49(2):498-501.
2. Langer RD, Ho E, Denenberg JO, Fronck A, Allison M, Criqui MH. Relationships between symptoms and venous disease: the San Diego population study. *Arch Intern Med* 2005;165(12):1420-4.
3. Eberhardt RT, Raffetto JD. Chronic venous insufficiency. *Circulation* 2005;111(18) :2398-409.
4. Bergan JJ, Schmid-Schonbein GW, Smith PD, Nicolaides AN, Boisseau MR, Eklof B. Chronic venous disease. *N Engl J Med* 2006;355(5):488-98.
5. Nicolaides AN. Investigation of chronic venous insufficiency: A consensus statement (France, March 5-9,1997). *Circulation* 2000;102(20):E126-63.
6. Nicolaides AN, Allegra C, Bergan J, Bradbury A, Cairols, M, Carpentier P et al. Management of chronic venous disorders of the lower limbs: guidelines according to scientific evidence. *Int Angiol* 2008;27(1):1-59.

თავი 2

პათოფიზიოლოგია



ცვლილებები ზედაპირულ და ღრმა ვენებში

ვენების ქრონიკული დაავადების (CVD) ხშირი გამოვლინებაა ვენების ვარიკოზი. ითვლება, რომ ვარიკოზი არის ვენის კედლის შემაერთებელი ქსოვილის პათოლოგიური წელვადობის შედეგი. ვარიკოზის მქონე პაციენტების ვენები ელასტიურობით განსხვავდებიან იმ ადამიანების ვენებისაგან, რომლებსაც ვარიკოზი არ აქვთ^{1,2}. ადგილი აქვს ვენის კედლის ჰიპერტროფიას კოლაგენის ჭარბი შემცველობით³, ელასტინის ბოჭკოების ფრაგმენტაციას⁴, უჯრედშორისი მატრიქსის დეგრადაციას და აკუმულაციას⁵. ვენების პირველადი ვარიკოზი გამოწვეულია ვენების გაგანიერებით და/ან სარქველების დაზიანებით წინასწარი ღრმა ვენის თრომბოზის (DVT) გარეშე. ვენების მეორადი ვარიკოზი წარმოადგენს DVT-ს ან, უფრო იშვიათად, ზედაპირული ვენის თრომბოზის შედეგს. რეკანალიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს შედარებითი ობსტრუქცია და რეფლუქსი ღრმა, ზედაპირულ ან პერფორანტულ ვენებში⁶. გამოკვლევით დადასტურებული ღრმა ვენების რეფლუქსის მქონე პაციენტთა დაახლოებით 30%-ს, აქვთ სარქველების პირველადი უკმარისობა და არა აშკარა პოსტთრომბოზული დაზიანება^{7,8}. იშვიათ შემთხვევებში ღრმა ვენების რეფლუქსი განპირობებულია სარქველების აგენეზიით ან აპლაზიით⁹. ვენების ვარიკოზი შესაძლოა აგრეთვე გამოწვეული იყოს მენჯის ვენური რეფლუქსით, საჩინო-ფემორალური შერთულის, წვივისა და ბარძაყის პერფორანტული ვენების უკმარისობის არარსებობის პირობებში. საკვერცხის, მენჯის, საშოს, სასირცხო ან დუნდულოს ვენებში რეტროგრადულმა რეფლუქსმა შესაძლოა გამოიწვიოს მენჯის ღრუში ვენური შეგუბების კლინიკური სიმპტომები და ნიშნები¹⁰⁻¹³. პაციენტთა 50%-80%-ში, ღრმა ვენის თრომბოზს რამოდენიმე დღეში ან კვირაში მოსდევს სპონტანური ლიზისი, ხოლო რამოდენიმე თვეში ან წელიწადში ხდება რეკანალიზაცია¹⁴⁻¹⁶. DVT-ს შემდეგ თრომბის სწრაფი დაშლა უფრო ხშირია იმ შემთხვევებში, სადაც სარქველების ფუნქცია შენარჩუნებულია^{14,17}. ამგვარი სწრაფი დაშლა დამოკიდებულია თრომბის ზომაზე, მის ლოკალიზაციაზე, ადგილობრივ ანთეზაზე, ლოკალური ფიბრინოლიზური აგენტების ეფექტურობაზე და პროანთებით მედიატორებზე^{18,19}. DVT-ს შემდეგ არაადეკვატურმა რეკანალიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს უკუდენის ობსტრუქცია. უფრო იშვიათად ობსტრუქციას იწვევს ვენის ექსტრამურული კომპრესია (ყველაზე ხშირია მარცხენა თემოს საერთო ვენის კომპრესია მარჯვენა თემოს საერთო არტერიით), სანათურშიდა ცვლილებები²⁰⁻²³, ხოლო ზოგჯერ კი თანდაყოლილი აგენეზია ან ჰიპოპლაზია²⁴. პოსტთრომბოზული სიმპტომების უმრავლესობა გამოწვეულია ვენური ჰიპერტენზიით, რასაც თავის მხრივ სარქველების არაკომპეტენტურობა, უკუდენის ობსტრუქცია ან ამ ორივეს კომბინაცია იწვევს. ვენური ჰიპერტენზია ზრდის ტრანსმურულ წნევას პოსტკაპილარულ სისხლძარღვებში, რაც იწვევს კანის კაპილარების დაზიანებას და ზრდის მიკროვასკულურ განვლადობას²⁵. ყოველივე ამას მოყვება ლიპოდერმატოსკლეროზი და საბოლოო ჯამში წყლულის წარმოშობა²⁶. DVT-ს შემდგომი



პოსტრომობოზული სინდრომის განვითარება ფართო საზღვრებში მერყეობს (35%-დან 69%-მდე 3 წლის განმავლობაში და 49%-დან 100%-მდე 5-დან 10 წლამდე დროის ფარგლებში) და დამოკიდებულია თრომბოზის გავრცელებაზე, ლოკალიზაციაზე და მკურნალობაზე, მაგრამ ასევე დეფინიციის საკითხებზე²⁷⁻³⁷. იმ პაციენტებს, რომლებსაც აღენიშნებათ ქრონიკული ობსტრუქციის და რეფლუქსის კომბინაცია, კანის ცვლილებები და ვენური წყლული უფრო ხშირად უვითარდებათ ³⁷. იპსილატერალური პოსტრომობოტული სინდრომის რისკი უფრო მაღალია პაციენტებში რეკურენტული თრომბოზით და იგი ხშირად ასოცირებულია მემკვიდრულ ან შეძენილ თრომბოფილიასთან³⁸⁻⁴¹. როგორც ძველმა, ასევე ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კანის პოსტრომობოზული ცვლილებები და/ან წყლულის განვითარება პროქსიმალური DVT-ს მქონე პაციენტებში უფრო იშვიათად ჩნდება (4%-დან 8%-მდე 5 წელიწადში) ადექვატური ანტიკოაგულაციური მკურნალობის, ადრეული მობილიზაციის და ხანგრძლივი კომპრესიული მკურნალობის პირობებში⁴²⁻⁴⁴. კანჭის კუნთების ტუმბოს მექანიკურმა დისფუნქციამ შეიძლება დააჩქაროს წვივზე წყლულის გაჩენა. ეს მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაავადების პროგრესირების თვალსაზრისით ტერფის მოძრაობა⁴⁵ და პაციენტის ფიზიკური აქტივობა⁴⁶.

პერფორანტული ვენების უკმარისობა

არაკომპეტენტური პერფორანტული ვენები (IPV) ეს ის ვენებია, რომლებიც პენეტრირებენ ღრმა ფასციას და უზრუნველყოფენ სისხლის გადმოდინებას ღრმა ვენებიდან ზედაპირულ ვენებში. კანჭის IPV-ში ნაკადი ხშირად ორმხრივია. იგი მოემართება გარეთ კუნთის შეკუმშვისას და მიემართება შიგნით კუნთების მოდუნებისას. ჯანმრთელ ქვედა კიდურებში და პაციენტების უმრავლესობაში ვენების პირველადი გაურთულებელი ვარიკოზით, სუფთა ნაკადი მიემართება შიგნით - ზედაპირულიდან ღრმა ვენებისაკენ (რე-ენტრე პერფორატორები). ეს პირველად იქნა ნაჩვენები 1891 წელს თრენდელენბურგ -ის⁴⁷, ხოლო უფრო ახლო წარსულში კი Bჯორდალ -ის მიერ, რომელმაც გამოიყენა ნაკადის ელექტრომაგნიტური გამზომი ვარჯიშის დროს⁴⁸. ვარჯიშის დროს შიგნით მიმართულ (ინვერტირებულ) ნაკადს ემყარება Pერტჰეს-ის ტესტი. სუფთა ნაკადი ინვერტირებულია ბარძაყის ვენის რეფლუქსის მქონე პაციენტებშიც კი, თუ მუხლქვეშა ვენის სარქველები ნორმალურად ფუნქციონირებს. თუმცა, მუხლქვეშა ვენის სარქველების არაკომპეტენტურობისას (აქსიალური რეფლუქსი), განსაკუთრებით თანხლებული ღრმა ვენის ობსტრუქციისას, ნაკადი უპირატესად გარეთაა მიმართული^{48,49}.

IPV ასოცირებულია ზედაპირული და/ან ღრმა ვენების რეფლუქსთან, და იშვიათად გვხვდება რეფლუქსის გარეშე⁵⁰⁻⁵². IPV-ის გავრცელება, დიამეტრი, ნაკადის მოცულობა და სისწრაფე მით მეტია, რაც მეტია CVD-ს კლინიკური სიმძიმე, იმის მიუხედავად ახლავს თუ არა მას ღრმა ვენების უკმარისობა^{48,53-58}. პაციენტთა დაახლოებით 10%-ს ,



უფრო ხშირად ქალებს აღნიშნებათ CEAP 1-3 კლინიკური კლასის cVD, არასაჩინო ზედაპირული რეფლუქსით, რომელსაც ერთვის უჩვეულოდ განლაგებული არაკომპეტენტური პერფორანტული ვენები⁵⁹

სისხლძარღვთა ბიოლოგია და ვენური კედლის პათოფიზიოლოგია

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვარიკოზული ვენების ელასტიურობა განსხვავდება ნორმალური ვენების ელასტიურობისაგან^{1,2}. ვარიკოზულ ვენებში კოლაგენი I და კოლაგენი II ბოჭკოების თანაფარდობა შეცვლილია. იმავე პაციენტებში ასეთივე შეცვლილი თანაფარდობა აღინიშნება კანის ფიბრობლასტებში, რაც გენეტიკური საფუძვლის მქონე სისტემურ დაავადებაზე მეტყველებს⁶⁰. შრობრივი სტრუქტურის ცვლილებაზე საპასუხოდ ხდება ლეიკოციტების აქტივაცია, ადჰეზია და ენდოთელიუმში მიგრაცია⁶¹⁻⁶³, რაც განაპირობებს ანთებას და ვენური კედლის და სარქველების რემოდელირებას⁶⁴⁻⁶⁷. ჰემოდინამიკური დარტყმის შემცირება ასტიმულირებს აქტივირებული ენდოთელური უჯრედების და გლუვი კუნთის უჯრედების მიერ სიმსივნის ზრდის ფაქტორის- $\beta 1$ (TGF- $\beta 1$) პროდუქციას, რაც აღძრავს SMC მიგრაციას ინტიმაში და შემდგომ პროლიფერაციას. ხდება ფიბრობლასტების პროლიფერაცია და მათ მიერ მატრიქსული მეტალოპროტეინაზების (MMPS) სინთეზი. ეს გადაფარავს მეტალოპროტეინაზების ქსოვილოვანი ინჰიბიტორების (TIMPS) ეფექტს. MMP/TIMP დისბალანსის შედეგად ხდება ელასტინისა და კოლაგენის დეგრადაცია^{62,68,69}. ეს პროცესი სავარაუდოდ პასუხისმგებელია ვარიკოზულ ვენებში ჰიპერტროფიული და ატროფიული სეგმენტების ჩამოყალიბებაზე და სარქველების დესტრუქციაზე. ვენური კედლის რემოდელირება და ვენის არანორმალური წელვადობა განაპირობებს იმას, რომ სარქველის კარედები მჭიდროდ ვერ იხურება და შედეგად ვითარდება რეფლუქსი. CVD-ს ჩამოყალიბებაში შესაძლოა გენეტიკურ ფაქტორებსაც ეკისრებათ როლი. აღწერილია კავშირი ჰემოქრომატოზის გენში (HFE გენე) C282Y პოლიმორფიზმსა და ვენური წყლულის განვითარებას შორის⁷⁰.

მიკროცირკულატორული ცვლილებები, როგორც ვენური ჰიპერტენზიის შედეგი

პარაკლინიკური გამოკვლევის ისეთმა მეთოდებმა, როგორცაა ლაზერული დოპლერი^{71,72}, TcPO₂⁷³, ინტერსტიციული წნევითი კაპილაროსკოპია⁷⁴, მიკროლიმფოგრაფია⁷⁵ და კანის ბიოფსია შესაძლებელი გახადეს CVD მქონე კიდურების კანში მიკროცირკულაციის დარღვევათა შესწავლა. ვენური ჰიპერტენზიის მქონე პაციენტების კაპილარები მნიშვნელოვნად გაფართოებულია, დაგრძელებული და დაკლანკილია, განსაკუთრებით კანის იმ არეებში, სადაც ადგილი აქვს ჰიპერპიგმენტაციას და ლიპოდერმატოსკლეროზს. ეს ცვლილებები ასოცირდება მიკროვასკულური სისხლის ნაკადის მატებასთან დერმაში^{69,78} და მკვებავ კაპილარებში კი ნაკადის შემცირებასთან^{79,80}. ვენური ჰიპერტენზიის მქონე პაციენტების კანში კაპილაროსკოპიით ვცინდება დამახასიათებელი



არშია გაგანიერებული კაპილარების ირგვლივ. ეს ცვლილება გამოწვეულია მიკროშემუშებით, პრეკაპილარული ფიბრინით⁸¹ და სხვა ცილებით, რომლებიც სავარაუდოდ ხელს უშლიან კანის უჯრედების ნორმალურ კვებას, რაც ქმნის ვენური წყლულის გაჩენის პირობებს. მიკროლიმფანგიოპათია^{82,83} და ლეიკოციტების გარეთ მიგრაცია აუარესებს მიკროშემუშებას და ანთებას⁸⁴⁻⁸⁸. მოგვიანებით, კაპილარული თრომბოზები იწვევს კანის მკვებავი კაპილარების რიცხვის შემცირებას და ასევე TcPO₂-ის მნიშვნელობების შემცირებას⁸⁹. ენდოთელიუმის ფუნქციაზე უარყოფით გავლენას ახდენს დილატაცია, ჰიპერვოლემია და მაღალი წნევა. არტერიოლარულ და ვენულარულ მხარეებს შორის წნევის გრადიენტის შემცირება იწვევს სისხლის ნაკადის სისწრაფის შენელებას. კაპილარის სითხით გადატვირთვა ზრდის პროკოაგულაციას და ვაზოაქტიური მედიატორების სეკრეციას^{66,90}. კაპილარულ ტონუსს არეგულირებს სიმპატიკური და პარასიმპატიკური სისტემები. დილატაციის შედეგად პოსტკაპილარული ვენულების ენდოთელური უჯრედების გაწევა იწვევს პრეკაპილარული არტერიოლების შევიწროებას ენდოთელური მედიატორების, ვენო-არტერიოლარული აქსონ-რეფლექსის და მეტაბოლური ინდუქტორების გავლენით^{91,92}. ლოგიკურია დავასკვნათ, რომ პერიფერიულ ნეიროპათიას გარკვეული როლი აკისრია CVI განვითარებაში⁹³.

სტაზური დერმატიტის და დერმული ფიბროზის პათოფიზიოლოგია

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, CVD გამოწვეულია ხანგრძლივი ვენური ჰიპერტენზიით, რომელსაც მიყვავართ ქრონიკულ ანთებამდე. პირველადი დაზიანება არის მაკრომოლეკულების (როგორცაა ფიბრინოგენი და α₂-მაკროგლობულინი) და სისხლის წითელი უჯრედების ექსტრავაზაცია დერმის ინტერსტიციულ სივრცეში^{77,94-96}. სისხლის წითელი უჯრედების დაშლის პროდუქტები და ცილის ინტერსტიციული ექსტრავაზაცია არიან მძლავრი ფაქტორები, რომლებიც წარმოადგენენ ქრონიკული ანთების საწყის სიგნალს და იზიდავენ ლეიკოციტებს. ეს ციტოქიმიური მოვლენები პასუხს აგებენ უჯრედმორისი ადჰეზიის მოლეკულა-1-ის (ICAM-1) გაზრდილ ექსპრესიაზე მიკროცირკულაციაში მონაწილე სისხლძარღვების ენდოთელურ უჯრედებზე. ამგვარი ცვლილებები აღინიშნება CVD მქონე პაციენტების დერმის ბიოპტატებში⁹⁷. ICAM-1 არის აქტივაციაზე დამოკიდებული ადჰეზიის მოლეკულა, რომელიც უტილიზდება მაკროფაგების, ლიმფოციტების და პოხიერი უჯრედების მიერ.



ციტოკინების რეგულაცია და ქსოვილოვანი ფიბროზი

როგორც ზემოთ არის აღნიშნული CVD ხასიათდება ლეიკოციტების მიზიდვით, ქსოვილის რემოდელირებითა და დერმალური ფიბროზით. ეს ფიზიოლოგიური პროცესები არის დაავადების იმ სტადიის პროტოტიპი, რომელიც რეგულირდება სიმსივნის ზრდის ფაქტორის $\beta 1$ (TGF- $\beta 1$) ტრანსფორმირებით. TGF- $\beta 1$ პათოლოგიური ოდენობითაა წარმოდგენილი CVD მქონე პაციენტების დერმაში და მით უფრო მატულობს, რაც უფრო პროგრესირებს დაავადება⁹⁹. TGF- $\beta 1$ სეკრეტირდება ინტერსტიციული ლეიკოციტებით და ებმის დერმის ფიბრობლასტებს და ექსტრაცელულური მატრიქსის ცილებს. CVD მქონე პაციენტებს დერმაში ასევე აღმოჩენილია თრომბოციტული ზრდის ფაქტორის α და β რეცეპტორები (PDGFR- α და PDGFR- β) და ვასკულური ენდოთელიუმის ზრდის ფაქტორი (VEGF)¹⁰⁰. ითვლება, რომ CVD დროს ეს მოლეკულები არეგულირებენ ლეიკოციტების მობილიზაციას, კაპილართა პროლიფერაციას და ინტერსტიციულ შეშუპებას. ისინი ამას აკეთებენ ადჰეზიური მოლეკულების აქტივაციით, რაც იწვევს ლეიკოციტების მობილიზაციას, დიაპედეზს და ქიმიური მედიატორების გამოყოფას.

დერმის ფიბრობლასტების ფუნქცია

აღმოჩენილი იქნა ვენური წყლულების კიდიდან აღებული ფიბრობლასტების აბერანტული ფენოტიპური ქცევა იმ ფიბრობლასტებთან შედარებით, რომლებიც აღებული იყო იმავე პაციენტების იფსილატერალური ბარძაყის ჯანმრთელი კანიდან¹⁰¹. საკონტროლო კანის ფიბრობლასტების მიერ კოლაგენის პროდუცირება გაზრდილია 60%-ით, დოზაზე დამოკიდებულებით, მაშინ როდესაც ვენური წყლულის ფიბრობლასტები არეაქტივებული არიან. წყლულის ფიბრობლასტების არეაქტიულობა ასოცირდება II ტიპის TGF- $\beta 1$ რეცეპტორების ოთხჯერ შემცირებასთან. ეს ასოცირდება TGF- $\beta 1$ რეცეპტორების SMAD 2 და 3 სუბსტრატების, ასევე p42/44 მიტოგენ-აქტივირებადი პროტეინკინაზების ფოსფორილირების შემცირებასთან¹⁰². ასევე ჯანმრთელ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მცირდება კოლაგენისა და ფიბრონექტინის პროდუქცია ვენური წყლულის ფიბრობლასტებიდან [103]. ვენური წყლულის ფიბრობლასტების ზრდის ხარისხი მნიშვნელოვნად ითრგუნება bFGF, EGF და IL-1-ით სტიმულაციისას¹⁰⁴. ზრდის ამგვარი შეფერხება შესაძლოა განეიტრალდეს bFGF-ით¹⁰⁵. CVI მქონე პაციენტებში ფიბრობლასტების პროლიფერაციული პასუხი TGF- $\beta 1$ -ზე მცირდება რაც უფრო მძიმდება დაავადება¹⁰⁶ და ვენური წყლულის ფიბრობლასტები მორფოლოგიურად ემსგავსებიან დაბერებული უჯრედის ფიბრობლასტებს.



მატრიქსული მეტალოპროტეინაზების (MMPs) და მათი ინჰიბიტორების როლი CVD დროს

ვენური წყლულის ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელი სასიგნალო მოვლენები და შეხორცების ნელ პროცესზე პასუხისმგებელი მექანიზმები სათანადოდ შესწავლილ არ არის. ჭრილობის შეხორცება ორგანიზებული პროცესია, რომელიც მოიცავს ანთებას, რე-ეპითელიზაციას, მატრიქსის ჩალაგებას და ქსოვილის რემოდელირებას. მატრიქსის ჩალაგებისა და ქსოვილის რემოდელიზაციის პროცესებს აკონტროლებს მატრიქსული მეტალოპროტეინაზები (MMPs) და მატრიქსული მეტალოპროტეინაზების ქსოვილოვანი ინჰიბიტორები (TIMPs). ზოგადად, MMPs და TIMPs დროებით ინდუცირდება ეგზოგენური სიგნალების საპასუხოდ. ეს სიგნალებია: სხვადასხვაგვარი პროტეაზები, ციტოკინები ან ზრდის ფაქტორები, უჯრედი-მატრიქსი ურთიერთქმედება და უჯრედული ურთიერთკონტაქტი. ჟელატინაზები MMP-2 და MMP-9, და ასევე TIMP-1 შემცველობა უფრო მომატებულია ვენური წყლულის ექსუდატში, ვიდრე მწვავე ჭრილობებში¹⁰⁷⁻¹⁰⁹. მიუხედავად ამისა, ბიოფსიით მიღებული ნიმუშების ანალიზი სხვადასხვა შედეგებს იძლევა. Herouy et al დაადგინეს, რომ MMP-1,2 და TIMP-1 მომატებულია ლიპოდერმატოსკლეროზის დროს ნორმალურ კანთან შედარებით¹¹⁰. შემდგომ კვლევებში, ვენური წყლულის ბიოფსიის ნიმუშებში ნანახი იქნა MMP-2 აქტიური ფორმის უფრო მეტი შემცველობა, ვიდრე ნორმალურ კანში¹¹¹. ამასთანავე, ვენური წყლულის დერმაში და პერივასკულურ რეგიონებში ნანახი იქნა MMP (EMMPRIN)-ის უჯრედგარე ინდუქტორის მიმართ მომატებული მგრძობელობა, ასევე მემბრანული 1 და 2 ტიპის მეტალოპროტეინაზები (MT1-MMP და MT2-MMP) [112]. Saito et al. ვერ გამოავლინეს განსხვავებები MMP-1, 2, 9 და TIMP-1 ცილების შემცველობაში ან აქტივობაში CEAP 2 – 6 კლასის CVD მქონე პაციენტებში ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით. კლინიკური კლასის შიგნით MMP-2 დონე მომატებულია MMP-1-თან შედარებით⁹, ხოლო TIMP-1 პაციენტებში CEAP 4 და 5 კლასის დაავადებით. ეს მონაცემები მოწმობს, რომ CVD მქონე პაციენტებში მიმდინარეობს ქსოვილთა აქტიური რემოდელირება. რომელი მატრიქსული მეტალოპროტეინაზებია ჩართული პროცესში და როგორ ხდება მათი რეგულირება დღესდღეობით უცნობია. როგორც ჩანს, MMP-2 შესაძლოა აქტივირდებოდეს უროკინაზას პლაზმინოგენური აქტივატორით (uPA). Herouy et al. აღმოაჩინეს, რომ ვენურ წყლულში ჯანმრთელ კანთან შედარებით მომატებულია uPA და უროკინაზას ტიპის პლაზმინოგენის აქტივატორის რეცეპტორი (uPAR) mRNA და პროტეინის დონე¹¹⁴ აქტიური TGFβ-1 მომატება CVI მქონე პაციენტების დერმაში მიუთითებს MMP და TIMP სინთეზში TGFβ-1 შესაძლო როლზე, თუმცა ეს საჭიროებს კვლევებით დადასტურებას.

References



1. Zsoter T, Cronin RF. Venous distensibility in patients with varicose veins. *Can Med Assoc J* 1966;94(25):1293-7.
2. Clarke H, Smith SR, Vasdekis SN, Hobbs JT, Nicolaides AN. Role of venous elasticity in the development of varicose veins. *Br J Surg* 1989;76(6):577-80.
3. Travers JP, Brookes CE, Evans J, Baker DM, Kent C, Makin GS et al. Assessment of wall structure and composition of varicose veins with reference to collagen, elastin and smooth muscle content. *Eur J Vasc Endovasc Surg* 1996;11(2):230-7.
4. Wali MA, Eid RA. Changes of elastic and collagen fibers in varicose veins. *Int Angiol* 2002;21(4):337-43.
5. Jacob MP, Badier-Commander C, Fontaine V, Benazzoug Y, Feldman L, Michel JB. Extracellular matrix remodeling in the vascular wall. *Pathol Biol (Paris)* 2001;49(4):326-32.
6. Eberhardt RT, Raffetto JD. Chronic venous insufficiency. *Circulation* 2005;111(18):2398-409.
7. Morano JU, Raju S. Chronic venous insufficiency: assessment with descending venography. *Radiology* 1990;174(2):441-4.
8. Tassiopoulos AK, Golts E, Oh DS, Labropoulos N. Current concepts in chronic venous ulceration. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2000;20(3):227-32.
9. Plate G, Brudin L, Eklof B, Jensen R, Ohlin P. Congenital vein valve aplasia. *World J Surg* 1986;10(6):929-34.
10. Lechter A, Alvarez A, Lopez G. Pelvic varices and gonadal veins. *Phlebology* 1987;2:181-8.
11. Gupta A, McCarthy S. Pelvic varices as a cause for pelvic pain: MRI appearance. *Magn Reson Imaging* 1994;12(4):679-81.
12. Cordts PR, Eclavea A, Buckley PJ, DeMaioribus CA, Cockerill ML, Yeager TD. Pelvic congestion syndrome: early clinical results after transcatheter ovarian vein embolization. *J Vasc Surg* 1998;28(5):862-8.
13. Scultetus AH, Villavicencio JL, Gillespie DL, Kao TC, Rich NM. The pelvic venous syndromes: analysis of our experience with 57 patients. *J Vasc Surg* 2002;36(5):881-8.
14. Killewich LA, Bedford GR, Beach KW, Strandness DE, Jr. Spontaneous lysis of deep venous thrombi: rate and outcome. *J Vasc Surg* 1989;9(1):89-97.
15. Markel A, Manzo RA, Bergelin RO, Strandness DE, Jr. Valvular reflux after deep vein thrombosis: incidence and time of occurrence. *J Vasc Surg* 1992;15(2):377-82; discussion 383-4.
16. O'Shaughnessy AM, Fitzgerald DE. Natural history of proximal deep vein thrombosis assessed by duplex ultrasound. *Int Angiol* 1997;16(1):45-9.



17. Elsharawy M, Elzayat E. Early results of thrombolysis vs anticoagulation in iliofemoral venous thrombosis. A randomised clinical trial. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2002;24(3):209-14.
18. Wakefeld TW, Myers DD, Henke PK. Mechanisms of venous thrombosis and resolution. *Arterioscler Thromb Vasc Biol* 2008;28(3):387-91.
19. van Ramshorst B, van Bemmelen PS, Hoeneveld H, Faber JA, Eikelboom BC. Thrombus regression in deep venous thrombosis. Quantification of spontaneous thrombolysis with duplex scanning. *Circulation* 1992;86(2):414-9.
20. May R, Thurner J. The cause of the predominantly sinistral occurrence of thrombosis of the pelvic veins. *Angiology* 1957;8(5):419-27.
21. Cockett FB, Thomas ML. The iliac compression syndrome. *Br J Surg* 1965;52(10):816-21.
22. Gullmo A. The strain obstruction syndrome of the femoral vein. *Acta Radiol* 1957;47(2):119-37.
23. Neglen P, Thrasher TL, Raju S. Venous outflow obstruction: An underestimated contributor to chronic venous disease. *J Vasc Surg* 2003;38(5):879-85.
24. Gloviczki P, Stanson AW, Stickler GB, Johnson CM, Toomey BJ, Meland NB et al. Klippel-Trenaunay syndrome: the risks and benefits of vascular interventions. *Surgery* 1991;110(3):469-79.
25. Bates DO, Curry FE. Vascular endothelial growth factor increases hydraulic conductivity of isolated perfused microvessels. *Am J Physiol* 1996;271(6 Pt 2):H2520-8.
26. Bollinger A, Leu AJ, Hoffmann U, Franzeck UK. Microvascular changes in venous disease: an update. *Angiology* 1997;48(1):27-32.
27. Lindner DJ, Edwards JM, Phinney ES, Taylor LM, Jr., Porter JM. Long-term hemodynamic and clinical sequelae of lower extremity deep vein thrombosis. *J Vasc Surg* 1986;4(5):436-42.
28. Strandness DE, Jr., Langlois Y, Cramer M, Randlett A, Thiele BL. Long-term sequelae of acute venous thrombosis. *J Am Med Assoc* 1983;250(10):1289-92.
29. Norris CS, Darrow JM. Hemodynamic indicators of postthrombotic sequelae. *Arch Surg* 1986;121(7):765-8.
30. Akesson H, Brudin L, Dahlstrom JA, Eklof B, Ohlin P, Plate G. Venous function assessed during a 5 year period after acute ilio-femoral venous thrombosis treated with anticoagulation. *Eur J Vasc Surg* 1990;4(1):43-8.



31. Heldal M, Seem E, Sandset PM, Abildgaard U. Deep vein thrombosis: a 7-year follow-up study. *J Intern Med* 1993;234(1):71-5.
32. Milne AA, Stonebridge PA, Bradbury AW, Ruckley CV. Venous function and clinical outcome following deep vein thrombosis. *Br J Surg* 1994;81(6):847-9.
33. Milne AA, Ruckley CV. The clinical course of patients following extensive deep venous thrombosis. *Eur J Vasc Surg* 1994;8(1):56-9.
34. Van Ramshorst B, van Bemmelen PS, Hoeneveld H, Eikelboom BC. The development of valvular incompetence after deep vein thrombosis: a follow-up study with duplex scanning. *J Vasc Surg* 1994;19(6):1059-66.
35. van Haarst EP, Liasis N, van Ramshorst B, Moll FL. The development of valvular incompetence after deep vein thrombosis: a 7 year follow-up study with duplex scanning. *Eur J Vasc Endovasc Surg* 1996;12(3):295-9.
36. Labropoulos N, Leon M, Nicolaidis AN, Sowade O, Volteas N, Ortega F et al. Venous reflux in patients with previous deep venous thrombosis: correlation with ulceration and other symptoms. *J Vasc Surg* 1994;20(1):20-6.
37. Johnson BF, Manzo RA, Bergelin RO, Strandness DE, Jr. Relationship between changes in the deep venous system and the development of the postthrombotic syndrome after an acute episode of lower limb deep vein thrombosis: a one- to six-year follow-up. *J Vasc Surg* 1995;21(2):307-12; discussion 313.
38. Prandoni P, Lensing AW, Cogo A, Cuppini S, Villalta S, Carta M et al. The long-term clinical course of acute deep venous thrombosis. *Ann Intern Med* 1996;125(1):1-7.
39. Bradbury AW, MacKenzie RK, Burns P, Fegan C. Thrombophilia and chronic venous ulceration. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2002;24(2):97-104.
40. Mackenzie RK, Ludlam CA, Ruckley CV, Allan PL, Burns P, Bradbury AW. The prevalence of thrombophilia in patients with chronic venous leg ulceration. *J Vasc Surg* 2002;35(4):718-22.
41. Sam RC, Burns PJ, Hobbs SD, Marshall T, Wilmink AB, Silverman SH et al. The prevalence of hyperhomocysteinemia, methylene tetrahydrofolate reductase C677T mutation, and vitamin B12 and folate deficiency in patients with chronic venous insufficiency. *J Vasc Surg* 2003;38(5):904-8.
42. Brandjes DP, Buller HR, Heijboer H, Huisman MV, de Rijk M, Jagt H et al. Randomised trial of effect of compression stockings in patients with symptomatic proximal-vein thrombosis. *Lancet* 1997;349(9054):759-62.
43. Kahn SR. The post thrombotic syndrome. *Thromb Res* 2011;127 Suppl 3:S89-92.



44. Kahn SR, Shrier I, Kearon C. Physical activity in patients with deep venous thrombosis: a systematic review. *Thromb Res* 2008;122(6):763-73.
45. Shiman MI, Pieper B, Templin TN, Birk TJ, Patel AR, Kirsner RS. Venous ulcers: A reappraisal analyzing the effects of neuropathy, muscle involvement, and range of motion upon gait and calf muscle function. *Wound Repair Regen* 2009;17(2):147-52.
46. Davies JA, Bull RH, Farrelly IJ, Wakelin MJ. A homebased exercise programme improves ankle range of motion in long-term venous ulcer patients. *Phlebology* 2007;22(2):86-9.
47. Trendelenburg F. Über die Unterbindung der V. saphena magna bei Unterschenkelvarizen. . *Beitr Klin Chir* 1891;7:195-210.
48. Bjordal R. Simultaneous pressure and flow recordings in varicose veins of the lower extremity. A haemodynamic study of venous dysfunction. *Acta Chir Scand* 1970;136(4):309-17.
49. Al-Mulhim AS, El-Hoseiny H, Al-Mulhim FM, Bayameen O, Sami MM, Abdulaziz K et al. Surgical correction of main stem reflux in the superficial venous system: does it improve the blood flow of incompetent perforating veins? *World J Surg* 2003;27(7):793-6.
50. Darke SG, Penfold C. Venous ulceration and saphenous ligation. *Eur J Vasc Surg* 1992;6(1):4-9.
51. Lees TA, Lambert D. Patterns of venous reflux in limbs with skin changes associated with chronic venous insufficiency. *Br J Surg* 1993;80(6):725-8.
52. Myers KA, Ziegenbein RW, Zeng GH, Matthews PG. Duplex ultrasonography scanning for chronic venous disease: patterns of venous reflux. *J Vasc Surg* 1995;21(4):605-12.
53. Christopoulos D, Nicolaidis AN, Szendro G. Venous reflux: quantification and correlation with the clinical severity of chronic venous disease. *Br J Surg* 1988;75(4):352-6.
54. Delis KT, Ibegbuna V, Nicolaidis AN, Lauro A, Hafez H. Prevalence and distribution of incompetent perforating veins in chronic venous insufficiency. *J Vasc Surg* 1998;28(5):815-25.
55. Zukowski AJ, Nicolaidis AN, Szendro G, Irvine A, Lewis R, Malouf GM et al. Haemodynamic significance of incompetent calf perforating veins. *Br J Surg* 1991;78(5):625-9.



56. Stuart WP, Adam DJ, Allan PL, Ruckley CV, Bradbury AW. The relationship between the number, competence, and diameter of medial calf perforating veins and the clinical status in healthy subjects and patients with lower-limb venous disease. *J Vasc Surg* 2000;32(1):138-43.
57. Stuart WP, Lee AJ, Allan PL, Ruckley CV, Bradbury AW. Most incompetent calf perforating veins are found in association with superficial venous reflux. *J Vasc Surg* 2001;34(5):774-8.
58. Delis KT, Husmann M, Kalodiki E, Wolfe JH, Nicolaides AN. In situ hemodynamics of perforating veins in chronic venous insufficiency. *J Vasc Surg* 2001;33(4):773-82.
59. Labropoulos N, Tiongson J, Pryor L, Tassiopoulos AK, Kang SS, Mansour MA et al. Nonsaphenous superficial vein reflux. *J Vasc Surg* 2001;34(5):872-7.
60. Sansilvestri-Morel P, Rupin A, Jaisson S, Fabiani JN, Verbeuren TJ, Vanhoutte PM. Synthesis of collagen is dysregulated in cultured fibroblasts derived from skin of subjects with varicose veins as it is in venous smooth muscle cells. *Circulation* 2002;106(4):479-83.
61. Bergan JJ, Schmid-Schonbein GW, Takase S. Therapeutic approach to chronic venous insufficiency and its complications: place of Dabon 500 mg. *Angiology* 2001;52 Suppl 1:S43-7.
62. Michiels C, Bouaziz N, Remacle J. Role of the endothelium and blood stasis in the appearance of varicose veins. *Int Angiol* 2002;21(1):1-8.
63. Weber C. Novel mechanistic concepts for the control of leukocyte transmigration: specialization of integrins, chemokines, and junctional molecules. *J Mol Med* 2003;81(1):4-19.
64. Bergan JJ, Schmid-Schonbein GW, Smith PD, Nicolaides AN, Boisseau MR, Eklof B. Chronic venous disease. *N Engl J Med* 2006;355(5):488-98.
65. Ono T, Bergan JJ, Schmid-Schonbein GW, Takase S. Monocyte infiltration into venous valves. *J Vasc Surg* 1998;27(1):158-66.
66. Takase S, Schmid-Schonbein G, Bergan JJ. Leukocyte activation in patients with venous insufficiency. *J Vasc Surg* 1999;30(1):148-56.
67. Takase S, Bergan JJ, Schmid-Schonbein G. Expression of adhesion molecules and cytokines on saphenous veins in chronic venous insufficiency. *Ann Vasc Surg* 2000;14(5):427-35.



68. Badier-Commander C, Verbeuren T, Lebard C, Michel JB, Jacob MP. Increased TIMP/MMP ratio in varicose veins: a possible explanation for extracellular matrix accumulation. *J Pathol* 2000;192(1):105-12.
69. Leu AJ, Leu HJ, Franzeck UK, Bollinger A. Microvascular changes in chronic venous insufficiency--a review. *Cardiovasc Surg* 1995;3(3):237-45.
70. Gemmati D, Federici F, Catozzi L, Giancesini S, Tacconi G, Scapoli GL et al. DNA-array of gene variants in venous leg ulcers: detection of prognostic indicators. *J Vasc Surg* 2009;50(6):1444-51.
71. Sindrup JH, Avnstorp C, Steenfos HH, Kristensen JK. Transcutaneous PO₂ and laser Doppler blood flow measurements in 40 patients with venous leg ulcers. *Acta Derm Venereol* 1987;67(2):160-3.
72. Belcaro G, Grigg M, Rulo A, Nicolaidis A. Blood flow in the perimalleolar skin in relation to posture in patients with venous hypertension. *Ann Vasc Surg* 1989;3(1):5-7.
73. Franzeck UK, Bollinger A, Huch R, Huch A. Transcutaneous oxygen tension and capillary morphologic characteristics and density in patients with chronic venous incompetence. *Circulation* 1984;70(5):806-11.
74. Bollinger A, Fagrell B. *Clinical capillaroscopy: a guide to its use in clinical research and practice*. Bern, Switzerland.: Hogrefe and Huber, 1990.
75. Bollinger A, Jager K, Sgier F, Seglias J. Fluorescence microlymphography. *Circulation* 1981;64(6):1195-200.
76. Leu AJ, Gretener SB, Enderlin S, Bruhlmann P, Michel BA, Kowal-Bielecka O et al. Lymphatic microangiopathy of the skin in systemic sclerosis. *Rheumatology (Oxford)* 1999;38(3):221-7.
77. Higley HR, Ksander GA, Gerhardt CO, Falanga V. Extravasation of macromolecules and possible trapping of transforming growth factor-beta in venous ulceration. *Br J Dermatol* 1995;132(1):79-85.
78. Shami SK, Cheatle TR, Chittenden SJ, Scurr JH, Coleridge Smith PD. Hyperaemic response in the skin microcirculation of patients with chronic venous insufficiency. *Br J Surg* 1993;80(4):433-5.
79. Fagrell B. Local microcirculation in chronic venous incompetence and leg ulcers. *Vasc Surg* 1979;13:217-25.
80. Fagrell B. Microcirculatory disturbances - the final cause for venous leg ulcers? *Vasa* 1982;11(2):101-3.
81. Browse NL, Burnand KG. The cause of venous ulceration. *Lancet* 1982;2(8292):243-5.
82. Bollinger A, Isenring G, Franzeck UK. Lymphatic microangiopathy: a complication of severe chronic venous incompetence (CVI). *Lymphology* 1982;15(2):60-5.



83. Leu AJ, Hoffmann U. Initial lymphatics of the skin: From basic research to clinical implications. *J Vasc Invest* 1997;3:143-8.
84. Thomas PR, Nash GB, Dormandy JA. White cell accumulation dependent legs of patients with venous hypertension: a possible mechanism for trophic changes in the skin. *Br Med J (Clin Res Ed)* 1988;296(6638):1693-5.
85. Vanscheidt W, Kresse OH, Hach-Wunderle V et al. Leg ulcer patients: no decreased fibrinolytic response but white cell trapping after venous occlusion of the upper limb. *Phlebology* 1992;7:92-6.
86. Whinston RJ, Hallett MB, Lane LF et al. Lower limb neutrophil oxygen radical production is increased in venous hypertension. *Phlebology* 1993;8:151-154.
87. Veraart JC, Verhaegh ME, Neumann HA, Hulsmans RF, Arends JW. Adhesion molecule expression in venous leg ulcers. *Vasa* 1993;22(3):213-8.
88. Schields DA, Andaz SK, Timothy-Antoine CA et al. CD11b/CD18 as a marker of neutrophil adhesion in experimental ambulatory venous hypertension. *Phlebology* 1995;10(suppl 1):220-1.
89. Bollinger A, Leu AJ. Evidence for microvascular thrombosis obtained by intravital fluorescence videomicroscopy. *Vasa* 1991;20(3):252-5.
90. Takase S, Lerond L, Bergan JJ, Schmid-Schonbein GW. The inflammatory reaction during venous hypertension in the rat. *Microcirculation* 2000;7(1):41-52.
91. Gaskell P, Burton AC. Local postural vasomotor reflexes arising from the limb veins. *Circ Res* 1953;1(1):27-39.
92. Henriksen O. Local sympathetic reflex mechanism in regulation of blood flow in human subcutaneous adipose tissue. *Acta Physiol Scand Suppl* 1977;450:1-48.
93. Junger M, Braun S. Microvascular mechanisms controlling CVI in Molecular Basis for Microcirculatory Disorders.: Springer, 2003.
94. Burnand KG, Whimster I, Naidoo A, Browse NL. Pericapillary fibrin in the ulcer-bearing skin of the leg: the cause of lipodermatosclerosis and venous ulceration. *Br Med J (Clin Res Ed)* 1982;285(6348):1071-2.
95. Burnand KG, Clemenson G, Whimster I, Gaunt J, Browse NL. The effect of sustained venous hypertension on the skin capillaries of the canine hind limb. *Br J Surg* 1982;69(1):41-4.



96. Leu HJ. Morphology of chronic venous insufficiency--light and electron microscopic examinations. *Vasa* 1991;20(4):330-42.
97. Wilkinson LS, Bunker C, Edwards JC, Scurr JH, Smith PD. Leukocytes: their role in the etiopathogenesis of skin damage in venous disease. *J Vasc Surg* 1993;17(4):669-75.
98. Peschen M, Lahaye T, Hennig B, Weyl A, Simon JC, Vanscheidt W. Expression of the adhesion molecules ICAM-1, VCAM-1, LFA-1 and VLA-4 in the skin is modulated in progressing stages of chronic venous insufficiency. *Acta Derm Venereol* 1999;79(1):27-32.
99. Pappas PJ, You R, Rameshwar P, Gorti R, DeFouw DO, Phillips CK et al. Dermal tissue fibrosis in patients with chronic venous insufficiency is associated with increased transforming growth factor-beta1 gene expression and protein production. *J Vasc Surg* 1999;30(6):1129-45.
1. Peschen M, Grenz H, Brand-Saberi B, Bunaes M, Simon JC, Schopf E et al. Increased expression of platelet-derived growth factor receptor alpha and beta and vascular endothelial growth factor in the skin of patients with chronic venous insufficiency. *Arch Dermatol Res* 1998;290(6):291-7. 101.
 2. Hasan A, Murata H, Falabella A, Ochoa S, Zhou L, Badiavas E et al. Dermal fibroblasts from venous ulcers are unresponsive to the action of transforming growth factor-beta 1. *J Dermatol Sci* 1997;16(1):59-66.
 3. Kim BC, Kim HT, Park SH, Cha JS, Yuft T, Kim SJ et al. Fibroblasts from chronic wounds show altered TGFbeta-signaling and decreased TGF-beta Type II receptor expression. *J Cell Physiol* 2003;195(3):331-6.
 4. Herrick SE, Ireland GW, Simon D, McCollum CN, Ferguson MW. Venous ulcer fibroblasts compared with normal fibroblasts show differences in collagen but not fibronectin production under both normal and hypoxic conditions. *J Invest Dermatol* 1996;106(1):187-93.
 5. Stanley AC, Park HY, Phillips TJ, Russakovsky V, Menzoian JO. Reduced growth of dermal fibroblasts from chronic venous ulcers can be stimulated with growth factors. *J Vasc Surg* 1997;26(6):994-9; discussion 999-1001.
 6. Mendez MV, Stanley A, Park HY, Shon K, Phillips T, Menzoian JO. Fibroblasts cultured from venous ulcers display cellular characteristics of senescence. *J Vasc Surg* 1998;28(5):876-83.
 7. Lal BK, Saito S, Pappas PJ, Padberg FT, Jr., Cerveira JJ, Hobson RW, 2nd et al. Altered proliferative responses of dermal fibroblasts to TGF-beta1 may contribute to chronic venous stasis ulcer. *J Vasc Surg* 2003;37(6):1285-93.
 8. Weckroth M, Vaheri A, Lauharanta J, Sorsa T, Kontinen YT. Matrix metalloproteinases, gelatinase and collagenase, in chronic leg ulcers. *J Invest Dermatol* 1996;106(5):1119-24.



9. Wysocki AB, Staiano-Coico L, Grinnell F. Wound fluid from chronic leg ulcers contains elevated levels of metalloproteinases MMP-2 and MMP-9. *J Invest Dermatol* 1993;101(1):64-8.
10. Bullen EC, Longaker MT, Updike DL, Benton R, Ladin D, Hou Z et al. Tissue inhibitor of metalloproteinases-1 is decreased and activated gelatinases are increased in chronic wounds. *J Invest Dermatol* 1995;104(2):236-40.
11. Herouy Y, May AE, Pornschlegel G, Stetter C, Grenz H, Preissner KT et al. Lipodermatosclerosis is characterized by elevated expression and activation of matrix metalloproteinases: implications for venous ulcer formation. *J Invest Dermatol* 1998;111(5):822-7.
12. Herouy Y, Trefzer D, Zimpfer U, Schopf E, Wanscheidt W, Norgauer J. Matrix metalloproteinases and venous leg ulceration. *Eur J Dermatol* 2000;10(3):173-80.
13. Norgauer J, Hildenbrand T, Idzko M, Panther E, Bandemir E, Hartmann M et al. Elevated expression of extracellular matrix metalloproteinase inducer (CD147) and membrane-type matrix metalloproteinases in venous leg ulcers. *Br J Dermatol* 2002;147(6):1180-6.
14. Saito S, Trovato MJ, You R, Lal BK, Fasehun F, Padberg FT, Jr. et al. Role of matrix metalloproteinases 1, 2, and 9 and tissue inhibitor of matrix metalloproteinase-1 in chronic venous insufficiency. *J Vasc Surg* 2001;34(5):930-8.
15. Herouy Y, Trefzer D, Hellstern MO, Stark GB, Vanscheidt W, Schopf E et al. Plasminogen activation in venous leg ulcers. *Br J Dermatol* 2000;143(5):930-6.

თავი 3

პრობლემის მნიშვნელობა

ადრე ჩატარებულმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ CVD მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს დასავლეთის ქვეყნებისათვის მისი მაღალი გავრცელების, გამოკვლევისა და მკურნალობის ფასის და სამუშაო დღეების დაკარგვის გამო^{1,2}. ვარიკოზული ვენები (VVs) აღენიშნებათ ზრდასრული ქალების 25-33% და ზრდასრული მამაკაცების 10-40%-ს³⁻¹³. Framingham-ის კვლევაში VV-ის ახალი შემთხვევების სიხშირე წელიწადში იყო 2.6% ქალებში და 1.9% მამაკაცებში. მსგავსი შედეგები დაფიქსირდა Bonn vein კვლევაში², რომელშიც დადგენილია CVD მქონე პაციენტების 4% ყოველწლიურად განიცდიდა პროგრესირებას უფრო მაღალ CEAP კლინიკურ კლასამდე¹⁵. შეშუპების და კანის ისეთი ცვლილებების გავრცელება, როგორცაა CVD-ით განპირობებული ჰიპერპიგმენტაცია და ეგზემა პოპულაციაში ვარირებს 3.0%-დან 11%-მდე^{3,5}. ვენური წყლულები აღენიშნებათ დასავლეთის ქვეყნების ზრდასრული მოსახლეობის 0.3%-ს^{6,14,16-25}. კომბინირებული აქტიური და შეხორცებული წყლულების გავრცელება არის დაახლოებით 1%^{26,27}. ვენური



წყლულების შეხორცება შესაძლოა უფრო გვიან ხდებოდეს დაბალი სოციალური კლასის წარმომადგენლებში და მარტოხელებში²⁸. ვენური წყლულების 50%-ზე მეტს ესაჭიროება 1 წელიწადზე უფრო ხანგრძლივი მკურნალობა²⁹. ბრაზილიის სპეციალური დაცვის სისტემის მონაცემების თანახმად, CVD შედის იმ 14 ყველაზე ხშირ მიზეზში რიმელთა გამო ხდება სამსახურის პერიოდული გაცდენა და იმ ყველაზე ხშირ 32 მიზეზში, რომლებიც იწვევენ პერმანენტულ Stomis უნარშეზღუდულობასა და საჭიროებენ საჯარო სამსახურების ფინანსურ მხარდაჭერას³⁰. ადრე ჩატარებული ზოგიერთი კვლევა ეფუძნებოდა მხოლოდ კლინიკურ შეფასებას და კითხვარებს. გამოიყენებოდა ვენური დაავადების განსხვავებული განსაზღვრებები, ხოლო კვლევებში მონაწილე პოპულაცია მოიცავდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებს. ასევე სახეზე იყო სხვა არარეპრეზენტატიული ფაქტორები, რის გამოც ეპიდემიოლოგიური მონაცემების შედარება რთული იყო. CEAP-ის კლასიფიკაციის შემოღებამ და სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა კვლევების მონაცემთა ერთმანეთთან შედარება. ასე მაგალითად, ცოტა ხნის წინ საფრანგეთში³¹ გერმანიაში³² და პოლონეთში³³ ჩატარებულ კვლევებში CVD სხვადასხვა კლასების სადიფერენციაციოდ გამოყენებული იქნა CEAP კლასიფიკაცია (იხ. ქვემოთ), მიუხედავად იმისა, რომ შერჩევის კრიტერიუმები იყო სხვადასხვა. გავრცელება ფრანგულ, გერმანულ და პოლონურ კვლევებში მოყვანილია ცხრილში 1.

ცხრილი I CVD გავრცელება (პოპულაციის %) CEAP კლინიკური კლასების (C2-C6) მიხედვით.

CEAP კლასი	მამაკაცი			ქალი		
	საფრანგეთი	გერმანია	პოლონეთი	საფრანგეთი	გერმანია	პოლონეთი
C2	23.7	12.4	51.6	46.3	15.8	47.7
C3	1.1	11.6	9.2	2.2	14.9	10.5
C4	4.0	3.1	13.2	2.1	2.7	10.3
C5	1.4	0.6	4.2	0.7	0.6	2.2
C6	0	0.1	2.1	0	0.1	1.1



References

1. Abenhaim L, Clement D, Norgren L. The management of chronic venous disorders of the leg: An evidence-based report of an international Task Force. *Phlebology* 1999;14(Suppl 1):S1-126.
2. Kurz X, Kahn SR, Abenhaim L, Clement D, Norgren L, Baccaglini U et al. Chronic venous disorders of the leg: epidemiology, outcomes, diagnosis and management. Summary of an evidence-based report of the VEINES task force. *Venous Insufficiency Epidemiologic and Economic Studies. Int Angiol* 1999;18(2):83-102.
3. Coon WW, Willis PW, 3rd, Keller JB. Venous thrombo- embolism and other venous disease in the Tecumseh community health study. *Circulation* 1973;48(4):839-46.
4. Guberan E, Widmer LK, Glaus L, Muller R, Rougemont A, Da Silva A et al. Causative factors of varicose veins: myths and facts. An epidemiological study of 610 women. *Vasa* 1973;2(2):115-20.
5. Da Silva A, Widmer LK, Martin H, Mall T, Glaus L, Schneider M. Varicose veins and chronic venous insufficiency. *Vasa* 1974;3(2):118-25.
6. Widmer LK. Peripheral venous disorders. Prevalence and socio-medical importance. Observations in 4529 apparently healthy persons.: Basle III study. Bern, Switzerland.: Hans Huber, 1978. pp. 1-90.
7. Abramson JH, Hopp C, Epstein LM. The epidemiology of varicose veins. A survey in western Jerusalem. *J Epidemiol Community Health* 1981;35(3):213-7.
8. Stvrtinova V, Kolesar J, Wimmer G. Prevalence of varicose veins of the lower limbs in the women working at a department store. *Int Angiol* 1991;10(1):2-5.
9. Bradbury A, Evans C, Allan P, Lee A, Ruckley CV, Fowkes FG. What are the symptoms of varicose veins? Edinburgh vein study cross sectional population survey. *Br Med J* 1999;318(7180):353-6.
10. Allan PL, Bradbury AW, Evans CJ, Lee AJ, Vaughan Ruckley C, Fowkes FG. Patterns of reflux and severity of varicose veins in the general population--Edinburgh Vein Study. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2000;20(5):470-7.
11. Fowkes FG, Evans CJ, Lee AJ. Prevalence and risk factors of chronic venous insufficiency. *Angiology* 2001;52 Suppl 1:S5-15.
12. Evans CJ, Fowkes FG, Ruckley CV, Lee AJ. Prevalence of varicose veins and chronic venous insufficiency in men and women in the general population: Edinburgh Vein Study. *J Epidemiol Community Health* 1999;53(3):149-53.
13. Ruckley CV, Evans CJ, Allan PL, Lee AJ, Fowkes FG. Chronic venous insufficiency: clinical and duplex correlations. The Edinburgh Vein Study of venous disorders in the general population. *J Vas Surg* 2002;36(3):520-5.



REVAS არის კლასიფიკაცია რომელიც სპეციფიურია ქირურგიული მკურნალობის შემდეგ მორეციდივე ვარიკოზისათვის. მორეციდივე ვარიკოზული ვენები გავრცელებული, კომპლექსური და ხარჯიანი პრობლემაროგორც პაციენტებისათვის, ასევე ექიმებისათვის, რომლებიც ვენების დაავადებებს მკურნალობენ. ამ პრობლემასთან გასამკლავებლად პარიზში 1998 წელს ჩატარდა საერთაშორისო შეხვედრა, რომლის შედეგად CEAP კლასიფიკაციასთან კომბინაციაში გამოსაყენებლად შემუშავდა ქირურგიული ჩარევის შემდგომი მორეციდივე ვარიკოზის - **Recurrent Varices after Surgery (REVAS)** განსაზღვრება, კლასიფიკაცია და მართვა³. REVAS-ის კლასიფიკაცია შეფასებული იქნა ერთი და მრავალი დამკვირვებლის პირობებში რეპროდუცირებულობაზე⁴ და 2006 წელს ჩატარებული იქნა მსოფლიო კვლევა³. REVAS კლასიფიკაციის სისტემა მოიცავს ექვს ძირითად ნაწილს (ადგილი, რეციდივის ხასიათი და წყარო, რეფლუქსის სიმძიმე და სხვა შესაძლო გავლენიანი ფაქტორები), რაც ქვემოთ დეტალურადაა მოცემული¹⁸.

T აღნიშნავს REVAS -ის ტოპოგრაფიულ ადგილს (g - აღნიშნავს საზარდულს, t-ბარძაყს, p- მუხლქვეშა ფოსოს, l-ქვედა კიდურს (კოჭის მიდამოს და ტერფის ჩათვლით) o- სხვას)

S აღნიშნავს რეციდივის წყაროს (0 -არ არსებობს რეფლუქსის წყარო, 1 -მენჯის/ აბდომინალური, 2- საჩინო-ვემორალური შერთული, 3 - ბარძაყის პერფორანტული ვენები, 4- საჩინო-პოპლიტეალური შერთული, 5-



მუხლქვეშა ფოსოს პერფორანტული ვენები, 6 - კანჭის ტყუპი კუნთის ვენები, 7 - ქვედა კიდურების პერფორანტული ვენები).

R აღნიშნავს რეფლუქსს (1-კლინიკური მნიშვნელობა სავარაუდოა, 2 - კლინიკური მნიშვნელობა? (ნაკლებად სავარაუდოა/არასარწმუნოა). ეს მონაცემი უნდა ეყრდნობოდეს დუპლექსკანირებისა და ვენოგრაფიის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და იმის შეფასებას, თუ რამდენადაა რეფლუქსის ხარისხი დაკავშირებული საერთო კლინიკურ სიტუაციასთან.

N აღნიშნავს წყაროს ბუნებას

Ss ნიშნავს იგივე ადგილს (1: ტექნიკური ხარვეზები, 2: ტაქტიკური ხარვეზები, 3: ნეოვასკულარიზაცია, 4: გაურკვეველი, 5: შერეული), ხოლო

Ds ნიშნავს განსხვავებულ (ახალ) ადგილს (1: მუდმივი: ცნობილია, რომ არსებობდა ქირურგიულ ჩარევამდე, 2: ახალი: ცნობილია, რომ ქირურგიული ჩარევის მომენტისათვის არ არსებობდა, 3: გაურკვეველი/უცნობი: ქირურგიული ჩარევის დროისათვის ინფორმაცია არასაკმარისია). ხდება წყაროს კლასიფიცირება იმის მიხედვით არის თუ არა იგი დაკავშირებული ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის ადგილთან და აღწერს რეციდივის მიზეზს და დროის ჩარჩობს.

C აღნიშნავს გავლენას მუდმივი არაკომპეტენტური საჩინო ვენებიდან

AK: დიდი საჩინო (მუხლის ზემოთ), **BK:** დიდი საჩინო (მუხლის ქვემოთ), **SSV:** მცირე საჩინო, **Ø:** არცერთი/სხვა.

გარკვეული კლინიკური მონაცემები უნდა შეიკრიბოს და დაფიქსირდეს სამედიცინო ისტორიაში: **F სავარაუდო გავლენის მქონე ფაქტორები; gF: ზოგადი:** ოჯახური ანამნეზი, სიმსუქნე, ორსულობა, ჰორმონები; **SF**

: სპეციფიური: ღრმა ვენის პირველადი არაკომპეტენტურობა, პოსტთრომბოზული სინდრომი, თემოს ვენის კომპრესია, თანდაყოლილი (ანგიოდისპლაზია), ლიმფური, წვივის ტუმბოს დისფუნქცია. REVAS-ის 8 ნაწილის რეპროდუცირებადობის კვლევამ აჩვენა, რომ დამკვირვებელთა შორის რეპროდუცირებადობა 3 ნაწილისათვის იყო შესანიშნავი, ხოლო 5 ნაწილისათვის კარგი. ერთი დამკვირვებლის პირობებში რეპროდუცირებადობა კარგი იყო 6 ნაწილისათვის და საშუალო ორისათვის¹⁹.

რიგ ქვეყანებში კლასიკური ქირურგია აღარ არის ყველაზე ხშირი ინვაზიური პროცედურა ვარიკოზული ვენების სამკურნალოდ. ქიმიურმა და თერმულმა აბლაციამ ერთის მხრივ და მინიინვაზიურმა ქირურგიამ, CHIVA-ს და ASVAL-ის ჩათვლით მეორეს მხრივ, მსოფლიოს უმეტეს ნაწილში საგრძნობლად შეამცირეს მაღალი ლიგირების (HL) და სტრიპინგის გამოყენება.

ამ პრობლემიდან გამომდინარე რეციდიული და რეზიდუალური ვარიკოზის განსაზღვრება მოხდა ისე, როგორც მითითებულია ქვემოთ მოყვანილ ტერმინოლოგიის დანართში და შეიქმნა ახალი ტერმინი PREVAIT (**PRE**sence of **Var**ices (residual or recurrent) **A**fter **oper**ative **T**reatment) - ვარიკოზული ვენების (რეზიდუალური ან



რეკურენტული) არსებობა ოპერაციული მკურნალობის შემდეგ. ტერმინ **PREVAIT-ის** შექმნა განპირობებულიყო ორი მიზეზით: პირველ რიგში იმიტომ, რომ ხშირად ძნელია სხვების მიერ ჩატარებული ინციალური პროცედურების შედეგების სწორად კლასიფიცირება. მეორე მიზეზი იყო ის, რომ უკვე არსებული ტერმინი REVAS-ი გამოდგებოდა მხოლოდ იმ პაციენტებისათვის, ვისაც ქირურგიული მკურნალობა ჰქონდა ჩატარებული, მაშინ როდესაც დღეს-დღეობით სხვადასხვა ინვაზიური მკურნალობის შეფასება საჭიროა ერთიანი პროტოკოლის მიხედვით. 1998 წლის შემდეგ ამ თემაზე გამოქვეყნდა 90-ზე მეტი ახალი სტატია ინგლისურ და ფრანგულ ენოვან ლიტერატურაში¹⁹. ისინი ეხება ასევე რანდომიზებულ კონტროლირებად კვლევებს. აშკარა გახდა, რომ საჭიროა შეიქმნას ახალი კლასიფიკაცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნებინ პაციენტები PREVAIT-ით.

References

1. Eklof B, Rutherford RB, Bergan JJ, Carpentier PH, Gloviczki P, Kistner RL et al. Revision of the CEAP classification for chronic venous disorders: consensus statement. *J Vasc Surg* 2004;40(6):1248-52.
2. Eklof B, Perrin M, Delis KT, Rutherford RB, Gloviczki P. Updated terminology of chronic venous disorders: the VEIN-TERM transatlantic interdisciplinary consensus document. *J Vasc Surg* 2009;49(2):498-501.
3. Rutherford RB, Padberg FT, Jr., Comerota AJ, Kistner RL, Meissner MH, Moneta GL. Venous severity scoring: An adjunct to venous outcome assessment. *J Vasc Surg* 2000;31(6):1307-12.
4. Vasquez MA, Wang J, Mahathanaruk M, Buczkowski G, Sprehe E, Dosluoglu HH. The utility of the Venous Clinical Severity Score in 682 limbs treated by radiofrequency saphenous vein ablation. *J Vasc Surg* 2007;45(5):1008-1014; discussion 1015.
5. Kakkos SK, Rivera MA, Matsagas MI, Lazarides MK, Robless P, Belcaro G et al. Validation of the new venous severity scoring system in varicose vein surgery. *J Vasc Surg* 2003;38(2):224-8.
6. Vasquez MA, Munschauer CE. Venous Clinical Severity Score and quality-of-life assessment tools: application to vein practice. *Phlebology* 2008;23(6):259-75.



7. Ricci MA, Emmerich J, Callas PW, Rosendaal FR, Stanley AC, Naud S et al. Evaluating chronic venous disease with a new venous severity scoring system. *J Vasc Surg* 2003;38(5):909-15.
8. Meissner MH, Natiello C, Nicholls SC. Performance characteristics of the venous clinical severity score. *J Vasc Surg* 2002;36(5):889-95.
9. Passman MA, McLafferty RB, Lentz MF, Nagre SB, Iafrati MD, Bohannon WT et al. Validation of Venous Clinical Severity Score (VCSS) with other venous severity assessment tools from the American Venous Forum, National Venous Screening Program. *J Vasc Surg* 2011;54(6 Suppl):2S-9S.
10. Vasquez MA, Rabe E, McLafferty RB, Shortell CK, Marston WA, Gillespie D et al. Revision of the venous clinical severity score: venous outcomes consensus statement: special communication of the American Venous Forum Ad Hoc Outcomes Working Group. *J Vasc Surg* 2010;52(5):1387-96.
11. Brandjes DP, Buller HR, Heijboer H, Huisman MV, deRijk M, Jagt H et al. Randomised trial of effect of compression stockings in patients with symptomatic proximal-vein thrombosis. *Lancet* 1997;349(9054):759-62.
12. Ginsberg JS, Hirsh J, Julian J, Vander LaandeVries M, Magier D, MacKinnon B et al. Prevention and treatment of postphlebotic syndrome: results of a 3-part study. *Arch Intern Med* 2001;161(17):2105-9.
13. Villalta S, Bagatella P, Piccioli A, Lensing AW, Prins MH, Prandoni P. Assessment of validity and reproducibility of a clinical scale for the post-thrombotic syndrome. *Haemostasis*. 1994;24 (Suppl 1):158 (abstr).
14. Kahn SR. Measurement properties of the Villalta scale to define and classify the severity of the post-thrombotic syndrome. *J Thromb Haemost* 2009;7(5):884-8.
15. Kahn SR, Partsch H, Vedantham S, Prandoni P, Kearon C. Definition of post-thrombotic syndrome of the leg for use in clinical investigations: a recommendation for standardization. *J Thromb Haemost* 2009;7(5):879-83.
16. Rodger MA, Kahn SR, Le Gal G, Solymoss S, Chagnon I, Anderson DR et al. Inter-observer reliability of measures to assess the post-thrombotic syndrome. *Thromb Haemost* 2008;100(1):164-6.



17. Soosainathan A, Moore HM, Gohel MS, Davies AH. Scoring systems for the post-thrombotic syndrome. J Vasc Surg 2013;57(1):254-61.
18. Perrin M. Reconstructive surgery for deep venous reflux: a report on 144 cases. Cardiovasc Surg 2000;8(4):246-55.
19. Perrin M, Allaert FA. Intra- and inter-observer reproducibility of the Recurrent Varicose Veins after Surgery (REVAS) classification. Eur J Vasc Endovasc Surg 2006;32(3):326-32.

დანართი

ტერმინების განსაზღვრება

ტერმინი ქრონიკული ვენური დაავადება (CVD) მოიცავს ქვედა კიდურების ვენური სისტემის ყველანაირ მორფოლოგიურ და ფუნქციურ დარღვევას. ზოგიერთი ამათგანი, როგორცაა ტელანგიექტაზია, ძალიან გავრცელებულია ზრდასრული ადამიანების პოპულაციაში და შესაბამისად, ბევრ შემთხვევაში მისი "დაავადებად" განხილვა მართებული არ არის. ტერმინი ქრონიკული ვენური უკმარისობა (CVI) ლიტერატურაში დამკვიდრდა და გამოიყენება ვენურ სისტემაში არსებული ფუნქციური დარღვევების აღსანიშნავად (რეფლუქსი, ობსტრუქცია ან მათი კომბინაცია). იგი ჩვეულებრივ იხმარება როდესაც პაციენტს აქვს შედარებით შორსწასული დაავადება შემუპებით (C3), კანის ცვლილებებით (C4) ან ვენური წყლულებით (C5/6). განახლებულ CEAP კლასიფიკაციაში (1) მისი ადრე არსებული საერთო სტრუქტურა შენარჩუნებული იქნა, მაგრამ დამატებული იქნა უფრო ზუსტი განსაზღვრებები. CEAP კლასიფიკაციაში გამოყენებული და VEIN-Term შეთანხმებულ დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები ქვემოთ არის ჩამოთვლილი ანბანური რიგითობის მიხედვით.

Atrophie blanche ანუ თეთრი ატროფია: ლოკალური, ხშირად წრიული, მოთეთრო ფერის ატროფიული კანის უბნები, რომლებიც გარშემორტყმულია გაფართოებული კაპილარებით და ზოგჯერ ჰიპერპიგმენტაციის განსაზღვრებაში არ შედის.

აქსიალური რეფლუქსი: უწყვეტი რეტროგრადული ვენური ნაკადი საზარდულიდან წვივის ჩათვლით.



ზედაპირული: ზედაპირული ვენური სისტემის ფარგლებში.

ღრმა: ღრმა ვენური სისტემის ფარგლებში.

კომბინირებული: სამივე ვენური სისტემაში (ზედაპირული, ღრმა, პერფორანტული) ნებისმიერი კომბინაციისას.

ქრონიკული ვენური დაავადება: ვენური სისტემის ხანგრძლივად მიმდინარე მორფოლოგიური და ფუნქციონალური დარღვევები, რომელიც მანიფესტირებული სიმპტომებით და/ან ნიშნებით და რაც მიუთითებს გამოკვლევისა და/ან მკურნალობის საჭიროებაზე.

ქრონიკული ვენური დარღვევები: ეს ტერმინი მოიცავს ვენური სისტემის მორფოლოგიური და ფუნქციური პათოლოგიების სრულ სპექტრს.

ქრონიკული ვენური უკმარისობა (C3-C6): ტერმინი გულისხმობს შორსწასულ ქრონიკული ვენურ დარღვევას, რომელსაც თან სდევს ვენური სისტემის ფუნქციონალური დარღვევები, რასაც მივყევართ შემუშავებისაკენ, კანის ცვლილებისაკენ ან ვენური წყლულის ჩამოყალიბებისაკენ.

ფლებექტაზიური გვირგვინი (Corona phlebectatica): ეს ტერმინი აღწერს კოჭისა და ტერფის მედიალურ ან ლატერალურ ზედაპირზე პატარა ინტრადერმული ვენების მარაოსებრ წყობას. ზოგჯერ იგი ქარმოადგენს შირსწასული ვენური დაავადების ადრეულ ნიშანს. მისი სინონიმია გოჯის დერმოგრაფიზმი.

ეფზემა: ერთემატოზული დერმატიტი, რომელმაც შესაძლოა, ფეხების კანზე, განიცადოს პროგრესირება ბუმტუკოვან, ინფილტრაციულ ან აქერცვლად გამონაყარამდე. იგი ხშირად ლოკალიზდება ვარიკოზული ვენის პროექციაზე, მაგრამ შეიძლება იყოს ფეხზე ნებისმიერ ადგილას. ეფზემა ჩვეულებრივ გამოწვეულია ქრონიკული ვენური დაავადებით და/ან წარმოადგენს ლოკალური თერაპიის შედეგს (გამოწვეულ რეაქციას).

შემუშება: განისაზღვრება, როგორც კანში და კანქვეშა ქსოვილში სითხის მოცულობის საგრძნობი მომატება, რომლის იდენტიფიცირება ხდება კანზე ზეწოლისას ნაჭდევის გაჩენით. ვენური შემუშება ჩვეულებრივ ჩნდება გოჯის მიდამოს რეგიონში, თუმცა შეიძლება გავრცელდეს ტერფისა და წვივის მიმართულებით.

ენდოფლებექტომია: ვენის სანათურიდან პოსტთრომბოზული ნარჩენების მოცილება.

ლიპოდერმატოსკლეროზი (LDS): კანისა და კანქვეშა ქსოვილების ლოკალური ქრონიკული ანთება და ფიბროზი, რაც ზოგჯერ ასოცირებულია ნაწიბურების წარმოქმნასთან ან აქილევსის მყესის კონტრაქტურასთან.

LDS-ს ზოგჯერ წინ უსწრებს კანის დიფუზური ანთებითი შემუშება, რაც შეიძლება იყოს მტკივნეული და ხშირად მიიჩნევა ჰიპოდერმიტად. საჭიროა ამ მდგომარეობის დიფერენცირება ლიმფანგიიტისაგან, ერიზიპელოიდისა და ცელულიტისაგან მათთვის დამახასიათებელი ლოკალური და სისტემური ნიშნების საფუძველზე. LDS არის მძიმე ქრონიკული ვენური დაავადების ნიშანი.



მაღალი ლიგირება და გათიშვა : დიდი საჩინო ვენის (GSV) ბარძაყის ვენასთან შერთულის არეში ლიგირება და გათიშვა, რაც მოიცავს მის ყველა ზედა (შერთულთან ახლოს) შენაკადების ლიგირებას და გათიშვას.

თემოს ვენის ობსტრუქციის სინდრომი: თემოს საერთო ან თემოს გარეთა ვენის შევიწროებით ან ოკლუზიით

May-Thurner- ის სინდრომი: ვენური სიმპტომები და ნიშნები, განპირობებული თემოს მარცხენა საერთო ვენის ობსტრუქციით, გამოწვეული მარჯვენა თემოს საერთო არტერიით მასზე გარეთა კომპრესიით.

მინიფლემექტომია: ვენური სეგმენტის მოცილება კანის მცირე განაკვეთიდან.

ნეოვასკულარიზაცია: ვენაზე ადრე ჩატარებული ჩარევის ანატომიურ სიახლოვეს მრავალი ახალი, მცირე, დაკლანკილი ვენების არსებობა.

მენჯის სისხლსაგესობის სინდრომი: ქრონიკული სიმპტომები, რომლებიც მოიცავენ მენჯის ტკივილს, სიმძიმის შეგრძნებას შორისის მიდამოში, შარდვის იმპერატიულ მოთხოვნებს და პოსტკოიტალურ ტკივილს, რაც გამოწვეულია ოვარიულ ან მენჯის ვენებში რეფლუქსით და/ან ობსტრუქციით, და რაც შეიძლება ასოცირებული იყოს სასქესო ბაგეებზე, შორისა და/ან ქვედა კიდურების ვარიკოზთან.

პერფორანტული ვენის აბლაცია: პერფორანტული ვენის გათიშვა ან დესტრუქცია მექანიკური, თერმული ან ქიმიური მეთოდებით.

პერფორანტული ვენის გათიშვა: პერფორანტული ვენის გათიშვა მექანიკური, თერმული ან ქიმიური მეთოდებით.

პერფორანტული ვენის ლიგირება: პერფორანტული ვენის გათიშვა მექანიკური, მეთოდით.

პერფორანტული უკმარისობა: პერფორანტულ ვენებში არანორმალურად გახანგრძლივებული ნაკადი, მიმართული შიგნიდან გარეთ.

პიგმენტაცია: კანის მოყავისფრო ელფერამდე გამუქება, რაც სისხლის ექსტრავაზაციის შედეგია. იგი ჩვეულებრივ ლოკალიზდება გოჯის რეგიონში და შესაძლოა გავრცელდეს წვივსა და ტერფზე.

პოსტრომბოტული სინდრომი: მეორადი ქრონიკული ვენური სიმპტომები და/ან ნიშნები გამოწვეული. ღრმა ვენის თრომბოზით

PREVAIT: ეს აბრევიატურა ნიშნავს **Presence of Varices (residual or recurrent) After operative Treatment-** ვარიკოზული ვენების (რეზიდუალურის ან რეკურენტული) არსებობა ქირურგიული ჩარევის შემდეგ.

რეკანალიზაცია: მანამდე დახშულ (ობსტრუგირებული) ვენაში ახალი სანათურის ჩამოყალიბება.

რეკურენტული ვარიკოზული ვენები: ვარიკოზული ვენების ხელახალი გაჩენა იმ ადგილებში, სადაც ერთხელ უკვე წარმატებით განხორციელდა ქირურგიული ჩარევა.

რეზიდუალური ვარიკოზი: მკურნალობის შემდეგ დარჩენილი ვარიკოზული ვენები.



რეტიკულარული ვენები: გაგანიერებული, მოლურჯო სუბდერმალური ვენები, რომელთა დიამეტრი ჩვეულებრივ 1 მმ-დან არაუმეტეს 3 მმ-მდეა. ისინი ჩვეულებრივ დაკლავნილია. არ უნდა აგვერიოს გამჭვირვალე კანის მქონე ადამიანების ნორმალურ ხილულ ვენებში. სინონიმებია: ლურჯი ვენები, სუბდერმული ვარიკოზი, ვენულექტაზია.

სკლეროთერაპია: ქიმიური აგენტის (სითხის ან ქაფის) შეყვანის შედეგად ვენის ობლიტერაცია.

სეგმენტური რეფლუქსი: სამი ვენური სისტემიდან (ზედაპირული, ღრმა ან პერფორანტული) რომელიმე ვენურ სეგმენტში ლოკალური რეტროგრადული ნაკადი ნებისმიერი კომბინაციით ბარძაყსა და/ან წვივზე, მაგრამ არა მუდმივი ნაკადი საზარდულიდან წვივამდე.

სტრიპინგი: ხელსაწყოთა საშუალებით გრძელი ვენური სეგმენტის მოცილება, ჩვეულებრივ GSV უმეტესი ნაწილის ან მცირე საჩინო ვენის.

ტელენგიექტაზია: 1 მმ-ზე ნაკლები დიამეტრის გაფართოებული ინტრადერმული ვენულების შეერთება.

სინონიმებია: ობობასებრი ვენები, ქსელისებრი ან ძაფისებრი ვენები.

ვარიკოცელე: სათესლე ბაგირაკის ვარიკოზული ვენების არსებობა.

ვარიკოზული ვენები: გაფართოებული კანქვეშა ვენები, რომელთა დიამეტრი ვერტიკალურ პოზიციაში 3 მმ ან მეტია.

იგი შეიძლება მოიცავდეს საჩინო ვენებს, საჩინო ვენების ტოტებს (შენაკადებს) ან არასაჩინო ვენებს. ვარიკოზული ვენები ჩვეულებრივ დაკლავნილია, თუმცა რეფლუქსის მქონე ტუბულარულსაჩინო ვენები შესაძლოა ასევე იყოს კლასიფიცირებული როგორც ვარიკოზული ვენები. სინონიმებია: ვარიქსი, ვარიკოზები, ვარიკოციტები.

ვენური აბლაცია: ვენის აღება ან დესტრუქცია მექანიკური, თერმული ან ქიმიური მეთოდით.

ვენური ანევრიზმა: ვენური სეგმენტის ლოკალური პარკისებრი ან თითისტარისებრი გაფართოება, რომლის კალიბრი აღება ნორმალური ღეროს დიამეტრს სულ მცირე 50%-ით ან მეტად.

ვენური კომპრესია: ვენის სანათურის გარეგანი ზეწოლით გამოწვეული შევიწროება ან ოკლუზია

ვენური ობსტრუქცია: ვენაში სისხლის ნაკადის ნაწილობრივი ან სრული ბლოკირება

ვენური ოკლუზია: ვენის სანათურის სრული ობლიტერაცია (დახშობა).

ვენური რეფლუქსი: არანორმალური ხანგრძლივობის ვენური რეტროგრადული ნაკადი ვენის რომელიმე სეგმენტში.

პირველადი: გამოწვეული ვენური სარქვლის იდიოპათიური დისფუნქციით.

მეორადი: გამოწვეული თრომბოზით ან ტრავმით, ან მექანიკური, თერმული ან ქიმიური ფაქტორებით.

თანდაყოლილი: გამოწვეული ვენური სარქვლების არარსებობით ან მათი ანომალური განვითარებით.



ვენური ნიშნები: ვენური დარღვევების ხილული გამოვლინება, რაც მოიცავს დილატირებულ ვენებს (ტელეანგიექტაზიები, რეტრიკულური ვენები, ვარიკოზული ვენები), ფეხების შეშუპებას, კანის ცვლილებებს და წყლულებს, როგორც მითითებულია CEAP-ის კლასიფიკაციაში.

ვენური სიმპტომები: ვენების დაავადებასთან დაკავშირებული ჩივილები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ჩხვლეტის შეგრძნებას, ყრუ ან მწველ ტკივილს, კუნთოვან კრუნჩხვებს, კანის ქავილს, შეშუპებას, პულსაციის ან სიმძიმის შეგრძნებას, მოუსვენარ ფეხებს და ფეხების ადვილად დაღლას ან/და მუდმივი დაღლილობის შეგრძნებას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან პათოგნომური, ისინი მაინც მიუთითებენ ქრონიკული ვენური დაავადების არსებობაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ისინი მეტად გამოხატულია ცხელ პერიოდში და/ან დღის კონკრეტულ მონაკვეთში და იკლებს მსუბუქდება ფეხების დასვენების და/ან აწევის (ელევაციის) შემთხვევაში.

ვენური წყლული: კანის დეფექტი მის მთელს სისქეზე, რომელიც უფრო ხშირად ლოკალიზდება გოჯის მიდამოში და რომელიც სპონტანურად ვერ ხორცდება CVD-გამო.

ვენური სარქვლის უკმარისობა: ვენის სარქვლის დისფუნქცია, რაც იწვევს რეტიოგრადული ვენური ნაკადის პათოლოგიურ გახანგრძლივებას.

თავი 6

გამოკვლევები

ზოგადი შენიშვნები

არ არსებობს ერთი სადიაგნოსტიკო ტესტი, რომელიც მოგვაწოდებს მთელს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა კლინიკური გადაწყვეტილებების მისაღებად და მართვის სტრატეგიის შესამუშავებლად. სათანადო გამოკვლევის მეთოდის შერჩევასას საკვანძო საკითხია პათოფიზიოლოგიის გაგება.

როდესაც პაციენტს აღენიშნება CVD-ზე საექვო სიმპტომები და ნიშნები, კლინიცისტმა უნდა უპასუხოს კლინიკურად მნიშვნელოვანი შეკითხვების მთელს რიგს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ადგილი აქვს CVD-ს. თუ ეს დადგენილია, გამოკვლევებმა უნდა განსაზღვროს რეფლუქსის, ობსტრუქციის, წვივის კუნთების ტუმბოს დისფუნქციის არსებობა ან არარსებობა და ის, თუ როგორია ყველა ზემოთ ჩამოთვლილის სიმძიმე¹.

რეფლუქსის და ობსტრუქციის დადგენა



კლინიკური შეფასება მოიცავს დეტალური ანამნეზის შეკრებას და საგულდაგულო ფიზიკალურ გასინჯვას, შემდეგ კი დუპლექსკენირებას. ამგვარი შეფასება ექიმს ეხმარება დაადგინოს რეფლუქსის და/ან ვენის ოკლუზიის არსებობა, მდებარეობა და ანატომიური გავრცელება. პაციენტების გარკვეულ ნაწილს შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი გამოკვლევები.

დუპლექსკენირება

დუპლექს ულტრაბგერითი კვლევა ფლებოგრაფიაზე ინფორმატიულია და მიჩნეულია ოქროს სტანდარტად ნებისმიერ ვენურ სეგმენტში რეფლუქსის დასადგენად²⁻¹⁰. გამოსახვა ჩვეულებრივ ხდება ნაკადის ფერადი სკანერებით. ზედაპირული ვენების გამოკვლევისათვის გამოიყენება მაღალი სიხშირის მიომლები, უფრო ღრმა ვენების ვიზუალიზაციისათვის კი ხმარობენ უფრო დაბალი სიხშირის მიმდებს. ხდება მთელი ზედაპირული და ღრმა ვენების სისტემისა და ასევე პერფორანტულივენების გამოკვლევა. გამოკვლევის ელემენტები, რომლებსაც ხშირად მნიშვნელობა აქვთ შემდგომი მკურნალობისათვის, შემდეგია:

1. ბარძაყის და დიდი საჩინო ვენის პოზიცია დგომის დროს ან მუხლქვეშა, მცირე საჩინო და კანჭის ვენების მდგომარეობა ჯდომისას,
2. კანჭის სტანდარტული კომპრესიისას და მის შემდეგ რეფლუქსის, ნაკადის მოცულობის, ხანგრძლივობის და პიკური სიჩქარის გაზომვა,
3. პერფორატორების ზომა და კომპეტენტურობა,
4. საჩინო ვენების დიამეტრი,
5. ძირითადი საჩინო ვენის შენაკადების ზომა და კომპეტენტურობა,
6. ღრმა ვენებში რეფლუქსის ანატომიური გავრცელება.

ობსტრუქცია

ვენის ობსტრუქციის რაოდენობრივი შეფასება რთულია (თავი 5). ტრადიციული მეთოდები ზომავენ მკლავისა და ტერფის წნევათა სხვაობას¹¹, უკუდინების ფრაქციას^{12,13}, და უკუდინების რეზისტენტობას პლეთიზმოგრაფიის



საშუალებით¹. ეს მეთოდები გამოსახავენ გლობალურ ფუნქციურ ობსტრუქციას კოლატერალური ცირკულაციის ეფექტურობის ჩათვლით, მაგრამ ვერ აფასებენ ლოკალური ანატომიური ობსტრუქციის ხარისხს. IVUS გამოავლენს დაზიანებულ ვენურ სეგმენტში ობსტრუქციის შედარებით დონეს უფრო სარწმუნოდ, თუმცა ვერ გამოდგება საზარდულის ქვემო (ინფრაინგინალური) ობსტრუქციის შესაფასებლად.

სხვადასხვა CEAP კლინიკური კლასის პაციენტთა გამოკვლევა

ზუსტი დიაგნოზი ვენური პრობლემის სწორი კლასიფიკაციის საფუძველია. CVD მქონე პაციენტის სადიაგნოზო შეფასებისას გამოიყენება ტესტირების ერთი ან სამზე მეტი დონე, რაც დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე:

დონე I: ვიზიტი ექიმთან, რომელიც კრებს ანამნეზს და კლინიკურად სინჯავს პაციენტს, შესაძლოა ხელის დოპლერის ან ფერადი ნაკადური დუპლექსის გამოყენებით.

დონე II: არაინვაზიური ვასკულური ლაბორატორიული ტესტირება დეტალური დუპლექს სკენირება T პლეთიზმოგრაფიით ან მის გარეშე.

დონე III: ინვაზიური გამოკვლევების ან კომპლექსური გამოსახვითი კვლევების გამოყენება აღმავალი და ტრანსფემორალური (ანტეგრადული და რეტროგრადული) ფლემოგრაფიის, ვარიკოგრაფიის, ვენური წნევის გაზომვების, CTV სკენირების, MRV ან IVUS ჩათვლით.

კლინიკური კლასი C 0/1. ვენური დაავადების ხილული ან პალპაციით საგრძნობი ნიშნები არ არის; გამოხატულია ტელეანგიექტაზიები ან რეტიკულური ვენები.

ჩვეულებრივ საკმარისია I დონის გამოკვლევები. მიუხედავად ამისა, სიმპტომები, როგორცაა ტკივილი, სიმძიმე, ფეხების დაღლილობა და კუნთების კრუნჩხვები, ხილული ან პალპაციით საგრძნობი ვარიკოზული ვენების არარსებობის პირობებშიც წარმოადგენენ ჩვენებას დეტალური დუპლექსსკენირებისათვის. ეს გამოკვლევა საჭიროა რეფლუქსის გამოსარიცხად, რომელიც ხშირად წინ უსწრებს ვარიკოზის კლინიკურ გამოვლინებას.

კლინიკური კლასი C 2. ვლინდება ვარიკოზული ვენები შეშუპების და კანის ცვლილებების გარეშე. შემთხვევათა უმრავლესობაში უნდა მივმართოთ II დონის (დუპლექსსკენირება) გამოკვლევებს. იგი აუცილებელია პაციენტებისათვის, რომლებშიც სავარაუდოდ მოხდება ქირურგიული ჩარევა. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს III დონის გამოკვლევები.

კლინიკური კლასი C 3. შეშუპება ვარიკოზულ ვენებთან ერთად ან მათ გარეშე და კანის ცვლილებების გარეშე. გამოიყენება II დონის გამოკვლევები რეფლუქსის და ობსტრუქციის სიმძიმის დასადგენად და იმის განსასაზღვრად,



პასუხისმგებელია თუ არა შემუშავებაზე რეფლუქსი და ობსტრუქცია ღრმა ვენებში. თუ დუპლექსკანირება ავლენს საექვო ან დადასტურებულ ობსტრუქციას, ღრმა ვენური სისტემის შესასწავლად გამოყენებული უნდა იქნას III დონის გამოკვლევები. მიუხედავად იმისა არის თუ არა ობსტრუქცია დადგენილი ან საექვო დუპლექსკანირების შედეგად, ღრმა ვენური სისტემის გამოკვლევა III დონის გამოკვლევებით მაინც უნდა განხორციელდეს. იმ პაციენტებში, რომლებშიც საექვო ფლუბოლიმფური შემუშების არსებობა, ლიმფური შემუშების დასადასტურებლად შესაძლოა ნაჩვენები იყოს ლიმფოსცინტიგრაფია.

კლინიკური კლასი C 4,5,6. შესაძლო ვენურ დაავადებაზე მიმანიშნებელი კანის ცვლილებები შეხორცებული ან ღია წყლულის ჩათვლით, რომელსაც ახლავს ან არ ახლავს შემუშება და ვენების ვარიკოზი.

II დონის გამოკვლევები აუცილებელია პრაქტიკულად ყველა პაციენტისათვის. გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად როდესაც იგეგმება ქირურგიული ჩარევა ღრმა ვენებზე, უნდა ჩატარდეს III დონის გამოკვლევები. I დონის გამოკვლევები შესაძლოა საკმარისი იყოს ზოგიერთი პაციენტისათვის, რომლებსაც აქვთ კუნთოვანი ტუმბოს ნევროლოგიური დაავადებით გამოწვეული შეუქცევადი დისფუნქცია, კოჭ-წვივის სახსარში მოძრაობის არაკორეგირებადი შეზღუდვა, ან იმ შემთხვევებში, როდესაც ქირურგიული ჩარევა უკუნაჩვენებია.

ზოგიერთი გამოკვლევა შესაძლოა გადაიდოს, განსაკუთრებით თუ პაციენტს აქვს მტკივნეული წყლული. მნიშვნელოვანი პიგმენტაციის არსებობა მაღალი წინდების (გეტრების) მიდამოში შორსწასულ ვენურ დაავადებაზე მიუთითებს და საჭიროებს II დონის გამოკვლევას, რადგან მხოლოდ კლინიკურმა მონაცემებმა შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანონ¹⁴.

რეფლუქსის შეფასება და დაფიქსირება

არსებობს რეფლუქსის შეფასების რამოდენიმე მეთოდი:

1. გლობალური არაინვაზიური არაპირდაპირი გამოკვლევები, რომლებიც ემყარება მოცულობის ცვლილებებს. ასეთია პლექტიზმოგრაფია (VFL მლ/წმ-ში). ვენის ავსების დროის ერთდროულმა გაზომვამ APG გამოყენებით აჩვენა მაღალი კორელაცია დუპლექსით დადგენილ GSV რეფლუქსის დროსთან¹⁵. შესაბამისად, ერთი ზედაპირული ვენის დუპლექს სონოგრაფია ასახავს ფეხის საერთო ჰემოდინამიკურ სტატუსს.
2. გლობალური ინვაზიური გამოკვლევა (მაგ. ტერფის ზურგის ვენური წნევა), რომლითაც შესაძლებელია ზედაპირული და ღრმა რეფლუქსის დიფერენცირება. მუხლის ზემოთ და ქვემოთ მაგრდება მანქეტები და ხდება ამბულატორული ვენური წნევის (AVP) და აღდგენის დროის (RT) დაფიქსირება. მიუხედავად იმისა, რომ AVP არის



ოქროს სტანდარტი ამბულატორული ვენური წნევის თვალსაზრისით ჰემოდინამიკური ფუნქციის შესაფასებლად ვენური დაავადების დროს, იგი ვერ ახდენს რეფლუქსის რაოდენობრივ გაზომვას.

3. არაინვაზიური დუპლექს სონოგრაფია, რომელიც ახდენს სხვადასხვა ვენური სეგმენტების მორფოლოგიურ და ფუნქციურ გამოკვლევას. იგი ძირითადად იძლევა ხარისხობრივ ინფორმაციას ცალკეულ ვენებში რეფლუქსის არსებობის ან არარსებობის და მისი ინტენსივობის შესახებ; მიუხედავად ამისა,

შეიძლება გამოყენებული იქნას ნახევრად რაოდენობრივი გამოკვლევა რეფლუქსისა მისი პიკური სიჩქარის თვალსაზრისით- რეფლუქსის მოცულობითი ნაკადის რაოდენობრივი შეფასება მთელი დროის მანძილზე ან ნაკადის მოცულობის შეფასება რეფლუქსის პიკზე.

4. დადმავალი ვენოგრაფიის გამოყენებით Kistner-მა გამოყო ღრმა ვენური რეფლუქსის 5 ხარისხი:

— ხარისხი 0: კომპეტენტური სარქველები რეფლუქსის გარეშე;

— ხარისხი 1: გარდამავალი რეფლუქსი მხოლოდ ბარძაყის ზედა ნაწილში;

— ხარისხი 2: აშკარა რეფლუქსი, რომელიც შემოიფარგლება ბარძაყის ზედა ნაწილით ბარძაყის დისტალური ნაწილის ან მუხლქვეშა ვენის კომპეტენტური სარქველების გამო;

— ხარისხი 3: რეფლუქსი მუხლქვეშა ვენიდან წვივში;

— ხარისხი 4: მასიური კასკადური რეფლუქსი მუხლქვეშა ვენიდან წვივში და ხშირად არაკომპეტენტურ perforantul ვენებში.

შენიშვნა: Kistner-ის კლასიფიკაცია შეიძლება გამოყენებული იქნას დუპლექსის მონაცემების ინტერპრეტაციისას: სეგმენტური რეფლუქსი მოიცავს Kistner 1 და 2-ს, ხოლო აქსიალური რეფლუქსი კი Kistner-ის 3 და 4 ხარისხს

ობსტრუქციის გაზომვა და დაფიქსირება

ობსტრუქციის პათოფიზიოლოგიური კლასიფიკაცია საჭიროებს დამატებით ინფორმაციას მის სიმძიმეზე, განსაკუთრებით ილიო-კავალური (თემო-ღრუ ვენის) სეგმენტის დონეზე. ვენის ოკლუზია განისაზღვრება როგორც ვენის სანათურის სრული დახშობა, ხოლო ვენის ობსტრუქცია განისაზღვრება როგორც ვენაში სისხლის ნაკადის ნაწილობრივი ან სრული ბლოკირება. **ვენის ობსტრუქციის ფუნქციური შეფასების ოქროს სტანდარტი არ არსებობს.** დღესდღეობით არ არსებობს ადექვატური ჰემოდინამიკური ტესტი ლოკალური, ჰემოდინამიკურად მნიშვნელოვანი ობსტრუქციის დადგენისათვის. დადებითი გლობალური ტესტი, მაგ. პლეთიზომოგრაფია (უკუდენის ფრაქცია ან უკუდენის რეზისტენტობა), მტევანი-ტერფის წნევის დიფერენციალი (Raju ტესტი) ან ჰიპერემიული



წნევის დიფერენციალი, შეიძლება მიუთითებდნენ ვენური უკუდენის გლობალურ ობსტრუქციაზე. მიუხედავად ამისა, ამ ტესტების ნორმალური შედეგი შესაძლოა გამოწვეული იყოს კოლატერალური ცირკულაციის კარგი განვითარებით და, ამიტომ, ვერ გამორიცხავს მნიშვნელოვანი სტენოზის არსებობას. ცოტა ხნის წინ, ექსპერიმენტში ნაჩვენები იქნა, რომ ხელოვნურად გამოწვეული ვენური ობსტრუქციის დონის მატებისას იცვლებოდა ბარძაყის ვენის დუპლექს ულტრაბგერითი მაჩვენებლები¹⁶.

ბარძაყის ვენაში სიჩქარის პროფილის ანალიზი პაციენტებში წვივის გარდამავალი პნევმატური კომპრესიისას, შესაძლოა ჩამოყალიბდეს როგორც ვენური ობსტრუქციის რაოდენობრივი შეფასების ტესტი. დუპლექს ულტრაბგერამ შესაძლოა აღწეროს ფეხის ვენურ სისტემაში ობსტრუქციები და კოლატერალების მდგომარეობა, მაგრამ იგი ნაკლებ ღირებულება საზარდულის ზემო მიდამოს გამოკვლევისათვის. ბარძაყის ვენის ბილატერალური დინამიური წნევის გაზომვა ითვლებოდა მეთოდად, რომელიც აფასებდა ვენური უკუდენის ობსტრუქციის ხარისხს. საუკეთესო პარამეტრები იყო წნევის მომატება და წნევათა სხვაობა ვარჯიშამდე და ვარჯიშის დროს, ასევე უშუალოდ ვარჯიშის შემდეგ, და ასევე დრო, რომლის მანძილზე წნევა უბრუნდებოდა ვარჯიშამდე არსებულ დონეს. წნევის გაზომვა შეიძლება განხორციელდეს ორსიბრტყიანი ფემორალური ვენოგრაფიის პარალელურად, რომელიც აჩვენებს ილიო-კავალური უკუდენის მორფოლოგიურ ცვლილებებს. დღეს-დღეობით ილიო-კავალური უკუდენის **მორფოლოგიური** ცვლილებების შეფასების არჩევს მეთოდი IVUS. საინტერესო განვითარება ჰპოვეს CTV-მ და MRV-მ. ილიო-კავალური მორფოლოგიური ცვლილებების კლასიფიკაციისას ჩვენ უნდა განვასხვავოთ ოკლუზია და ობსტრუქცია და ასევე კოლატერალების განვითარება.

References

1. Nicolaides AN. Investigation of chronic venous insufficiency: A consensus statement (France, March 5-9,1997). Circulation 2000;102(20):E126-63.
2. Neglen P, Raju S. A comparison between descending phlebography and duplex Doppler investigation in the evaluation of reflux in chronic venous insufficiency: a challenge to phlebography as the “gold standard”. J Vasc Surg 1992;16(5):687-93.
3. Valentin LI, Valentin WH, Mercado S, Rosado CJ. Ve- nous reflux localisation: comparative study of venogra- phy and duplex scanning. Phlebology 1993;8:124-7.
4. Van Bemmelen PS, Bedford G, Beach K, Strandness DE. Quantitative segmental evaluation of venous valvu- lar reflux with duplex ultrasound scanning. J Vasc Surg



1989;10(4):425-31.

5. Hanrahan LM, Araki CT, Fisher JB, Rodriguez AA, Walker TG, Woodson J et al. Evaluation of the perforating veins of the lower extremity using high resolution duplex imaging. *J Cardiovasc Surg (Torino)* 1991;32(1):87-97.

6. Labropoulos N, Giannoukas AD, Nicolaidis AN, Ramaswami G, Leon M, Burke P. New insights into the pathophysiologic condition of venous ulceration with color-flow duplex imaging: implications for treatment? *J Vasc Surg* 1995;22(1):45-50.

7. Labropoulos N, Kang SS, Mansour MA, Giannoukas AD, Buckman J, Baker WH. Primary superficial vein reflux with competent saphenous trunk. *Eur J Vasc Endovasc Surg* 1999;18(3):201-6.

8. Welch HJ, Faliakou EC, McLaughlin RL, Umphrey SE, Belkin M, O'Donnell TF, Jr. Comparison of descending phlebography with quantitative photoplethysmography, air plethysmography, and duplex quantitative valve closure time in assessing deep venous reflux. *J Vasc Surg* 1992;16(6):913-9; discussion 919-20.

9. Delis KT, Husmann M, Kalodiki E, Wolfe JH, Nicolaidis AN. In situ hemodynamics of perforating veins in chronic venous insufficiency. *J Vasc Surg* 2001;33(4):773-82.

10. Kalodiki E, Calahoras L, Nicolaidis AN. Make it Easy: Duplex Examination of the Venous System. *Phlebology* 1993;8:17-21.

11. Raju S. New approaches to the diagnosis and treatment of venous obstruction. *J Vasc Surg* 1986;4(1):42-54.

12. Kalodiki E, Nicolaidis AN. Air-plethysmography for the detection of acute DVT; New criteria. *Vasc Surg* 1997;31(2):123-9.

13. Kalodiki E, Calahoras LS, Delis KT, Zouzias CP, Nicolaidis AN. Air plethysmography: the answer in detecting past deep venous thrombosis. *J Vasc Surg* 2001;33(4):715-20.

14. Lattimer CR, Kalodiki E, Azzam M, Geroulakos G. An international survey on the interpretation of pigmentation using the C class of the Clinical, Etiological, Anatomical, Pathophysiological classification. *J Vasc Surg; Venous and Lymph Dis* 2013;(2):49-54.

15. Lattimer CR, Azzam M, Kalodiki E, Geroulakos G. Venous filling time using air-plethysmography correlates highly with great saphenous vein reflux time using duplex. *Phlebology* 2014:(accepted 2012-in press)



16. Lattimer CR, Azzam M, Kalodiki E, Yun Xu X, Geroulakos G. Hemodynamic changes in the femoral vein with increasing outflow resistance. J Vasc Surg: Venous & Lymph Dis 2014;(2):26-33.

თავი 7

კომპრესიული მკურნალობა

CVD მართვის ფუნდამენტური კომპონენტია მკურნალობა, რომელიც ქვემო კიდურებზე კომპრესიას ახორციელებს.

ელასტიური ბანდები

გრძელი წელვადობის ელასტიური ბანდები თავის საწყის სიგრძეზე 100%-ით მეტად იწელება, ხოლო მოკლე წელვადობის ელასტიური ბანდები კი საწყისი სიგრძის 100%-ზე ნაკლებად. არსებობს მყარი ბანდაჟები, როგორცაა თუთიის თაბაშირიანი ნახვევი (ბანდაჟი) (უნას ჩექმა) და ზოგიერთი Velcro მოწყობილობა, რომლებიც საერთოდ არ იწელება¹. ქსოვილი შეიძლება დაფარული იყოს ადჰეზიური (რომელიც კანს ეკვრის) ან კოჰესიური (რომელიც ბანდს ეკვრის) მასალით რათა არ მოხდეს დაცურება. კომბინირებული ელასტიური ბანდები შედგება რამოდენიმე კომპონენტისაგან და ჩვეულებრივ აქვთ რბილი სარჩული (მრავალკომპონენტური ბანდაჟები)². ამ ბანდაჟების (ელასტიური ბანდების) უმეტესობა სპეციალური ცოდნის მქონე პერსონალმა უნდა მოარგოს პაციენტს, თუმცა ელასტიური ველკრო-სამაგრიანი ნახვევი შესაძლოა თავად პაციენტებმაც თვითონ დაიხვიოს³. In press

სამედიცინო კომპრესიული ტრიკოტაჟი და კლასები

სამედიცინო კომპრესიული წინდები მზადდება ელასტიზირებული ქსოვილისაგან. სიგრძის მიხედვით ისინი არიან: მუხლამდე (მაღალი წინდა), საზარდულამდე (მაღალყელიანი წინდა) და ბარძაყის (კოლგოტის სტილი). ისინი შესაძლოა სპეციალურად დამზადდეს პაციენტისათვის და იყოს თავისუფალ გაყიდვაში სხვადასხვა სტანდარტული ზომების სახით⁴. კომპრესიული წინდების უმრავლესობა ნაქსოვია წრიულად. სიგრძეზე ნაქსოვი პროდუქცია ჩვეულებრივ ინდივიდუალურად მზადდება ლიმფური შეშუპების მქონე პაციენტებისათვის და იგი უფრო მეტი სიმტკიცით ხასიათდება.

იმის მიხედვით, თუ რა წნევით აწვებიან კიდურს, ტრიკოტაჟი სხვადასხვა კომპრესიულ კლასს მიეკუთვნება.

თითოეული კომპრესიული კლასის წნევის პროფილი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა. ამის გამო,

რეკომენდებულია ტრიკოტაჟის კლასიფიცირება არა კომპრესიული კლასის, არამედ mmHg-ის მიხედვით². ცხრილში

I მოყვანილია ტერმინოლოგია, რომელიც გამოიყენება აშშ-ში და შესაძლოა მისი საერთაშორისო გამოყენებაც. ახლო წარსულში ჩატარდა კვლევა, რომელშიც მოხდა შედარება სტანდარტული წინდისა, რომელმაც უნდა განახორციელოს ძლიერი ზეწოლა გოჯზე და 20%-ით ნაკლები ზეწოლა წვივზე, ანუ მოახდინოს გრადუირებული კომპრესია (GC), წინდასთან, რომელმაც უნდა მოახდინოს 50%-ით უფრო მეტი ზეწოლა წვივზე, ანუ უარყოფითი გრადუირებული კომპრესია (NGC). ორივე წინდა დამზადებული იყო ერთნაირი მოკლე წელვადობის მასალისაგან⁵. ამ კვლევაში



მონაწილე 30 პაციენტს აღენიშნებოდათ დიდი საჩინო ვენის (GSV) უკმარისობა და იყვნენ ქირურგიული ჩარევის კანდიდატები (CEAP C2-C5). კანჭის ვენური ტუმბოს განდევნის ფრაქცია იზომებდა პლეთიმოგრაფიით სტანდარტული სიარულის ტესტის დროს კომპრესიის გარეშე, CG-ით და NGC-ით. წნევა წინდის ქვეშ იზომებოდა ერთდროულად წვივზე და ფეხის დისტალურ ნაწილზე. NGC-ს შემთხვევაში, რომლის დროსაც საშუალო წნევა მეტი იყო წვივზე (29 mmHg), ვიდრე ფეხის დისტალურ ნაწილზე (18.5 mmHg) მიღწეული იქნა განდევნის ფრაქციის მნიშვნელოვნად უფრო მეტად მომატება (საშუალო ნამატი 75%) შედარებით GC-თან (32% მომატება) სადაც დისტალური წნევა იყო 22 mmHg ხოლო წნევა წვივზე 19 mmHg ($P < 0.001$).

ცხრილი 7.1 სამედიცინო კომპრესიული წინდების კლასები იმის მიხედვით, თუ რა წნევით (mmHg) ახდენენ ისინი კომპრესიას ქვედა კიდურის დისტალურ ნაწილზე

კლასი	წნევა mmHg-ში	კომპრესიის დონე
I	10-20	მსუბუქი
II	21-30	საშუალო
III	31-40	ძლიერი
IV	> 40	ძალიან ძლიერი

მოსაზღვრე წნევის და სიმტკიცის გაზომვა⁶

ტრიკოტაჟის მწარმოებლების მიერ შემოთავაზებული წნევა იზომება სპეციალურ ლაბორატორიაში. აქ სხვადასხვა ექსტენზიომეტრების გამოყენებით ითვლიან ძალას, რომელსაც ქსოვილი, მისი წელვადობიდან გამომდინარე, ახდენს თეორიულ ცილინდრულ მოდელზე. სიმტკიცე განისაზღვრება, როგორც წნევის მომატება ფეხის გარშემოწერილობის 1 სმ-ით გაზრდისას⁴. კლინიკურ პრაქტიკასა და კვლევებში სხვადასხვა კომპრესიული სისტემების შედარების გასაადვილებლად, მოსაზღვრე წნევა და სიმტკიცე ასევე იზომება *in vivo*². ქსოვილის სიმტკიცე დგინდება მოსაზღვრე წნევის ზრდით ფეხის გარშემოწერილობის ერთი სმ-ით მომატებისას სიარულის დროს (სიარულის წნევა) კუნთების შეკუმშვისას ან დგომისას^{2,4}. კომპრესიულ ბანდაჟებზე (ელასტიურ ბანდებზე) რამოდენიმე შრის დამატება და წინდების ზედდება ზრდის საერთო კომპრესიის წნევას და სიმტკიცეს.

ელასტიური ბანდების პრაქტიკული გამოყენება



არ არსებობს სარწმუნო მონაცემები იმის შესახებ, თუ ნახვევის რომელი ტექნიკაა უკეთესი (სპირალური, რვიანისებური, წრიული თუ სხვ). კარგი კომპრესიული ნახვევის მნიშვნელოვანი ნიშანია ის, რომ იგი უზრუნველყოფს საკმარისად მაღალ წნევას სიარულისას („სამუშაო წნევა“) და აქვს მასაჟის მნიშვნელოვანი ეფექტი, ხოლო მოსვენებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს მისაღებ (ასატან) ზეწოლას.

ნახვევის ზეწოლა შეშუპების შემცირებისას იკლებს. შესაბამისად, ნახვევის დადება ხელახლა უნდა მოხდეს საკმარისად მაღალი ზეწოლით და ისევ უნდა განახლდეს როდესაც კომპრესია არაეფექტური ხდება. ელასტიური ბანდები უნდა ირეცხებოდეს და იყოს მრავალჯერადი გამოყენების. მრავალ კომპონენტისანი ელასტიური ბანდები ზემოთ ხსენებულ მოთხოვნებს უკეთ აკმაყოფილებენ, ვიდრე ერთ კომპონენტისანი ბანდები. შესაძლოა გამოიყენებოდეს სხვადასხვა მასალის ბალიშები იმისთვის, რომ მეტი იყოს წნევა სკლეროთერაპიის შემდეგ, ნამკურნალევ ვენურ სეგმენტზე ან მედიალური გოჯის უკან განლაგებული წყლულის შემთხვევაში.

კომპრესიული წინდების პრაქტიკული გამოყენება

წინდები უნდა დაენიშნოს მხოლოდ იმ პაციენტს, ვისაც შეუძლია ისინი მუდმივად იხმაროს. უმჯობესია, რომ პაციენტმა ისინი ჩაიცვას დილით⁷ და იმ შემთხვევაში თუ მათ ყოველდღიურად იყენებს, შეცვალოს ახალი წინდებით 3-6 თვის შემდეგ. წინდების ჩაცმის გასაადვილებლად სხვადასხვაგვარი მოწყობილობებია შექმნილი. დოლბანდები ძირითადად გამოიყენება კომპრესიული თერაპიის დასაწყისში, ხოლო წინდები რეკომენდებულია ქრონიკული მდგომარეობების დროს ხანგრძლივი გამოყენებისათვის.

ცხოვრების ხარისხი და დანიშნული მკურნალობის შესრულება

მრავალი კვლევით დადასტურებულია, რომ კომპრესიული მკურნალობა აუმჯობესებს CVD-ს მქონე პაციენტების ცხოვრების ხარისხს⁸⁻¹². წყლულის რეციდივის პრევენციისათვის საკვანძო საკითხია პაციენტის მიერ დანიშნული მკურნალობის შესრულება.¹¹⁻¹⁶ DVT-ს შემდეგ, კომპრესიული წინდების რეგულარულმა ყოველდღიურმა გამოყენებამ, მინიმუმ ორი წლის მანძილზე შეიძლება შეამციროს პოსტთრომბოტული სინდრომის (PTS) სიხშირე და სიმძიმე^{13-15,17} (იხ. ქვემოთ).

მოქმედების მექანიზმი



ცხრილში II ნაჩვენებია კომპრესიული მკურნალობის სხვადასხვა სასარგებლო ეფექტები და მათი გაზომვის მეთოდების მონაცემების შეჯამება. ექსპერიმენტული კვლევების დახმარებით ახსნილი იქნა სხვადასხვა კომპრესიული საშუალებების გავლენა ჯანმრთელ და დაავადებულ ფეხზე.

კლინიკური გამოყენება

ზემოქმედება სიმპტომებზე და ცხოვრების ხარისხზე (QoL) პაციენტებში მსუბუქი და საშუალო სიმძიმის CVD-ით

ჩატარებული იქნა პროსპექტული ჯვარედინი კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 19 ავიაგამცილებელი. მონაწილეები ვიზუალურ-ანალოგური შკალის მიხედვით თავის სიმპტომებს ანიჭებდნენ ქულას¹⁸. კვლევის საწყის ფაზაში მონაწილეებს 2 კვირის მანძილზე არ უტარებოდათ კომპრესია. შემდეგში, როდესაც ისინი რეგულარულად დაფრინავდნენ, მათ ეცვათ 8-15 mm Hg და 15-10 mm Hg გრადიენტის მქონე კომპრესიული წინდები, 4 კვირის განმავლობაში. მსუბუქი (დაბალი კომპრესიის დონის) გრადიენტული კომპრესიული წინდები იყო ძალიან ეფექტური სიმპტომებისა და დისკომფორტის ($P < 0.01$), შეშუპების (თითქმის $P < 0.05$), დადლილობის ($P < 0.05$), ტკივილის ($P < 0.01$), და ფეხების დაჭიმულობის შემცირების თვალსაზრისით.

ცხრილი VII.2 - კომპრესიული მკურნალობის ეფექტი

პარამეტრი	გამოკვლევის მეთოდი
წნევა დოლბანდის ქვეშ	MST-ტესტერი, Picopress, Kikuhime 4, 61, 62
შეშუპების შემცირება	ვოლუმეტრია, იზოტოპები, ულტრაბგერა 63-65
ვენური მოცულობის შემცირება	ფლემოგრაფია, სისხლის შეგუბების სცინტიგრაფია, აირით პლეთიზმოგრაფია (APG) 44, 45, 66-71
ვენური ნაკადის სიჩქარის მომატება	ცირკულაციის დრო (იზოტოპები), დუპლექსი 72, 73
სისხლის გადანაცვლება ცენტრალური განყოფილებებისკენ	სისხლის შეგუბების სცინტიგრაფია, გულის განდევნა, 74
ვენური რეფლუქსის შემცირება	დუპლექსი, APG 69, 70, 75
ვენური დგუშის გაუმჯობესება	ტერფის ვოლუმეტრია, პლეთიზმოგრაფია, ვენური წნევა 66, 67, 70, 71, 76-82
არტერიული ნაკადის გაზრდა	დუპლექსი, Xenon- კლირენსი, ლაზერული დოპლერი 50, 83-88
მიკროცირკულაციის გაუმჯობესება	კაპილაროსკოპია, tcPO2, ლაზერული დოპლერი 86, 89-92
ლიმფის დრენირების გაუმჯობესება	იზოტოპური და არაპირდაპირი ლიმფოგრაფია 93, 94
ულტრასტრუქტურაზე და ციტოკინებზე მოქმედება	მიკროსკოპია და ჰისტოქიმია 95-97 ლაბორატორიული გამოკვლევები 98-100

შენიშვნა: კომპრესიის წნევა არასოდეს არ უნდა აღემატებოდეს პერფუზიულ წნევას



სიმპტომების გაუმჯობესება სტატისტიკურად სარწმუნო იყო იმ მონაცემებთან შედარებით, რომლებიც მიიღეს 4 კვირის მანძილზე სიარულისას კომპრესიული ტრიკოტაჟის მოხმარების გარეშე. განსხვავება 8-15 mm Hg და 15-10 mm Hg კომპრესიას შორის სტატისტიკურად სარწმუნო არ იყო.

4 კვირიან, მულტიცენტრულ, რანდომიზებულ ორმაგად ბრმა, პლაცებო კონტროლირებად კლინიკურ კვლევაში, რომელიც ჩატარდა 2 პარალელურ ჯგუფში, მონაწილეობდა 341 ქალი, მსუბუქი ქრონიკული ვენური უკმარისობით CEAP-ის ხარისხი C(1-3s) E(p) A(s1-5)⁹. ხდებოდა 1 კლასის გრადუირებული ელასტიური კომპრესიული (GEC) წინდების (წნევა გოჯთან 10- 15 mm Hg) შედარება პლაცებო-წინდებთან (წნევა გოჯთან 3-6 mm Hg). მკურნალობის ეფექტურობის შეფასება ხდებოდა საერთო გაუმჯობესების მიხედვით ვიზუალურ-ანალოგურ შკალაზე (პირველადი ეფექტურობის პარამეტრი) , ცხოვრების ხარისხის (QoL) მიხედვით, რომელიც ფასდებოდა CIVIQ კითხვარით. ასევე განისაზღვრებოდა სიმპტომების ინდექსი (ტკივილის, კიდურის სიმძიმის, პარესთეზიების, კრუნჩხვების და საღამოობით კიდურის შეშუპების ქულათა ჯამი) და კიდურის მოცულობა, რომელიც იზომებოდა ვოლუმეტრით.იმ პაციენტებში, რომლებიც ხმარობდნენ 1 კლასის GEC წინდებს, დაფიქსირდა ცხოვრების ხარისხის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და კიდურის შეშუპების შემცირება.

სხვა მულტიცენტრულ რანდომიზებულ, ორმაგად ბრმა, ჯვარედინ კვლევაში, მონაწილეობდა 125 ქალი, საწყისი სტადიის ქრონიკული CVD-ით (CEAP კლასიფიკაციით C1-3sEp As1-5). ეს კვლევა ადარებდა ერთმანეთს 1 კლასის (10-15 mmHg გოჯთან) კომპრესიულ წინდებს, იდენტური შესახედაობის საკონტროლო წინდებთან¹¹. აღინიშნა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება როგორც საერთო მტკივნეული დისკომფორტის, ისე ცხოვრების ხარისხის კრიტერიუმებისა.

ასევე ჩატარებული იქნა ჯვარედინი კვლევა 108 თმის სტილისტის მონაწილეობით, რომლებსაც რანდომიზირებულად უტარდებოდათ სამედიცინო კომპრესიული წინდებით მკურნალობა (MCS; 15-20 mmHg)¹⁹. MCS ხმარებამ შეამცირა ტკივილის და შეშუპების ქულა (ფარგლები 0-4) საშუალოდ 0.22 -ით (12%, P < 0.001). ასევე გაუმჯობესდა ძილი, უშნო ფეხების შეგრძნება და დეპრესიულობა, ხოლო ქვედა კიდურების მოცულობა შემცირდა საშუალოდ 19 mL-ით (P < 0.001), განსაკუთრებით ასაკოვან სტილისტებში (P < 0.001).

ჩატარებული იქნა მეტაანალიზი 11 RCT 1,453 პირის მონაწილეობით (სხვადასხვა ფორმის სტრესის გავლენის ქვეშ მყოფი 794 ჯანმრთელი ადამიანი, 552 პაციენტი CVD-ით და 141 პაციენტი ვარიკოზის გამო ჩატარებული ქირურგიული ოპერაციით). ერთმანეთს შედარდა წინდები, რომლებიც გოჯთან 10-20 mmHg წნევას ახორციელებდა და პლაცებო, ასევე მკურნალობის გარეშე მდგომარეობა და წინდები, რომლებიც 20



mmHg-ზე მეტ წნევას ახორციელებდნენ²⁰. 10-20 mmHg კომპრესიას აშკარა დადებითი ეფექტი ქონდა შემუშავებაზე და სიმპტომებზე 10 mmHg -ზე ნაკლებ წნევასთან შედარებით, პლაცებო მაღალყელიან წინდებთან და მკურნალობის გარეშე მდგომარეობასთან შედარებით ($P < 0.0001$). წინდები, რომლებიც ახორციელებენ 10-20 mmHg წნევას და 20 mmHg -ზე მეტ წნევას, ყველა კვლევის მიხედვით ერთნაირი ეფექტურობით ხასიათდებიან. ავტორებმა დაასკვნეს, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური განსხვავებებისა, და მონაცემთა ზოგჯერ სუბოპტიმალური რეპორტირებისა, მეტანალიზი მიუთითებს, რომ ქვემო კიდურების კომპრესია 10-15 mmHg წნევით ეფექტურია CVD სამკურნალოდ. ნაკლები წნევა არაეფექტურია, ხოლო უფრო მაღალ წნევას დამატებითი სარგებლობა არ მოაქვს. Cochrane -ის 7 კვლევის მიმოხილვამ, რომლებშიც მონაწილეობდა 356 პაციენტი (CEAP C1-4) დაასკვნა, რომ სიმპტომები სუბიექტურად უმჯობესდებოდა წინდების მოხმარებისას ყველა კვლევაში, მაგრამ შეფასებები არ იყო ჩატარებული კვლევის რანდომიზებული ჯგუფის საკონტროლო ჯგუფთან შედარების საფუძველზე და ამიტომ ისინი არ არის ზუსტი¹². შესაბამისად, გაკეთდა დასკვნა, რომ არ არსებობს საკმარისი მაღალი ხარისხის მონაცემები იმისათვის, რომ განვსაზღვროთ არის თუ არა კომპრესიული წინდები ეფექტური როგორც ვარიკოზული ვენების საწყისი მონოთერაპია და უნდა მიენიჭოს თუ არა წინდების რომელიმე ტიპს უპირატესობა სხვა ტიპთან შედარებით.

უარყოფითი GEC წინდების ეფექტურობა საშუალო და მძიმე CVD დროს შეფასდა კვლევაში, რომელშიც მონაწილეობდა 401 პაციენტი (CEAP C2b-დან C5-მდე) რანდომიზებული რეგრესიული კომპრესიული წინდების (30 mm Hg გოჯთან, 21 mm Hg წვივის ზედა ნაწილში) ან პროგრესიული კომპრესიული წინდების (10 mmHg გოჯთან, 23 mmHg წვივის ზემო ნაწილში)²². პირველადი გამოსავალი შეფასდა 3 თვის შემდეგ და ეს იყო საერთო წარმატების გამოსავალი, რომელიც მოიცავდა ტკივილის შეგრძნების ან ფეხებში სიმძიმის გაუმჯობესებას, ქვემო კიდურების წყლულის, ღრმა ან ზედაპირული ვენების თრომბოზის განვითარების და ფილტვის თრომბოემბოლიის გარეშე. წარმატების ხარისხი უფრო მეტი იყო პროგრესიული კომპრესიული წინდების ჯგუფში, ვიდრე დეგრესიული კომპრესიული წინდების ჯგუფში (70.0% და 59.6%; შედარებითი რისკი, 1.18; 95% სარწმუნო ინტერვალი, 1.02-1.37; $P = 0.03$). ეს ძირითადად განპირობებული იყო პროგრესიული კომპრესიული წინდების ჯგუფში სიმპტომების გაუმჯობესების უფრო მეტი სიხშირით. ამასთანავე, პროგრესიული კომპრესიული წინდები უფრო ადვილი ჩასაცმელი იყო პაციენტთა 81.5%-ის აზრით, რეგრესიული კომპრესიული წინდების ჯგუფში ეს რიცხვი 49.7% იყო ($P < 0.0001$).

კომპრესიული წინდების ეფექტურობა ორსულობის დროს

პროსპექტული რანდომიზებული კონტოლირებული კვლევაში, რომელშიც მონაწილეობდა 42 ორსული ქალი, ხდებოდა შედარება საკონტროლო ჯგუფს (წინდების გარეშე) ($n = 15$) და ორ სამკურნალო ჯგუფს: I ჯგუფში ($n = 12$). ქალებს ეცვათ I კლასის კომპრესიული წინდები (18-21 mm Hg) მარცხენა ფეხზე და II კლასის წინდები (25-32 mm Hg) მარჯვენა ფეხზე; მე-2 ჯგუფში ($n = 15$), კომპრესიული კლასები პირიქით იყო განაწილებული²³. ვერცერთი



კლასის კომპრესიულმა წინდებმა ვერ მოახდინა ზედაპირული ვარიკოზული ვენების გაჩენის პრევენცია. მიუხედავად ამისა, GSV რეფლუქსი საჩინო-ფემორალურ შერთულთან მესამე ტრიმესტრში აღნიშნა ნამკურნალევი 27 ქალიდან მხოლოდ ერთს, მაშინ როდესაც საკონტროლო ჯგუფის 15 ქალიდან იგი ქონდა ოთხს ($P = 0.047$). გარდა ამისა, ნამკურნალევი ქალებიდან უფრო მეტი აღნიშნავდა ფეხების მხრივ სიმპტომების გაუმჯობესებას (7/27 და 0/15 საკონტროლო ჯგუფში; $P = 0.045$). ავტორებმა დაასკვნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომპრესიული წინდები ვერ ახდენენ გესტაციური ვარიკოზული ვენების პრევენციას, ისინი ამცირებენ GSV რეფლუქსის სიხშირეს საჩინო-ფემორალურ შერთულთან და აუმჯობესებენ სიმპტომებს; საჭიროა მეტი რანდომიზებული კლინიკური კვლევების (RCTs) ჩატარება.

კომპრესიული წინდების ეფექტურობა სკლეროთერაპიის შემდეგ

ორი კვლევა მიემდგვნა კომპრესიული წინდებისა და მათი გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას მსგავსი ლოკალიზაციის რეტიკულური ვენებისა და ტელეანგიექტაზიების სკლეროთერაპიის შემდეგ.

პირველ კვლევაში მონაწილეობდა 40 პაციენტი, რომელთაგან 30 იტარებდა კომპრესიულ მკურნალობას, ხოლო 10 პაციენტი შეადგენდა საკონტროლო ჯგუფს - კომპრესიული მკურნალობის გარეშე²⁴. კომპრესიული ჯგუფი დაყოფილი იყო სამ ქვეჯგუფად (თითოეულში იყო 10 პაციენტი) კომპრესიის ხანგრძლივობის მიხედვით: 3 დღე, 1 კვირა და 3 კვირა. პაციენტებში გაუმჯობესების ხარისხის და გვერდითი ეფექტების შეფასება ხდებოდა 1, 2, 6, 12 და 24 კვირაზე. სამივე კომპრესიულ ჯგუფში მე-6 კვირაზე აღინიშნა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით ($P=0.004$). პაციენტებს, რომლებსაც კომპრესიული მკურნალობა უტარდებოდათ 3 დღე ან 1 კვირა ჰქონდათ უკეთესი შედეგი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ხოლო პაციენტებს, რომლებსაც 3 კვირა მუდმივი კომპრესია უტარდებოდათ, აღნიშნებოდათ საუკეთესო დადებითი შედეგი. რაც შეეხება გვერდით ეფექტებს, 1 კვირიანი და 3 კვირიანი კომპრესიის ჯგუფში აღინიშნებოდა ნაკლები სკლეროთერაპიის შემდგომი ჰიპერპიგმენტაცია.

მეორე კვლევაში მონაწილეობდა 100 ქალი, რომლებსაც აღნიშნებოდათ ტელეანგიექტაზიები ან რეტიკულური ვენები ბარძაყის ლატერალურ ზედაპირზე (C1A ან SEPAS1PN). სტანდარტული სითხით სკლეროთერაპიის ერთი სესიის შემდეგ, ისინი რანდომიზებული იყვნენ და ნაწილი იტარებდა სამედიცინო კომპრესიული წინდებით



მკურნალობას (23-32 mmHg) ყოველდღიურად 3 კვირის მანძილზე, ხოლო მეორე ნაწილი არ იტარებდა კომპრესიულ თერაპიას²⁵. შედეგის შეფასება ხდებოდა ერთის მხრივ, პაციენტის კმაყოფილების ანალიზის საფუძველზე და მეორე მხრივ რაოდენობრივი შეფასებით ბარძაყის ლატერალური ზედაპირის ფოტოებისა, რომლებსაც იღებდა ორი დამოუკიდებელი დამკვირვებელი სკლეროთერაპიამდე და მის შემდეგ საშუალოდ 52 დღეში.

კომპრესიული წინდების ხმარებამ (23-32 mmHg) 3 კვირის მანძილზე გააძლიერა სკლეროთერაპიის ეფექტურობა ფეხებზე არსებული ტელანგიექტაზიების თვალსაზრისით, რადგან შეუწყო ხელი კლინიკურად სისხლძარღვების გაქრობას. როგორც ჩანს, სამკვირიანი მუდმივი კომპრესია განაპირობებს უკეთეს შედეგს, თუმცა 3 დღიანი კომპრესიაც კი უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე კომპრესიის არარსებობა. კომპრესია განაპირობებს სკლეროთერაპიის შემდგომი ჰიპერპიგმენტაციის სტატისტიკურად მნიშვნელოვან შემცირებას. ორ კვლევაში მოხდა, სითხით სკლეროთერაპიის შემდეგ, მაღალი კომპრესიული წინდებისა და ელასტიური ბანდების შედარება. პირველი იყო RCT, რომელიც ადარებდა სტანდარტული ნახვევის ტექნიკას მაღალი წნევის კომპრესიულ წინდასთან²⁶.

ეფექტურობა ვასდებოდა ინექციების წარმატებულობის, მკურნალობის გართულებების და პაციენტის კმაყოფილების ხარისხის მიხედვით. წინდებიან ფეხებში ჩატარებული 156 ინექციიდან 144 იყო წარმატებული, ხოლო ნახვევის ჯგუფში 147-დან წარმატებული იყო 117 ($P < 0.001$). ზედაპირული ვენების თრომბოზის სიხშირე ასევე ნაკლები იყო წინდების ჯგუფში. მეორე კვლევაში, მხოლოდ მაღალმა კომპრესიულმა წინდებმა ისეთივე ეფექტი გამოიწვია, როგორც Elastocrepe ნახვევებმა წინდებთან ერთად²⁷. გაკეთდა დასკვნა, რომ სკლეროთერაპიის შემდეგ არ არის საჭირო ნახვევის გამოყენება, თუ გამოიყენება მაღალი კომპრესიის წინდები.

ორ კვლევაში მოხდა კომპრესიული ნახვევისა და წინდების ეფექტურობის შედარება პაციენტებში, ქაფით სკლეროთერაპიის შემდეგ. პირველ კვლევაში 124 ფეხი რანდომიზებული იქნა 24 საათიანი და 5 დღიანი ნახვევისათვის²⁸. 2 კვირის შემდეგ არ აღინიშნა მნიშვნელოვანი განსხვავება ზედაპირული თრომბოფლებიტის და 6 კვირის შემდეგ კანის გაუფერულების სიხშირეში (46% და 40%, $P = 0.546$). ასევე 2 და 6 კვირის შემდეგ არ იყო მნიშვნელოვანი სხვაობა საწყის დონესთან შედარებით არც AVVSS-ში და არც Burford ტკივილის ქულაში. ასევე არ აღინიშნა მნიშვნელოვანი სხვაობა საწყისი დონიდან 6 კვირამდე Short Form 36 ქულაში.

მეორე კვლევაში, 60 პაციენტი დიდი და მცირე საჩინო ვენის უკმარისობით რანდომიზირებული იქნა ჯგუფში კომპრესიული წინდებით (15-20 mmHg დღის მანძილზე, 3 კვირის განმავლობაში) ან კომპრესიის გარეშე²⁹. მე-14 და 28-ე დღეებზე დამოუკიდებელი ექსპერტები ატარებდნენ კლინიკურ და დუპლექს ულტრაბგერით შეფასებას. პაციენტები ავსებდნენ QoL და კითხვარებს სიმპტომების შესახებ. კომპრესიისა და საკონტროლო ჯგუფებს შორის არ აღინიშნებოდა სხვაობა ეფექტურობაში, გვერდით ეფექტებში, კმაყოფილების ქულებში,



სიმპტომებსა და QoL -ში. პაციენტებში სკლეროთერაპიის შემდეგ კომპრესიის როლის დასადგენად დამატებითი RCT ჩატარებაა საჭირო.

კომპრესიული წინდების ეფექტურობა ვარიკოზულ ვენებზე ქირურგიული ჩარევის შემდეგ

ვარიკოზული ვენების ქირურგიის შემდეგ III კლასის კომპრესიული წინდების მნიშვნელობა შესწავლილი იქნა ორ კვლევაში. კვლევაში, რომელიც ადარებდა ერთმანეთს მაღალი და დაბალი კომპრესიის წინდებს

(40mmHg და 15mmHg გოჭის დონეზე) ორივე მათგანი ეფექტური აღმოჩნდა სისხლნაქუნთებისა და თრომბოფლებიტის კონტროლის თვალსაზრისით, თუმცა უფრო კომფორტულად მიიჩნეოდა დაბალი კომპრესიის წინდები²⁷. მეორე კვლევაში პაციენტები რანდომიზირებული იყვნენ ნახვევის დასადგენად ან I ან III კლასის წინდებით სამკურნალოდ³⁰. ტკივილისა და ფასის თვალსაზრისით განსხვავება ვერ იქნა ნანახი.

ორ კვლევაში მოხდა II კლასის კომპრესიული წინდების როლის გამოკვლევა ვარიკოზულ ვენებზე ქირურგიული ჩარევის შემდეგ. RCT კვლევაში, რომელშიც ჩართული იყო 76 კიდური, სამი თვიდან ერთ წლამდე დროის განმავლობაში ოპერაციის შემდეგ წინდების ხმარებამ ვარიკოზული ვენების რეციდივის შემცირება გამოიწვია³¹. რეციდივის სიხშირე შემცირდა 61%-დან საკონტროლო ჯგუფში 12%-მდე წინდების ჯგუფში. მეორე კვლევაში 60 პაციენტი CEAP C-ს რანდომიზირებული იქნა პოსტოპერაციული კომპრესიული მკურნალობისათვის წინდებით ან სტანდარტული ელასტიური ბანდებით ორი კვირის მანძილზე³². პირველადი საბოლოო წერტილები იყო ვენური თრომბოემბოლიის, ჰემორაგიის, კიდურის ჰემატომის ან შეშუპების სიხშირე. ორ ჯგუფს შორის არ ყოფილა განსხვავება ოპერაციის შემდეგ მე-7 და მე-14 დღეებზე ბარძაყის ჰემატომის საშუალო ფართობში. ოპერაციის შემდეგ მე-7 დღეს შეშუპება აღენიშნებოდათ ნახვევის მქონე პაციენტთა 50% და მხოლოდ 20%-ს იმ პაციენტებიდან, რომლებსაც ეცვათ წინდები, რაც მნიშვნელოვან შემცირებას ნიშნავს. პოსტოპერაციული ტკივილის თვალსაზრისით სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირებულა. თუმცა, წინდების ჯგუფში აღინიშნა პაციენტთა უკეთესი განწყობა და უკეთესი ცხოვრების ხარისხი ოპერაციის შემდეგ.

ორ კვლევაში შეფასდა ვარიკოზულ ვენებზე ქირურგიული ჩარევის შემდეგ კომპრესიული ელასტიური ბანდების ქვეშე ლოკალური კომპრესიული ბალიშების დამატება. პირველ კვლევაში 200 პაციენტი რანდომიზირებული იყო ჯგუფში ექსცენტრული კომპრესიისათვის, რომელიც ხორციელდებოდა ბარძაყის მედიალურ ზედაპირზე, რომლის შედარება ხდებოდა მდგომარეობასთან ასეთი კომპრესიის გარეშე³³. პაციენტებს გეგმიურად უტარდებოდათ გამოკვლევა 7 დღის მანძილზე, ტკივილის დონის შესაფასებლად. ტკივილის ინტენსივობა იზომებოდა ვიზუალურ-ანალოგური შკალით 0 ქულიდან (ტკივილი არ არის) 10 ქულამდე (მაქსიმალური ტკივილი). პოსტოპერაციული ტკივილის ინტენსივობა მნიშვნელოვნად უფრო დაბალი იყო ($P < 0.001$) ექსცენტრული კომპრესიის ჯგუფში



საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. მეორე კვლევაში⁵⁴ პაციენტებს, რომლებსაც ჩაუტარდათ GSV სტრიპინგი და გვერდითი ტოტის ამოღება ადგილობრივი ანესთეზიის პირობებში, პოსტოპერაციულად მკურნალობდნენ თანმიმდევრობით A) ბარძაყამდე სიგრძის კომპრესიული წინდებით; B) ადჰეზიური ელასტიური ბანდებით და C) ახალი ექსცენტრული კომპრესიული ბალიშებით ნახვევებთან და წინდებთან ერთად³⁴. ყველაზე დაბალი წნევა -15 mmHg ბარძაყის დონეზე წოლით მდგომარეობაში ნანახი იქნა A ჯგუფში კომპრესიული წინდის ქვეშ. B და C ჯგუფებში იყო მნიშვნელოვნად უფრო მაღალი მაჩვენებლები (საშ. მაჩვენებელი 47 და 68 mmHg შესაბამისად, წოლისას, $P < 0.001$). ძირითადი გვერდითი ეფექტები ნანახი იქნა 18-დან 10 პაციენტში A ჯგუფში, 1/18 B ჯგუფში და 0/18 C ჯგუფში. როგორც ჩანს, საუკეთესო შედეგი ტკივილისა და ჰემატომის შემცირების თვალსაზრისით მიიღწევა როდესაც ექსცენტრული კომპრესიული ბალიში მიკრულია ბარძაყის კანზე და მოქცეულია კომპრესიული წინდის ქვეშ.

ვარიკოზულ ვენებზე ქირურგიული ჩარევის შემდეგ კომპრესიული ნახვევების მნიშვნელობაზე არსებობს ურთიერთ საწინააღმდეგო მონაცემები. ერთმა კვლევამ ^{99mTc} ნიშნული სისხლის წითელი უჯრედების გამოყენებით აჩვენა, რომ მაღალი კომპრესია ამცირებს ბარძაყზე ჰემატომას³⁵. მიუხედავად ამისა, არ არის განსხვავება ნახვევსა და I კლასის კომპრესიულ წინდებს³⁶ და სხვადასხვა ხანგრძლივობის კომპრესიით ნამკურნალევ ჯგუფებს შორის (1 კვირა, 3 კვირა და 6 კვირა)^{37,38}.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, სხვადასხვა RCT-სა და მეტაანალიზის მონაცემები შესაძლოა ზოგჯერ ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს. ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ სამკურნალო ინტერვენცია ხშირად არასათანადოდ არის ჩატარებული, მაგ: კარგი წინდების შედარება ხდება ნახვევის სუსტ ტექნიკასთან. კომპრესიის მახასიათებლები (წნევა და სიმტკიცე) კვლევებში იშვიათად არის მოცემული, და მიღებულ დასკვნებს ამის გამო სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

კომპრესიული წინდების მნიშვნელობა PTS პრევენციისათვის

ოთხი RCT მიემდგნა PTS -ის პრევენციისათვის კომპრესიული წინდების შესწავლას პაციენტებში პროქსიმალური ღრმა ვენის თრომბოზით, რომლებიც იტარებდნენ სტანდარტულ ანტიკოაგულიანტურ თერაპიას.

პირველ კვლევაში მონაწილეობდა 194 პაციენტი, რომლებიც რანდომიზებული იყვნენ კომპრესიული წინდებით (კლასი III) მკურნალობის ჯგუფში ან წინდების გარეშე დაკვირვების ჯგუფში¹³. ორივე ჯგუფზე დაკვირვების საშუალო ხანგრძლივობა იყო 76 თვე (60-დან 96 თვემდე). მსუბუქი ან საშუალო PTS განუვითარდა, წინდების ჯგუფში 19 პაციენტს (20%), ხოლო საკონტროლო ჯგუფში კი 46 (47%)-ს ($P < 0.001$). მძიმე PTS გამოვლინდა



11(11%) პაციენტში წინდების ჯგუფში და 23 (23%) პაციენტში საკონტროლო ჯგუფში ($P < 0.001$). ორივე ჯგუფში PTS შემთხვევათა უმრავლესობა განვითარდა მწვავე თრომბოზული მოვლენებიდან 24 თვის ფარგლებში.

მეორე კვლევაში 180 პაციენტი რანდომიზებული იყო მუხლამდე ელასტიური კომპრესიული წინდების (კლასი III) 2 წლის მანძილზე მოხმარების ან საკონტროლო ჯგუფში¹⁴. დაკვირვება მიმდინარეობდა 5 წლის მანძილზე.

პოსტთრომბოზული გართულებები განუვითარდა საკონტროლო ჯგუფის 90 პაციენტიდან 44(49%) -ს (10 შემთხვევაში მძიმე) და ელასტიური წინდების მოხმარებელი 90 პაციენტიდან 23 (26%)-ს (3 შემთხვევაში მძიმე).

ერთის გარდა ყველა შემთხვევაში ეს გართულება განვითარდა პირველი 2 წლის მანძილზე ($P = 0.011$).

მესამე კვლევა აფასებდა ხანგრძლივი კომპრესიული მკურნალობის ეფექტს სტანდარტული ანტიკოაგულაციური მკურნალობის შემდეგ 6 თვის მანძილზე³⁹. ანტიკოაგულაციური მკურნალობის ბოლოს

169 პაციენტი რანდომიზებული იყო კომპრესიული წინდების (კლასი II) მოხმარების ან საკონტროლო ჯგუფში.

პირველადი ეფექტურობის ანალიზი ჩატარებული იქნა კანის ცვლილებების ენდპოინტის მიხედვით

(CEAP C4-C6). პირველადი ენდპოინტი გამოვლინდა 11(13.1%) -ში სამკურნალო ჯგუფის 84 პაციენტიდან და

17 (20.0%)-ში საკონტროლო ჯგუფის 85 პაციენტიდან ($P=0.30$). პირველადი ენდპოინტის ქვეჯგუფებში ანალიზისას დაფიქსირდა მნიშვნელოვანი განსხვავება ქალებსა (HR, 0.11; 95% CI, 0.02-0.91) და კაცებს (HR, 1.07; 95% CI, 0.42-2.73) შორის.

მეოთხე კვლევაში 47 პაციენტი რანდომიზებული იყო კომპრესიული წინდებით სამკურნალოდ (კლასი II) ან

პლაცებო წინდების მოხმარებლად, ხოლო 35 პაციენტი კი კომპრესიული წინდების (კლასი III) ან პლაცებოს

მოხმარებლად⁴⁰. PTS განუვითარდათ 11(27%)-ს საკონტროლო ჯგუფის 40 პაციენტიდან და 11 (26%)-ს

ელასტიური წინდების მოხმარებელი 42 პაციენტიდან ($P = 0.91$).

მკაფიო მონაცემები მიღებული იქნა პირველი ორ კვლევის შედეგად, სადაც გამოიყენებოდა III კლასის წინდები.

ჯამში, 628 პაციენტის მომცველი ოთხივე კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპრესიული წინდები ამცირებს PTS განვითარების სიხშირეს 37%-დან 21% -მდე (RR 0.55; 0.43 to 0.72).

ცოტა ხნის წინ ჩატარდა RCT 267 პაციენტის მონაწილეობით, რომელთაც აღენიშნებოდათ DVT პირველი

ეპიზოდი. ისინი რანდომიზებული იყვნენ ბარძაყამდე სიგრძის ან მუხლამდე სიგრძის კომპრესიული წინდების

მოხმარებლებად 2 წლის განმავლობაში⁴¹. მათი შეფასება მოხდა 3, 6, 12, 18, 24, და 36 თვის შემდეგ PTS

გამოვლინებაზე Villalta შკალის მიხედვით. PTS განვითარდა 44 (32.6%)-ში 135 პაციენტიდან, რომლებიც

მოიხმარდნენ ბარძაყამდე სიგრძის წინდებს და 47 (35.6%)-ში 132 პაციენტიდან, რომლებიც მოიხმარდნენ მუხლამდე

წინდებს. მძიმე PTS განუვითარდათ თითოეულ ჯგუფში 3 პაციენტს. წინდებთან დაკავშირებული გართულებები



აღნიშნათ 55 (40.7%) -ს 135 პაციენტიდან ბარძყამდე GEC წინდების ჯგუფში და 36 (27.3%) -ს მათგან, ვინც მოიხმარდნენ მუხლამდე წინდებს ($P = 0.017$), რამაც გამოიწვია მათი გამოყენების ნაადრევი შეწყვეტა შესაბამისად 29 (21.5%) და 18 (13.6%)-ში. ავტორებმა დაასკვნეს, რომ ბარძყამდე სიგრძის წინდები, მუხლამდე სიგრძის წინდებთან შედარებით არ უზრუნველყოფენ PTS-საგან უკეთეს დაცვას და პაციენტების მიერ შედარებით ცუდად ასატანი არიან.

კომპრესიული წინდების გავლენა ვენური წყლულის შეხორცებაზე

კომპრესიის ეფექტურობის შესახებ არსებობს მრავალი პუბლიკაცია ფეხის ვენური წყლულების შეხორცებაზე. შედეგები შეჯამებულია Cochrane -ის მონაცემთა ბაზის 2009 წელს განახლებულ სისტემურ რევიუში⁴². ამ რევიუში პირველადი ენდპონტია წყლულის შეხორცება. 6-დან 4 კვლევაში კომპრესია უფრო ეფექტური გამოდგა, ვიდრე კომპრესიის არარსებობა. მრავალშრიანი სისტემების შედარებისას აღმოჩნდა, რომ ელასტიური კომპრესია უფრო ეფექტურია, ვიდრე არაელასტიური კომპრესია (5 კვლევა). არ იყო განსხვავება შეხორცების ხარისხის თვალსაზრისით 4 შრიანი ნახვევსა და სხვა მაღალი კომპრესიის მრავალშრიანი სისტემების გამოყენებისას (3 კვლევა). შეხორცების ხარისხში განსხვავება არ იყო სხვადასხვა ელასტომერული მრავალშრიანი სისტემების გამოყენებისას (4 კვლევა). ავტორებმა დაასკვნეს, რომ კომპრესია ზრდის შეხორცების ხარისხს კომპრესიის არარსებობასთან შედარებით. მრავალშრიანი სისტემები უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთშრიანი. ძლიერი კომპრესია უფრო ეფექტურია, ვიდრე სუსტი. არ არის აშკარა განსხვავება სხვადასხვა ტიპის ძლიერი კომპრესიის ეფექტურობას შორის. ზემოთ აღნიშნული Cochrane Database Systematic Review შემდგომში განახლდა 2012 წელს⁴³ და მოიცვა 48 RCT, რომლებშიც მონაწილეობდა 4,321 პაციენტი. ავტორებმა დაასკვნეს, რომ „კომპრესია ზრდის წყლულის შეხორცების ხარისხს კომპრესიის არარსებობასთან შედარებით. მრავალკომპონენტური სისტემები უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთკომპონენტური სისტემები. ელასტიური ბანდის შემცველი მრავალკომპონენტური სისტემები უფრო ეფექტურია, ვიდრე ძირითადად არაელასტიური კომპონენტებისაგან შემდგარი. ორკომპონენტური სისტემები მოქმედებენ ისევე, როგორც ოთხშრიანი ნახვევი (4LB). პაციენტებს, რომლებიც მოიხმარენ 4LB-ს, წყლული უხორცდება უფრო ჩქარა, ნაკლებად წელვად ბანდების (SSB) მოხმარებლებთან შედარებით. ძლიერი კომპრესიის წინდების მოხმარებისას უფრო მეტ პაციენტს უხორცდება წყლული, ვიდრე SSB მოხმარებისას. იმისთვის, რომ დადგინდეს განსხვავება ძლიერი კომპრესიის წინდებსა და 4LB შორის საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება“ .



ექსპერიმენტული კვლევები

ექსპერიმენტულ კვლევებში დასმული იყო კითხვები კომპრესიის ზოგიერთი კონცეფციის მიმართ:

— ზედაპირული და ღრმა ვენების კომპრესია ძალიან არის დამოკიდებული სხეულის პოზიციაზე: ჰორიზონტალური პოზიციისას და დგომის დროს ღრმა ვენებზე მოქმედება უმეტესწილად უფრო მეტად ხდება, ვიდრე ზედაპირულ ვენებზე⁴⁴⁻⁴⁶

- ძლიერი ზეწოლა წვივზე უფრო მეტ გავლენას ახდენს ვენურ ტუმბოზე, ვიდრე წნევის გრადიენტი⁴⁷

- ქრონიკული ვენური შეშუპებისას ნაკლები ზეწოლა შესაძლოა უფრო ეფექტური იყოს, ვიდრე ძლიერი ზეწოლა⁴⁸

- არა მხოლოდ გარდამავალი წნევის ტალღები⁴⁹, არამედ ასევე 40 mmHg-მდე მუდმივი წნევა აუმჯობესებს არტერიულ დინებას როგორც ჯანმრთელ პირებში, ასევე პაციენტებში არტერიების ოკლუზიური დაავადებით, ანუ პაციენტებში შერეული არტერიულ-ვენური ფეხის წყლულებით⁵⁰.

მედიკამენტური მკურნალობისაგან განსხვავებით, კომპრესიული მკურნალობა არასოდეს გაივლის კლინიკური ეფექტურობის დასადასტურებლად და თერაპიული დოზების დასადგენად, ფარმაკოლოგიური კვლევების I და II ფაზებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების მანძილზე ჩატარებულმა კვლევებმა, კომპრესიის მოქმედების მექანიზმის შესახებ, მოგვაწოდა საკმაოდ დიდი ინფორმაცია, კიდევ ბევრი საკითხი შესასწავლია იმისთვის, რომ მოხდეს ამ მნიშვნელოვანი კლინიკური მეთოდის ოპტიმალური გამოყენება სხვადასხვა კლინიკური მდგომარეობების დროს⁵¹.

გარდამავალი პნევმატური კომპრესია (IPC)

IPC ხელსაწყოები შედგება ერთი ან მრავალი არაელასტიური მანჟეტისაგან, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით და/ან თანმიმდევრობით იბერება. დღესდღეობით არსებობს გარკვეული მცირე მონაცემები RCT-ის შედეგად, რომელიც მიუთითებს ვენური წყლულების კომპლექსურ მკურნალობაში IPC გამოიყენების შედეგად, კარგ კლინიკურ გამოსავალზე^{52,53}. პირველი კვლევის შედეგები გამოქვეყნდა 1981 წელს⁵⁴. მასში ჩართული იყო 21 პაციენტი. 9 პაციენტიდან, რომლებიც იღებდნენ მკურნალობას IPC-ით (ერთი საკანი გამოიყენებოდა დღეში 2-3 საათის მანძილზე 10-დან 44 კვირამდე) რვას (89%) წყლული შეუხორცდა, განსხვავებით საკონტროლო ჯგუფისაგან, სადაც 11 პაციენტიდან წყლული შეუხორცდა მხოლოდ ერთს (9%). შემდეგში, 1990 წელს ჩატარდა RCT, რომელშიც ჩართული იყო 45 პაციენტი⁵⁵. ორივე ჯგუფში ხდებოდა წყლულის ნეკროზული ნაწილების ამოკვეთა, გაწმენდა, არაადჰეზიური ნახვევის დადება და GEC წინდების ხმარება. ერთ ჯგუფში თანმიმდევრობითი გრადიენტული IPC გამოიყენებოდა ყოველდღიურად 4 საათი, 3 თვის განმავლობაში. IPC



ჯგუფში 21 პაციენტიდან 10 (48%) -ს წყლული სრულად შეუხორცდა, ხოლო საკონტროლო ჯგუფში შემავალი 24 პაციენტიდან წყლული შეუხორცდა მხოლოდ ერთს (4%). საკონტროლო ჯგუფში წყლულის შეხორცების საშუალო სიჩქარე იყო წყლულის ზედაპირის 2.1% კვირაში, ხოლო IPC ჯგუფში კი წყლულის ზედაპირის 19.8% კვირაში.

სხვა RCT-ში 22 პაციენტი განაწილდა ორ ჯგუფად: პირველში IPC-ი (1 საათი კვირაში ორჯერ წნევით 50 mmHg -სა 90 წმ, რასაც მოსდევდა მანჟეტის 30 წმ-ით დაცლა) გამოიყენებოდა 6 თვის მანძილზე და მეორე საკონტროლო ჯგუფში⁵⁶. ორივე ჯგუფს უტარდებოდა ჭრილობის ადგილობრივი დამუშავება და მკურნალობა უნას ნახვევით (Unna boot). 6 თვის შემდეგ თორმეტივე პაციენტს (100%) IPC ჯგუფში აღენიშნა წყლულის შეხორცება, ხოლო საკონტროლო ჯგუფში წყლული შეუხორცდა 10-დან 8 (80%) პაციენტს. შეხორცების სიჩქარე იყო 0.15 სმ² დღეში IPC ჯგუფში და 0.06 სმ² დღეში საკონტროლო ჯგუფში.

მესამე RCT-ში 53 პაციენტი ასევე განაწილდა ორ ჯგუფად: პირველში IPC გამოიყენებოდა (თანმიმდევრული გრადიენტი) ყოველდღიურად 3 საათის მანძილზე და მეორეში სადაც ა 6 თვის მანძილზე გამოიყენებოდა ელასტიური წინდები ან უნას ნახვევი⁵⁷. 6 თვის შემდეგ შემდეგ IPC ჯგუფში 28 პაციენტიდან 20 (71%) აღენიშნა წყლულის შეხორცება, ხოლო საკონტროლო ჯგუფში წყლული შეუხორცდა 25 პაციენტიდან 15 (60%)-ს.

უფრო ახალ, ჯვარედინი დიზაინის RCT-ში მოხდა შედარება IPC (უნიფიცირებული კომპრესია) და ელასტიური ბანდების, მაგრამ კვლევის შედეგები არ იყო სარწმუნო პაციენტების მცირე რიცხვის ჩართულობის გამო (n=16). შეხორცების ცუდი მაჩვენებლების (ჯგუფებს შორის გადანაცვლების შემდეგაც კი წყლული არ იყო შეხორცებული) გაანალიზება ასევე ვერ მოხერხდა, რადგან 5 პაციენტი გამოეთიშა კვლევას და მასში დარჩა სულ 11 პაციენტი⁵⁸.

ჩატარებულმა სისტემურმა მიმოხილვამ მოახდინა 7 RCT-ს იდენტიფიცირება (ჯამში მოცული იყო 367 პაციენტი)⁵⁹. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ერთი კვლევა იყო თითქმის ხარვეზების გარეშე, სადაც ხორციელდებოდა ადექვატური რანდომიზაცია, „ბრმა“ მკურნალობა და გამოსავლის შეფასება. ავტორებმა დაასკვნეს, რომ IPC -მ შესაძლოა გაზარდოს წყლულის შეხორცების სიჩქარე კომპრესიის არარსებობასთან შედარებით, თუმცა გაურკვეველია იგი აუმჯობესებს შეხორცებას როდესაც გამოიყენება კომპრესიული წინდების მაგივრად თუ მხოლოდ კომპრესიულ წინდებთან კომბინირებული გამოყენებისას.

ჩატარებული იქნა RCT, რომელმაც ერთმანეთს შეადარა სხვადასხვა IPC რეჟიმების ეფექტი წყლულის შეხორცებაზე⁶⁰. 104 პაციენტი რანდომიზებული იქნა IPC კომპრესიის, ყოველდღე 1 საათის მანძილზე სწრაფი (3 ციკლი წუთში) ან ნელი (1 ციკლი ყოველ 3 წუთში), გამოყენების დროს. ორივე შემთხვევაში ზეწოლის წნევა იყო ერთნაირი და კვლევის პერიოდში სხვა კომპრესიული მკურნალობა არ გამოიყენებოდა. სრული შეხორცება აღინიშნა 45-ში იმ 52 პაციენტიდან, რომლებიც მკურნალობდნენ სწრაფი IPC-თ, ხოლო 32-ში იმ 52 პაციენტიდან, რომლებიც



მკურნალობდნენ ნელი IPC-ით. 6 თვის შემდეგ შეხორცებული წყლული აღინიშნებოდა 86%-ში სწრაფი IPC-ით ნამკურნალებ ჯგუფში და 61%-ში ნელი IPC-ით ნამკურნალებ ჯგუფში ($P=0.003$). შეხორცების საშუალო სიჩქარე დღეში იყო უფრო მეტი სწრაფი IPC ჯგუფში (0.09 სმ^2 და 0.04 სმ^2 ; $P=0.0002$).

მიუხედავად იმისა, რომ IPC არის მიმზიდველი ალტერნატიული მკურნალობა, დღესდღეობით იგი შესაძლოა რეკომენდებული იყოს ფეხის ვენური წყლულის სამკურნალოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ელასტიური წინდების ადეკვატური გამოყენება არ არის ეფექტური, ან პაციენტს არ შეუძლია მათი გამოყენება. საჭიროა დამატებითი კვლევები იმისთვის, რომ დადგინდეს IPC ოპტიმალური ტიპი და მასთან ერთად კომბინაციაში გამოსაყენებელი ელასტიური წინდების ოპტიმალური კომპრესია.

References

1. Vin F, Benigni JP. Compression therapy. International Consensus Document Guidelines according to scientific evidence. *Int Angiol* 2004;23(4):317-45.
2. Partsch H, Clark M, Mosti G, Steinlechner E, Schuren J, Abel M et al. Classification of compression bandages: practical aspects. *Dermatol Surg* 2008;34(5):600-9.
3. Damstra RJ, Partsch H. Prospective, Randomized Controlled Trial Comparing the Effectiveness of Adjustable Compression Velcro-Wraps versus Inelastic Multicomponent Compression Bandages in the Initial Treatment of Leg Lymphedema. *Venous and Lymph Dis* 2013;1:13-9.
4. CEN. Comité Européen de Normalisation. European Prestandard. Medical compression hosiery. European Committee for Standardization. Brussels, 2001. pp.1-40.
5. Mosti G, Partsch H. Compression stockings with a negative pressure gradient have a more pronounced effect on venous pumping function than graduated elastic compression stockings. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2011;42(2):261-6.



6. Partsch H, Clark M, Bassez S, Benigni JP, Becker F, Blazek V et al. Measurement of lower leg compression in vivo: recommendations for the performance of measurements of interface pressure and stiffness: consensus statement. *Dermatol Surg* 2006;32(2):224-32; discussion 233.
7. Kalodiki E. The economy class syndrome and the correct way to wear graduated elastic compression stockings. *Br Med J* 2001;<http://www.bmj.com/cgi/ele-ters/322/7280/188#20424>.
8. Charles H. Does leg ulcer treatment improve patients quality of life? *J Wound Care* 2004;13(6):209-13.
9. Vayssairat M, Ziani E, Houot B. Placebo controlled efficacy of class 1 elastic stockings in chronic venous insufficiency of the lower limbs. *J Mal Vasc* 2000;25(4):256-62.
10. Loftus S. A longitudinal, quality of life study comparing four layer bandaging and superficial venous surgery for the treatment of venous leg ulcers. *J Tissue Viability* 2001;11(1):14-9.
11. Benigni JP, Sadoun S, Allaert FA, Vin F. Efficacy of Class 1 elastic compression stockings in the early stages of chronic venous disease. A comparative study. *Int Angiol* 2003;22(4):383-92.
12. Reich-Schupke S, Murmann F, Altmeyer P, Stucker M. Quality of life and patients' view of compression therapy. *Int Angiol* 2009;28(5):385-93.
13. Brandjes DP, Buller HR, Heijboer H, Huisman MV, deRijk M, Jagt H et al. Randomised trial of effect of compression stockings in patients with symptomatic proximal vein thrombosis. *Lancet* 1997;349(9054):759-62.
14. Prandoni P, Lensing AW, Prins MH, Frulla M, Marchiori A, Bernardi E et al. Below-knee elastic compression stockings to prevent the post-thrombotic syndrome: a randomized, controlled trial. *Ann Intern Med* 2004;141(4):249-56.
15. Partsch H, Kaulich M, Mayer W. Immediate mobilisation in acute vein thrombosis reduces post-thrombotic syndrome. *Int Angiol* 2004;23(3):206-12.
16. Raju S, Hollis K, Neglen P. Use of compression stockings in chronic venous disease: patient compliance and efficacy. *Ann Vasc Surg* 2007;21(6):790-5.
17. Partsch H, Flour M, Smith PC. Indications for compression therapy in venous and lymphatic disease consensus based on experimental data and scientific evidence. Under the auspices of the IUP. *Int Angiol* 2008;27(3):193-219.



18. Weiss RA, Duffy D. Clinical benefits of lightweight compression: reduction of venous-related symptoms by ready-to-wear lightweight gradient compression hosiery. *Dermatol Surg* 1999;25(9):701-4.
19. Blazek C, Amsler F, Blaettler W, Keo HH, Baumgartner I, Willenberg T. Compression hosiery for occupational leg symptoms and leg volume: a randomized crossover trial in a cohort of hairdressers. *Phlebology* 2012;28:239-47.
20. Amsler F, Blattler W. Compression therapy for occupational leg symptoms and chronic venous disorders – a meta-analysis of randomised controlled trials. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2008;35(3):366-72.
21. Shingler S, Robertson L, Boghossian S, Stewart M. Compression stockings for the initial treatment of varicose veins in patients without venous ulceration. *Cochrane Database Syst Rev* 2011(11):CD008819.
22. Couzan S, Leizorovicz A, Laporte S, Mismetti P, Pouget JF, Chapelle C et al. A randomized double-blind trial of upward progressive versus degressive compressive stockings in patients with moderate to severe chronic venous insufficiency. *J Vasc Surg* 2012;56(5):1344-1350.
23. Thaler E, Huch R, Huch A, Zimmermann R. Compression stockings prophylaxis of emergent varicose veins in pregnancy: a prospective randomised controlled study. *Swiss Med Wkly* 2001;131(45-46):659-62.
24. Weiss RA, Sadick NS, Goldman MP, Weiss MA. Post-sclerotherapy compression: controlled comparative study of duration of compression and its effects on clinical outcome. *Dermatol Surg* 1999;25(2):105-8.
25. Kern P, Ramelet AA, Wutschert R, Hayoz D. Compression after sclerotherapy for telangiectasias and reticular leg veins: a randomized controlled study. *J Vasc Surg* 2007;45(6):1212-6.
26. Scurr JH, Coleridge-Smith P, Cutting P. Varicose veins: optimum compression following sclerotherapy. *Ann R Coll Surg Engl* 1985;67(2):109-11.
27. Shouler PJ, Runchman PC. Varicose veins: optimum compression after surgery and sclerotherapy. *Ann R Coll Surg Engl* 1989;71(6):402-4.
28. O'Hare JL, Stephens J, Parkin D, Earnshaw JJ. Randomized clinical trial of different bandage regimens after foam sclerotherapy for varicose veins. *Br J Surg* 2010; 97(5):650-6.



29. Hamel-Desnos CM, Guias BJ, Desnos PR, Mesgard A. Foam sclerotherapy of the saphenous veins: randomized controlled trial with or without compression. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2010;39(4):500-7.
30. Bond R, Whyman MR, Wilkins DC, Walker AJ, Ashlez S. A randomised trial of different compression dressings following varicose veins surgery. *Phlebology* 1999;14:9-11.
31. Travers JP, Makin GS. Reduction of varicose vein recurrence by use of postoperative compression stockings. *Phlebology* 1994;9:104-9.
32. Mariani F, Marone EM, Gasbarro V, Bucalossi M, Spelta S, Amsler F et al. Multicenter randomized trial comparing compression with elastic stocking versus bandage after surgery for varicose veins. *J Vasc Surg* 2011;53(1):115-22.
33. Lugli M, Cogo A, Guerzoni S, Petti A, Maletti O. Effects of eccentric compression by a crossed-tape technique after endovenous laser ablation of the great saphenous vein: a randomized study. *Phlebology* 2009;24(4):151-6.
34. Mosti G, Mattaliano V, Arleo S, Partsch H. Thigh compression after great saphenous surgery is more effective with high pressure. *Int Angiol* 2009;28(4):274-80.
35. Travers JP, Rhodes JE, Hardy JG, Makin GS. Postoperative limb compression in reduction of haemorrhage after varicose vein surgery. *Ann R Coll Surg Engl* 1993;75(2):119-22.
36. Raraty MGT, Greaney MG, Blair SD. There is no benefit from 6 weeks' postoperative compression after varicose vein surgery: a prospective randomised trial. *Phlebology* 1999;14:21-25.
37. Rodrigus I, Bleyne J. For how long do we have to advise elastic support after varicose veins surgery? A prospective randomized study. *Phlebology* 1991;6:95-8.
38. Biswas S, Clark A, Shields DA. Randomised clinical trial of the duration of compression therapy after varicose vein surgery. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2007;33(5):631-7.
39. Aschwanden M, Jeanneret C, Koller MT, Thalhammer C, Bucher HC, Jaeger KA. Effect of prolonged treatment with compression stockings to prevent post-thrombotic



sequelae: a randomized controlled trial. *J Vasc Surg* 2008;47(5):1015-21.

40. Ginsberg JS, Hirsh J, Julian J, Vander LaandeVries M, Magier D, MacKinnon B et al. Prevention and treatment of postphlebotic syndrome: results of a 3-part study. *Arch Intern Med* 2001;161(17):2105-9.

41. Prandoni P, Noventa F, Quintavalla R, Bova C, Cosmi B, Siragusa S et al. Thigh-length versus below-knee compression elastic stockings for prevention of the post-thrombotic syndrome in patients with proximal-venous thrombosis: a randomized trial. *Blood* 2012;119(6):1561-5.

42. O'Meara S, Cullum NA, Nelson EA. Compression for venous leg ulcers. *Cochrane Database Syst Rev* 2009(1):CD000265.

43. O'Meara S, Cullum N, Nelson EA, Dumville JC. Compression for venous leg ulcers. *Cochrane Database Syst Rev* 2012;11:CD000265.

44. Downie SP, Firmin DN, Wood NB, Thom SA, Hughes AD, Wolfe JN et al. Role of MRI in investigating the effects of elastic compression stockings on the deformation of the superficial and deep veins in the lower leg. *J Magn Reson Imaging* 2007;26(1):80-5.

45. Partsch H, Mosti G, Mosti F. Narrowing of leg veins under compression demonstrated by magnetic resonance imaging (MRI). *Int Angiol* 2010;29(5):408-10.

46. Partsch H, Mosti G, Uhl J. Unexpected venous diameter reduction by compression stocking of deep, but not of superficial veins. *Veins and Lymphatics* 2012;1:e3.

47. Mosti G, Partsch H. High compression pressure over the calf is more effective than graduated compression in enhancing venous pump function. *Eur J Vasc Endovasc*

Surg 2012;44(3):332-6.

48. Partsch H, Damstra RJ, Mosti G. Dose finding for an optimal compression pressure to reduce chronic edema of the extremities. *Int Angiol* 2011;30(6):527-33.

49. Kalodiki E, Giannoukas AD. Intermittent pneumatic compression (IPC) in the treatment of peripheral arterial occlusive disease (PAOD)--A useful tool or just another device? *Eur J Vasc Endovasc Surg* 2007;33(3):309-10.

50. Mosti G, Iabichella ML, Partsch H. Compression therapy in mixed ulcers increases venous output and arterial perfusion. *J Vasc Surg* 2012;55(1):122-8.



51. Rabe E, Partsch H, Junger M, Abel M, Achhammer I, Becker F et al. Guidelines for clinical studies with compression devices in patients with venous disorders of the lower limb. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2008;35(4):494-500.
52. Mani R, Vowden K, Nelson EA. Intermittent pneumatic compression for treating venous leg ulcers. *Cochrane Database Syst Rev* 2001(4):CD001899.
53. Kalodiki E. Use of intermittent pneumatic compression in the treatment of venous ulcers. *Future Medicine* 2007;3(2):185-91.
54. Hazarika EZ, Wright DE. Chronic leg ulcers. The effect of pneumatic intermittent compression. *Practitioner* 1981;225(1352):189-92.
55. Coleridge Smith P, Sarin S, Hasty J, Scurr JH. Sequential gradient pneumatic compression enhances venous ulcer healing: a randomized trial. *Surgery* 1990;108(5):871-5.
56. McCulloch JM, Marler KC, Neal MB, Phifer TJ. Intermittent pneumatic compression improves venous ulcer healing. *Adv Wound Care* 1994;7(4):22-4, 26.
57. Schuler JJ, Maibenco T, Megerman J, Ware M, Montalvo J. Treatment of chronic venous ulcers using sequential gradient intermittent pneumatic compression. *Phlebology* 1996;11:111-6.
58. Rowland J. Intermittent pump versus compression bandages in the treatment of venous leg ulcers. *Aust N Z J Surg* 2000;70(2):110-3.
59. Nelson EA, Mani R, Thomas K, Vowden K. Intermittent pneumatic compression for treating venous leg ulcers. *Cochrane Database Syst Rev* 2011(2):CD001899.
60. Nikolovska S, Arsovska A, Damevska K, Gocev G, Pavlova L. Evaluation of two different intermittent pneumatic compression cycle settings in the healing of venous ulcers: a randomized trial. *Med Sci Monit* 2005;11(7):CR337-43.
61. Bell SN, Pflug JJ. Tissue pressure changes in the epifascial compartment of the bandaged leg. *Vasa* 1981;10(3):199-203.
62. Partsch H, Mosti G. Comparison of three portable instruments to measure compression pressure. *Int Angiol* 2010;29(5):426-30.
63. Partsch H, Winiger J, Lun B. Compression stockings reduce occupational leg swelling. *Dermatol Surg* 2004;30(5):737-43; discussion 743.



64. Gniadecka M, Karlsmark T, Bertram A. Removal of dermal edema with class I and II compression stockings in patients with lipodermatosclerosis. *J Am Acad Dermatol* 1998;39(6):966-70.
65. Gniadecka M. Dermal oedema in lipodermatosclerosis: distribution, effects of posture and compressive therapy evaluated by high-frequency ultrasonography. *Acta Derm Venereol* 1995;75(2):120-4.
66. Christopoulos DG, Nicolaides AN, Szendro G, Irvine AT, Bull ML, Eastcott HH. Air-plethysmography and the effect of elastic compression on venous hemodynamics of the leg. *J Vasc Surg* 1987;5(1):148-59.
67. Ibegbuna V, Delis KT, Nicolaides AN, Aina O. Effect of elastic compression stockings on venous hemodynamics during walking. *J Vasc Surg* 2003;37(2):420-5.
68. Partsch H. Compression therapy of the legs. A review. *J Dermatol Surg Oncol* 1991;17(10):799-805.
69. Partsch H, Menzinger G, Mostbeck A. Inelastic leg compression is more effective to reduce deep venous refluxes than elastic bandages. *Dermatol Surg* 1999;25(9):695-700.
70. Spence RK, Cahall E. Inelastic versus elastic leg compression in chronic venous insufficiency: a comparison of limb size and venous hemodynamics. *J Vasc Surg* 1996;24(5):783-7.
71. Hirai M, Iwata H, Hayakawa N. Effect of elastic compression stockings in patients with varicose veins and healthy controls measured by strain gauge plethysmography. *Skin Res Technol* 2002;8(4):236-9.
72. Lyons GM, Leane GE, Grace PA. The effect of electrical stimulation of the calf muscle and compression stocking on venous blood flow velocity. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2002;23(6):564-6.
73. Sarin S, Scurr JH, Coleridge Smith PD. Mechanism of action of external compression on venous function. *Br J Surg* 1992;79(6):499-502.
74. Mostbeck A, Partsch H, Peschl L. Alteration of blood volume distribution throughout the body resulting from physical and pharmacological interventions. *Vasa* 1977;6(2):137-42.
75. Mosti G, Partsch H. Duplex scanning to evaluate the effect of compression on venous reflux. *Int Angiol* 2010;29(5):416-20.



76. Zajkowski PJ, Proctor MC, Wakefield TW, Bloom J, Blessing B, Greenfield LJ. Compression stockings and venous function. *Arch Surg* 2002;137(9):1064-8.
77. Jungbeck C, Thulin I, Darenheim C, Norgren L. Graduated compression treatment in patients with chronic venous insufficiency: A study comparing low and medium grade compression stockings. *Phlebology* 1997;12(4):142-5.
78. Partsch H. Improvement of venous pump function in chronic venous insufficiency by compression. Role of compression pressure and material. *Vasa* 1984;13:58-64.
79. Stoberl C, Gabler S, Partsch H. Prescription of medical compression stocking according to the indication - measuring of venous pumping function. *Vasa* 1989;18(1):35-9.
80. Gjores JE, Thulesius O. Compression treatment in venous insufficiency evaluated with foot volumetry. *Vasa* 1977;6(4):364-368.
81. Mosti G, Partsch H. Measuring venous pumping function by strain-gauge plethysmography. *Int Angiol* 2010;29(5):421-5.
82. O'Donnell TF, Jr., Rosenthal DA, Callow AD, Ledig BL. Effect of elastic compression on venous hemodynamics in postphlebotic limbs. *J Am Med Assoc* 1979;242(25):2766-8.
83. Nielsen HV. Effects of externally applied compression on blood flow in subcutaneous and muscle tissue in the human supine leg. *Clin Physiol* 1982;2(6):447-57.
84. Mayrovitz HN, Sims N. Effects of ankle-to-knee external pressures on skin blood perfusion under and distal to compression. *Adv Skin Wound Care* 2003;16(4):198-202.
85. Mayrovitz HN, Larsen PB. Effects of compression bandaging on leg pulsatile blood flow. *Clin Physiol* 1997;17(1):105-17.
86. Abu-Own A, Shami SK, Chittenden SJ, Farrah J, Scurr JH, Smith PD. Microangiopathy of the skin and the effect of leg compression in patients with chronic venous insufficiency. *J Vasc Surg* 1994;19(6):1074-83.



87. Belcaro G, Gaspari AL, Legnini M, Napolitano AM, Marelli C. Evaluation of the effects of elastic compression in patients with chronic venous hypertension by laser-Doppler flowmetry. *Acta Chir Belg* 1988;88(3):163-7.
88. Mayrovitz HN, Delgado M, Smith J. Compression bandaging effects on lower extremity peripheral and sub-bandage skin blood perfusion. *Ostomy Wound Manage* 1998;44(3):56-60, 62, 64 passim.
89. Agu O, Baker D, Seifalian AM. Effect of graduated compression stockings on limb oxygenation and venous function during exercise in patients with venous insufficiency. *Vascular* 2004;12(1):69-76.
90. Klyszcz T, Galler S, Steins A, Zuder D, Rassner G, Junger M. The effect of compression therapy on the microcirculation of the skin in patients with chronic venous insufficiency (CVI). *Hautarzt* 1997;48(11):806-11.
91. Nielsen HV. Effects of externally applied compression on blood flow in the human dependent leg. *Clin Physiol* 1983;3(2):131-40.
92. Husmann M, Willenberg T, Keo HH, Spring S, Kalodiki E, Delis KT. Integrity of venoarteriolar reflex determines level of microvascular skin flow enhancement with intermittent pneumatic compression. *J Vasc Surg* 2008;48(6):1509-13.
93. Franzeck UK, Spiegel I, Fischer M, Bortzler C, Stahel HU, Bollinger A. Combined physical therapy for lymphedema evaluated by fluorescence microlymphography and lymph capillary pressure measurements. *J Vasc Res* 1997;34(4):306-11.
94. Bollinger A, Partsch H, Wolfe JHN. *The initial lymphatics*. Stuttgart - New York: G. Thieme, 1985.
95. Kahle B, Idzko M, Norgauer J, Rabe E, Herouy Y. Tightening tight junctions with compression therapy. *J Invest Dermatol* 2003;121(5):1228-9.
96. Dai G, Tsukurov O, Chen M, Gertler JP, Kamm RD. Endothelial nitric oxide production during in vitro simulation of external limb compression. *Am J Physiol Heart Circ Physiol* 2002;282(6):H2066-75.
97. Howlader MH, Smith PD. Increased plasma total nitric oxide among patients with severe chronic venous disease. *Int Angiol* 2002;21(2):180-6.
98. Murphy MA, Joyce WP, Condron C, Bouchier-Hayes D. A reduction in serum cytokine levels parallels healing of venous ulcers in patients undergoing compression therapy. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2002;23(4):349-52.



99. Beidler SK, Douillet CD, Berndt DF, Keagy BA, Rich PB, Marston WA. Inflammatory cytokine levels in chronic venous insufficiency ulcer tissue before and after compression therapy. *J Vasc Surg* 2009;49(4):1013-20.
100. Beidler SK, Douillet CD, Berndt DF, Keagy BA, Rich PB, Marston WA. Multiplexed analysis of matrix metalloproteinases in leg ulcer tissue of patients with chronic venous insufficiency before and after compression therapy. *Wound Repair Regen* 2008;16(5):642-8.
101. Kahn SR, Shapiro S, Wells PS, Rodger MA, Kovacs MJ, Anderson DR et al. Compression stockings to prevent post-thrombotic syndrome: a randomized placebo-controlled trial. *Lancet* 2014;383:880-8.

თავი 8

ვენოპროტიური მედიკამენტები

შესავალი

ვენოპროტიური მედიკამენტები (VADs) წარმოადგენენ ჰეტეროგენული წამლების ჯგუფს, რომელთაგან ზოგიერთი სინთეზური გზითაა მიღებული, მაგრამ უმეტესობა მცენარეული წარმოშობისაა. უახლეს პუბლიკაციებში აღწერილია VADs ხუთი ძირითადი კატეგორია^{1,2}. მათი წარმოშობა და დოზირება შეჯამებულია ცხრილში I. ზოგიერთი ვენოპროტიური მედიკამენტი მიიღება მიქსტურების სახით. მაგალითად, თავისარას ექსტრაქტი წარმოადგენს *ruscus aculeatus*-ის, ჰესპერიდინის, მეთილ ჩალკონის (methyl chalcone) და ასკორბინის მჟავის ნარევეს, ხოლო მიკრონიზებული გაწმენდილი ფლავონოიდური ფრაქცია (MPFF) არის დიოსმინის (90%) და ფლავონოიდების (10%) მიკრონიზებული ნარევი, რომელიც წარმოადგენილია როგორც ჰესპერიდინი, დიოსმეტინი, ლინარინი ან იზოროიფლინინი; გინკო ბილობას ექსტრაქტები კი შერეულია ჰეპტამინოლსა და ტროქსერუტინთან.

ბოლო წლებში დაბნეულობა გამოიწვია ზოგიერთმა საკვების დანამატმა, რომელიც სამკურნალო საშუალებად იქნა მიჩნეული. საკვები დანამატების ეფექტურობა, რეგისტრირებული VADs-აგან განსხვავებით, არ არის დადასტურებული და ამიტომ მათ, ჯანდაცვის პასუხისმგებელი პირებისაგან, გაყიდვის უფლება არ აქვთ მოპოვებული. სწორედ ამის გამო საკვები დანამატები მოცემულ დოკუმენტში არ განიხილება. მეორეს მხრივ,



მოცემულ თავში აღწერილი ზოგიერთი ვენოაქტიური პრეპარატი ზოგიერთ ქვეყანაში მედიკამენტად არის მიჩნეული, ზოგიერთში კი საკვებ დანამატად. მაგალითად, ჩვეულებრივი ვაზის ფოთლების ექსტრაქტი (*Vitis vinifera*) რეგისტრირებულია როგორც სამკურნალო პრეპარატი ევროკავშირის წევრ შვიდ ქვეყანაში, ხოლო როგორც საკვები დანამატი ევროკავშირის სხვა რვა ქვეყანაში. ამ თავში, შეჯამებულია VAD-ის სხვადასხვა ფარმაკოლოგიური მოქმედება და განხილულია მათი თერაპიული გამოყენების რეკომენდაციები.

ბოლოს მოცემულია თანამედროვე მტკიცებულებებზე დამყარებული მკურნალობის რეკომენდაციები. აღნიშნული დოკუმენტი ხაზს უსვამს უახლეს ექსპერიმენტულ და კლინიკურ მიღწევებს, რომლებიც VADs-ის ეფექტურობისა და მათი თერაპიული გამოყენების თავისებურებების შესწავლაში დაგვეხმარნენ. ძველი ლიტერატურის უფრო სრულყოფილი მიმოხილვა მოცემულია წინა გაიდლაინებში³.

ცხრილი I ვენოაქტიური მედიკამენტების ძირითადი კატეგორიები (მოდიფიცირებულია ref¹-დან)

კატეგორია	მედიკამენტი	წარმოშობა	დოზირება (მგ/დღეში)	დოზა დღეში
ფლავონოიდები (გამა-ბენზოპირონები)	მიკრონიზებული გაწმენდილი ფლავონოიდური ფრაქცია	ციტრუსები (Rutaceae Aurantieae)	1000	1-2
	დიოსმინი		300-600	1-2
	რუტინი და რუტოზიდები O-(β-ჰიდროქსიეთილ)-რუტოზიდები (ტროქსერუტინი HR)	ციტრუსები (Rutaceae Aurantieae)	1000	1-2
	კვერცეტინის გლუკურონიდი, კეპფეროლის გლიკოზიდი	<i>Sophora japonica</i> ევკალიპტის სახეობები	100-300	1-3
	პროანთოციანიდინები	<i>Fagopyrum esculentum</i>		
ანთოციანები		ჩვეულებრივი ვაზის ფოთლების ექსტრაქტი (<i>Vitis vinifera</i>)	100-300 300-360	1-3 3



		ყურძნის წიპწა (Vitis vinifera) ფრანგული ზღვისპირა ფიჭვი (Pinus pinaster, formerly P. maritima) ჩვეულებრივი ვაზის ფოთლების ექსტრაქტი (Vitis vinifera) მოცი (Vaccinium myrtillus)	100-300 116	1-3 2
ალფა ბენზოპირონები	კუმარინი	ძიძო (Melilotus officinalis) ტყის ჩიტისთვალა (Asperula odorata)	90 ტროქსერუტინთან ერთად (540)	3
საპონინები	ცხენის წაბლის თესლის ექსტრაქტი ესცინი	ცხენის წაბლი (Aesculus hippocastanum) თაგვისარა (Ruscus aculeatus)	თავიდან 120, შემდეგ 60 2-3 ტაბლეტი	2-3
სხვა მცენარეთა ექსტრაქტები	გინგკოს ექსტრაქტი	Ginkgo biloba	2 ფხვნილი (საშე) (გინგკოს, ჰეპტამინოლის და ტროქსერუტინის ექსტრაქტები)	2
სინთეზური პრეპარატები	კალციუმის დობეზილატი ბენზარონი ნაფტაზონი	სინთეზური სინთეზური სინთეზური	1000-1500 400-600 30	2-3 2-3 1

მოქმედება

მიუხედავად იმისა, რომ VADs მოქმედების ყველა ასპექტი სრულად ახსნილი არ არის, ნათელია, რომ ისინი მოქმედებენ როგორც მიკრო ასევე მაკროცირკულაციის დონეზე, მოქმედებენ ვენური კედლის და ვენური სარქველების ცვლილებებზე, რომლებიც თავის მხრივ იწვევენ ვენურ ჰიპერტენზიას (VH) და ცვლიან VH -ის



გავლენას წვრილ სისხლძარღვებზე, რაც თავის მხრივ იწვევს ვენურ მიკროანგიოპათიას⁴

⁶. ტრადიციულად ითვლებოდა, რომ VH გამოწვეული იყო უპირველეს ყოვლისა ვენური სარქველების უკმარისობით, რომელიც დაკავშირებული იყო ვენის დილატაციასთან, რაც თავის მხრივ იყო ვენური კედლის სისუსტისა და დაბალი ვენური ტონუსის შედეგი. შედეგად, VADs -ზე ადრე ჩატარებული კვლევები ძირითადად შეისწავლიდა მათ გავლენას ვენურ ტონუსზე. ბოლო დროს, კვლევის ინტერესები მეტად კონცენტრირდა VADs გავლენაზე ქრონიკულ ანთებით პროცესებზე, რომლებმაც შესაძლოა დააზიანოს დიდი და მცირე ვენური სისხლძარღვები და მათი სარქველები.

მოქმედება ვენურ ტონუსზე

ნაჩვენებია, რომ VADs უმრავლესობა ზრდის ვენურ ტონუსს. ეს ეხება MPFF⁷⁻⁹, რუტინს და რუტოზიდებს¹⁰, ესცინს¹⁰, თავისარას ექსტრაქტს¹² და კალციუმის დობეზილატს¹³. მათი უმრავლესობა ახდენს ნორადრენერგული იმპულსაციის მოდულირებას, MPFF და ჰიდროქსიეთილ-რუტოზიდების შემთხვევაში ნორადრენალინის მეტაბოლიზმზე მოქმედების ^{7,8,14-16} ან თავისარას ექსტრაქტის შემთხვევაში ვენურ α1-ადრენერგულ რეცეპტორებზე მოქმედების გზით^{17,18}. ამისაგან განსხვავებით, ცხენის წაბლის ექსტრაქტი აინდუცირებს კალციუმ-დამოკიდებულ შეკუმშვას ვირთავის ღრუ ვენის პრეპარატებში, მაგრამ თრგუნავს α-ადრენერგული აგონისტის - ფენილეფრინის მოქმედებას¹⁹.

ვენური სარქველების და ვენის კედლის ანთებით ცვლილებებზე მოქმედება

ცნობილია, რომ VADs უმრავლესობას გააჩნია ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. ზოგიერთი მათგანი მოქმედებს ანთებითი კასკადის რამოდენიმე საფეხურზე და სავარაუდოდ ამით აიხსნება მათი სხვადასხვა დადებითი გავლენა ქრონიკული ვენური დარღვევების დროს (CVDs).

ცნობილია, რომ ფლავონოიდების მთელ ჯგუფს აქვს მძლავრი ანტიოქსიდანტური თვისებები, რაც შესწავლილი იქნა არა მარტო CVD-ს, არამედ სხვა მდგომარეობების დროსაც, როგორცაა კიბო, ართრიტები და გულსისხლძარღვთა დაავადებები²⁰⁻²⁴. ეს მოქმედება შესაძლოა მოიცავდეს ოქსიდანტების წარმოქმნის პრევენციას, თავისუფალი რადიკალების განეიტრალებას და ამ გზით მათ მიერ უჯრედების დაზიანების პრევენციას, ოქსიდაციური რეაქციების ჯაჭვური ხასიათის დარღვევას და უჯრედის ანტიოქსიდაციური თვისებების ინდუცირებას²⁴. VAD MPFF-მა და რუტოზიდებმა სხვადასხვა სატესტო სისტემებში გამოავლინეს თავისუფალი



რადიკალების განეიტრალების უნარი²⁵⁻²⁸. ამგვარი მოქმედება გააჩნიათ აგრეთვე ასევე სხვა VADs -ებსაც, კერძოდ კი ესციმებს^{11,29},

ყურძნის წიპწის პროანთოციანიდებს^{30,31}, ფრანგული ზღვისპირა ფიჭვის ქერქს³²⁻³⁵ და კალციუმის დობეზილატს. ოქსიდაციური სტრესის შემამცირებელ მოქმედებასთან ერთად ბევრი ვენოაქტიური პრეპარატი მოქმედებს ასევე ანთებითი კასკადის სხვადასხვა რგოლზე. მაგალითად, ყურძნის წიპწის პროანთოციანიდები ამცირებენ უჯრედების მიერ ადჰეზიური მოლეკულების ექსპრესიას კულტურაში ვენის ენდოთელიუმის უჯრედების აქტივაციის ხარჯზე³⁹. MPFF CVD მქონე პაციენტებში ამცირებს ადჰეზიური მოლეკულების ექსპრესიას ნეიტროფილების და მონოციტების მიერ^{40,41}. რუტოზიდი ამცირებს ანთებასთან დაკავშირებული გენის ექსპრესიას ადამიანის აქტივირებული მაკროფაგებით⁴², ხოლო ფრანგული ზღვისპირა ფიჭვის ქერქის ექსტრაქტი ამცირებს ICAM-1 ექსპრესიას და კულტივირებული T-ლიმფოციტების ადჰეზიას ადამიანის კერატოციტებზე⁴³.

ანთებითი პროცესების მნიშვნელობის და მათზე VADs მოქმედების ყველაზე დეტალური და სრული ანალიზი მოწოდებულია Berganet et al-ის მიერ⁴⁴ VH მქონე მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტების სერიის შედეგად. ექსპერიმენტში ვენულების ოკლუზიით, აღმოჩნდა, რომ ანთების მარკერები, როგორცაა ლეიკოციტების შეწებება და მიგრაცია, ვენური წნევის მომატებიდან 1 საათის ფარგლებში მომატებული იყო. არტერიულ-ვენური ფისტულის დადების ექსპერიმენტში, მომატებული წნევის გავლენის ქვეშ მოქცეულ ვენურ სარქველში რეფლუქსი გამოვლინდა 7 დღის შემდეგ და მნიშვნელოვნად მოიმატა 21-ე და 42-ე დღეებზე. მორფოლოგიური ცვლილებები განვითარდა პარალელურად იმავე დროში, ხოლო სარქველის სტრუქტურების სრული გაქრობა აღინიშნა 42 დღის შემდეგ. პერორალური MPFF-ით მკურნალობამ მნიშვნელოვნად შეამცირა რეფლუქსი, თანაც ეს ეფექტი იყო დოზა-დამოკიდებული. ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ანთებითი პროცესი შესაძლოა ცენტრალურ როლს ასრულებდეს VH მრავალი უარყოფითი გავლენის მექანიზმში, ხოლო ზოგიერთ VADs, როგორცაა MPFF, გააჩნია უნარი, რომ მოახდინოს CVDs და მისი სხვადასხვა გამოვლინებების განვითარების და პროგრესირების პრევენცია.

მოქმედება კაპილარული კედლის განვლადობაზე (შეშუპებაზე)

მიკროვასკულური განვლადობის კონტროლი კომპლექსური საკითხია და აქტიური კვლევის პროცესშია. ცნობილია, რომ გამავლობის მომატება და ამით გამოწვეული შეშუპება ინდუცირდება არა მხოლოდ მომატებული მიკროვასკულური წნევით. კერძოდ, უახლესმა კვლევებმა დაადგინეს ანთებითი მექანიზმების (ნეიტროფილურ-ენდოთელიური ურთიერთქმედების აქტივაციის, ადჰეზიის, მიმგრების, მიგრაციის და რეაქტიული ჟანგბადის



გამოყოფის) მნიშვნელობა განვლადობის მომატებაში⁴⁵⁻⁴⁹. მათი ანტიოქსიდაციური და ანთების საწინააღმდეგო ეფექტის გათვალისწინებით არ არის გასაკვირი, რომ მრავალი ძირითადი VADs ამცირებს კაპილარული კედლის განვლადობას. მათ მიეკუთვნება MPFF⁵⁰⁻⁵², რუტოზიდები⁵³⁻⁵⁵, ესცინი^{11,56}, თაგვისარას ექსტრაქტი⁵⁷⁻⁵⁹, ყურძნის წიპწის ექსტრაქტი³¹ და კალციუმის დობეზილატი^{60,61}.

ცნობილია, რომ ვასკულური ენდოთელური ზრდის ფაქტორი (VEGF) საკვანძო როლს ასრულებს კაპილარული კედლის განვლადობის რეგულაციაში^{62,63}. პლაზმაში VEGF-დონე მომატებულია CVD მქონე პაციენტებში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს კანის ცვლილებებს⁶⁴⁻⁶⁶. კანის ცვლილებების მქონე პაციენტებში MPFF-ით მკურნალობა მნიშვნელოვნად ამცირებს პლაზმაში VEGF დონეს, ამიტომ პლაზმაში VEGF დონე MPFF მკურნალობის მარკერად მოიაზრება⁶⁵.

კაპილარულ დარღვევებთან დაკავშირებული კანის ცვლილებები

ითვლება, რომ მუდმივი ვენური ჰიპერტენზიით გამოწვეული ქრონიკული ანთება მნიშვნელოვან როლს ასრულებს CVD-თან ასოცირებული კანის ცვლილებების განვითარებაში^{67,68}. ენდოთელური ადჰეზიური მოლეკულების ექსპრესიამ შესაძლოა გამოიწვიოს პერივასკულური სივრცეების ლეიკოციტებით ინფილტრაცია, რასაც მოჰყვება კანის ფიბრობლასტებით გაშუალებული (fibroblast-mediated) რემოდელირება და დაზიანება, დერმული კაპილარების პროლიფერაციისა და ფიბროზის ჩათვლით^{65,69-71}. აქტიური ვენური წყლულის ჩამოყალიბებასა და მის ქრონიკულ პროცესად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გახანგრძლივებული ოქსიდაციური სტრესი, რომელიც უპირატესად განპირობებულია რეაქტიული ჟანგბადის ნაერთების გამოყოფით ნეიტროფილებიდან და მაკროფაგებიდან და შედეგად მიღებული ფიბრობლასტების რღვევა^{68,72-75}. კანის ცვლილებებზე პასუხისმგებელი მექანიზმების შესწავლისადმი ყურადღება განახლდა მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა მცირე ვენებისა და ვენულების სარქველების მნიშვნელობა. ამჟამად ცნობილია, რომ ადამიანის ქვედა კიდურის წვრილი ზედაპირული ვენები შეიცავენ მრავალ, ტიპიურ ორკარიან ვენურ სარქველს, რომელთა უმრავლესობა ლოკალიზებულია 100 μm დიამეტრის მქონე უწვრილეს სისხლძარღვებში და ასევე არიან 18 μm -ზე ნაკლები დიამეტრის სისხლძარღვებში^{76,77}. უახლესმა კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანის წვრილი ზედაპირული ვენების სარქველების უკმარისობა შეიძლება განვითარდეს დიდ საჩინო ვენაში და ძირითად ტოტებში რეფლუქსის არარსებობის პირობებშიც. ამ მიკროვენური სარქველების დეგენერაციულმა ცვლილებებმა და უკმარისობამ შეიძლება გამოიწვიოს რეფლუქსი კანის მიკროვენურ ქსელში, რაც შესაძლოა კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყოს CVD-ს დროს კანის ცვლილებების განვითარებისათვის⁷⁸. VADs მიერ ანთების და ოქსიდაციური სტრესის შემცირებამ შესაძლოა



დაიცვას მცირე ვენების სარქველები და მოახდინოს რეფლუქსის პრევენცია, როგორც ეს ნაჩვენებია იქნა ზემოთაღწერილ მდრნელების VH მოდელში⁴⁴. ასევე მათ შესაძლოა იმოქმედონ CVD -ს დროს აქტიური წყლულის გამომწვევი კანის ანომალური რემოდელირების წინააღმდეგ.

ნოციცეპტორების როლი ვენური სიმპტომების განვითარებაში

ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ CVD გავრცელება და სიმპტომების სიმძიმე უფრო მეტია CVDs სიმძიმიდან ან CEAP კლინიკური კლასის გამომდინარე⁷⁹⁻⁸³. სხვა კვლევებში მხოლოდ უმნიშვნელო კორელაციები იქნა ნანახი^{84,85} ან დაფიქსირდა, რომ სიმპტომების ქულები უფრო მაღალია პირებში რომელთაც აქვთ ნაკლებად მძიმე CVDs⁸⁶. აღნიშნული შესაძლოა აიხსნას იმით, რომ მძიმე CVD მქონე ზოგიერთ პაციენტს აჩვენებენ პერიფერიული ნეიროპათია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ტკივილისა და სხვა სიმპტომების შეგრძნების დაქვეითება⁸⁷⁻⁸⁹. უდავოდ ნათელია, რომ CVD-ს ტიპური ფეხის სიმპტომები ხშირია CVD-ს ყველაზე მსუბუქი ფორმის დროსაც კი (CEAP კლინიკური კლასი 0s და 1)⁹⁰⁻⁹². ედინბურგის (შოტლანდია) პოპულაციის რანდომიზირებულად შერჩეულ 18-64 წლის ასაკის ადამიანების ჯგუფში, რომელთაც არ ქონდათ CVDs ვიზუალური ან პალპაციური ნიშნები, შესაბამისად 32,8% და 28.9%

ცხრილი II- ძირითადი ვენოაქტიური პრეპარატების მოქმედება

კატეგორია	პრეპარატი	ეფექტი					
		ვენური ტონუსი	ვენური კედელი და სარქველი	კაპილარული ი განვლადობა	ლიმფის დრენირება	ჰემორეოლოგიური დარღვევები	თავისუფალი რადიკალების განეიტრალებ
ფლავონოიდები (გამა - ბენზოპირონები)	მიკრონიზებული გაწმენდილი ფლავონოიდური ფრაქცია	+	+	+	+	+	+
	არამიკრონიზებული ან სინთეზური დიოსმინები*						



	რუტინი და რუტოზიდები O-(β-ჰიდროქსიეთილ)-რუტოზიდები (ტროქსერუტინი HR)	+		+	+	+	+
	ანთოციანები (Vitis vinifera)						+
	პროანთოციანიდინები (Vitis vinifera)			+			+
საპონინები	ცხენის წაბლის თესლის ექსტრაქტი; ესცინი	+		+			+
	თაგვისარას ექსტრაქტი	+		+			
სხვა მცენარეების ექსტრაქტები	გინგკოს ექსტრაქტი*						
სინთეზური მედიკამენტები	კალციუმის დობეზილატი ბენზარონი* ნაფტაზონი*	+		+	+	+	+
* მონაცემები არ არის							

აღნიშნულად ფეხების ტკივილი და კრუნჩხვები⁹¹. Vein Consult Program-ის ბოლო ანგარიშის თანახმად, 20 ქვეყნის 90000 ამბულატორული პაციენტს, რომლებმაც ზოგადი პროფილის ექიმს მიმართ სხვადასხვა მიზეზების გამო, ჩაუტარდა სკრინინგული გამოკვლევა CVD-ზე. მათგან 19.7% ჰქონდა ტიპური ქვემო კიდურის CVD სიმპტომები და მიეკუთვნებოდნენ CEAP C0s-ს კლასს, ხოლო 21.7% მიეკუთვნებოდა C1 კლასს⁹³. ზუსტად რა მექანიზმით იწვევს CVDs, განსაკუთრებით საწყის სტადიაზე, ტკივილსა და სხვა ტიპურ ვენურ სიმპტომებს არ არის ჯერ ბოლომდე ცნობილი. უახლესი კვლევების მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა საკვანძო როლს თამაშობს ვენის ინტიმასა და მედიაში ანთებითო პროცესის არსებობა⁹⁴⁻⁹⁶, ასევე კანის ვენულების ირგვლივ ნანახია სიმპატიკური C ბოჭკოები. ისინი მოქმედებენ როგორც ნოციცეპტორები (ტკივილის აღმქმელი რეცეპტორები) და



შეუძლიათ რეაგირება ანთების მედიატორებზე. ანთებითი პროცესები მონაწილეობს CVD-ს ყველა სტადიისა და ნებისმიერი სიმძიმის დროს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქსოვილის აშკარა დაზიანება გამოვლინდება. ისინი შესაძლოა პასუხისმგებელი იყვნენ მრავალ სიმპტომზე. და ბოლოს, VADs ანთების საწინააღმდეგო თვისებებს აქვთ პოტენციური იმისა, რომ პაციენტების სიმპტომები შეამსუბუქონ დაავადების ყველა სტადიაზე CEAP კლასი C0s-ის დროსაც კი.

ლიმფის დრენაჟი

ცნობილია, რომ CVD დროს, განსაკუთრებით შორსწასულ სტადიებზე, დარღვეულია ლიმფური დრენაჟის ფუნქცია⁹⁷⁻⁹⁹. ნაჩვენებია, რომ იგი უმჯობესდება ვარიკოზული ვენების მქონე პაციენტებში საჩინო ვენის აბლაციით, რეფლუქსის შემცირების შედეგად¹⁰⁰. ბოლო დროის კვლევამ აჩვენა, რომ ცხიმის მოლეკულების პათოლოგიურმა აკუმულაციამ, ქსოვილშიდა წნევის მომატებამ და ქრონიკულმა ანთებამ ვარიკოზული

ცხრილი III.— ყველა ვენოაქტიური მედიკამენტის გლობალური კომბინირებული ანალიზი - ყველა სახის გამოსავალი, გაუმჯობესებული პაციენტების პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით (ადაპტირებულია 111 და 116-დან)

გამოსავლის ცვლადი	პაციენტთა რიცხვი კოჰორეინის რევიუში [111]	პაციენტები სამკურნალო ჯგუფებში	პაციენტები პლაცებოს ჯგუფებში	უსიმპტომო პაციენტები (%) სამკურნალო ჯგუფში	უსიმპტომო პაციენტები (%) პლაცებოს ჯგუფში	მკურნალობის ეფექტის ტესტი (P მნიშვნელობა)	კვლევათა ჰეტეროგენულობა
შეშუპება	1245	626	619	59.4	42.5	5.81(<0.00001)	არა
47. Opie JC, Izdebski T, Payne DN, Opie SR. Monocusp - novel common femoral vein monocusp surgery uncorrectable chronic venous insufficiency with aplastic/dysplastic valves. *Phlebology* 2008;23(4):158-71.
48. Labas P, Cambal M. Autogenous venous valve construction. *Int Angiol* 2009;28(2):147-50.

თავი 12

ვენური უკუდენის ობსტრუქციის მკურნალობა

პოპსტრომობოტული კიდურების დაახლოებით ერთ მესამედში სიმპტომების ძირითადი მიზეზია ობსტრუქცია. მანიფესტირებული ვენების ქრონიკული დაავადების (CVD) მქონე პაციენტთა 55%-ში იგი ასოცირებულია რეფლუქსთან^{1,2}. ეს კომბინაცია განაპირობებს ყველაზე მაღალ ვენურ ჰიპერტენზიას და ყველაზე მძიმე სიმპტომებს იმასთან შედარებით, რასაც მხოლოდ რეფლუქსი ან მხოლოდ ობსტრუქცია იწვევენ³. საერთო ფემორალური ან ილიო-კავალური ვენური უკუდენის ობსტრუქცია (ილიო-ფემორალური ვენური ობსტრუქცია) უფრო ხშირად იწვევენ ისეთ სიმპტომებს, როგორცაა წყლული, ტკივილი, შეშუპება, ვენური გარდამავალი კოჭლობა და ცხოვრების ხარისხის დაქვეითება, ვიდრე ბარდაყ-მუხლქვეშა ვენის ბლოკირება⁴⁻⁸. DVT რეციდივების სიხშირე მომატებულია⁹. ილიოფემორალური DVT-ს შემდეგ თემოს ვენების მხოლოდ 20-30%-ის სრული სპონტანური რეკანალიზაცია ხდება, მაშინ როდესაც დანარჩენ ვენებში არის რეზიდუალური ობსტრუქცია და კოლატერალების ვარიაბელური რიცხვი^{4,10}. ამჟამად ცნობილია ქრონიკული ობსტრუქციის როლი CVD პათოფიზიოლოგიაში. ობსტრუქციის კორექცია ვენოპლასტიკით და სტენტის ჩადგმა იზოლირებულად, საკმარისი მკურნალობა აღმოჩნდა პაციენტთა უმრავლესობისათვის რეფლუქსის არსებობის პირობებშიც კი¹¹.

დიაგნოსტიკა და პაციენტების შერჩევა

ექიმისათვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, აქვს თუ არა პაციენტს ილიო-ფემორალური ვენური ობსტრუქცია. პაციენტები C 3-6 კლასით ექვემდებარებიან შემდგომ გამოკვლევას, განსაკუთრებით ეს ეხება პაციენტებს



დატვირთვით გამოწვეული ვენური კოჭლობით⁵, არსებული დაზიანებისათვის შეუსაბამოდ ძლიერი ტკივილით და პოსტორთომოტული დაავადებით.

სამწუხაროდ არ არსებობს ჰემოდინამიკურად სარწმუნო ტესტი იმის გასაზომად, თუ შევიწროების რა ხარისხი შეესაბამება ანატომიურად მნიშვნელოვან "კრიტიკულ სტენოზს" ვენურ სისტემაში. უკუდენის ქრონიკული ობსტრუქციის ჰემოდინამიკური წვლილის შეფასების ამგვარი "ოქროს სტანდარტის" არარსებობა მთავარი დაბრკოლებაა მკურნალობისათვის კიდურების შერჩევისა და გამოსავლის შეფასებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ არაინვაზიური ან ინვაზიური კვლევების დადებითი შედეგები შესაძლოა დამატებითი კვლევების აუცილებლობაზე მიუთითებდეს, ამ ტესტების უარყოფითი პასუხიც არ გამორიცხავს დამატებითი კვლევების საჭიროებას¹². აღმავალი ან ანტეგრადული ტრანსფემორალური ფლებოგრაფია ვენური უკუდენის ტრაქტის გამოსახვის სტანდარტული მეთოდია, რომელიც აჩვენებს ობსტრუქციის ადგილს და კოლატერალების არსებობას. ინტრავასკულური ულტრაბგერა (IVUS) უკეთესია სტანდარტულ ერთსიბრტყიან და მრავალსიბრტყიან ფლებოგრაფიაზე თემოს ვენის სტენოზის მორფოლოგიური ხარისხისა და გავრცელების განსასაზღვრავად და ასევე სანათურშიდა დაზიანების დეტალების ვიზუალიზაციისათვის¹³⁻¹⁶. ილიო-კავალური ობსტრუქცია და მისი გამომწვევი დარღვევები შეიძლება გამოვლინდეს MRV-ით და CTV-ით^{17,18}. ახალი MRV პროტოკოლებით და სისხლის შეგუბების (ვენური) საკონტრასტო აგენტებით, MRV ხდება იმედისმომცემი ახალი სადიაგნოზო საშუალება, თუმცა ჯერ ვალიდირებული არ არის IVUS-ით¹⁸⁻²⁴.

ღია ქირურგიული რეკონსტრუქცია

ღია რეკონსტრუქციის შედეგები ჩვეულებრივ წარმოდგენილი არის ხოლმე შემთხვევათა სერიებში ნამკურნალევი კიდურების მცირე რიცხვით და ხანმოკლე დაკვირვების დროით, რეპორტირების სუსტი სტანდარტებით და იშვიათად წარმოდგენილი კუმულაციური გამავლობის შედეგებით. ტრანსპლანტაციურ შუნტირებას აქვს შედარებით ცუდი ხანგრძლივი შედეგები გამავლობის ხარისხის თვალსაზრისით. ამის მიზეზები, როგორც ჩანს, სხვადასხვაა - სისხლის ნელი ნაკადი, გარეგანი კომპრესია შუნტით, არასაჩინო ტრანსპლანტატის მასალის თრომბოგენობა და სუსტი დისტალური ნაკადი გავრცობილი დისტალური დაავადების გამო^{25,26}.

ჯვარედინი შუნტი (The cross-over bypass)



აუტოგენური ფემორო-ფემორალური ვენური შუნტი²⁷ უფრო ნაკლებად თრომბოგენულია და უკეთესი გამავლობით ხასიათდება, ვიდრე სინთეტიური პროთეზები (ტრანსპლანტატები)²⁸. შემთხვევათა სერიების უმეტესობა მოიცავს ცოტა პაციენტს და ხასიათდება არასარწმუნო კლინიკური და ვენოგრაფიული დაკვირვების შედეგებით (ცხრილი I და II).

ხაზოვანი შუნტი (The in-line bypass)

ანატომიურად ხაზოვანი შუნტით რეკონსტრუქცია შეიძლება გამოყენებული იქნას ფემორო-ილიო-კავალური აქსიალური უკუდენის ღერძზე სეგმენტური ობსტრუქციისას ტრანსპლანტატის საკმარისი ვენური ადინების და უკუდენის პირობებში (ცხრილი III).

ერთადერთი კვლევა რომელიც წარმოადგენს წარმატების კუმულაციურ დონეს არის ჩატარებული Jost et al. მიერ²⁸. იგი აჩვენებს 54% -იან მეორადი გამავლობის ხარისხს პროთეზული ხაზოვანი შუნტირებიდან 2 წლის შემდეგ. ეს მონაცემი უნდა შედარდეს იგივე

ცხრილი I —საჩინო ვენით ფემორო-ფემორალური შუნტირების შედეგები

ავტორი	კიდურების რაოდენობა	დაკვირვების ხანგრძლივობა, თვეები	კლინიკური წარმატება %	გამავლობა%
Husni 1970 ²⁹	78	7-144	74	73
Hutschenreiter et al. 1979 ³⁰	20	6-28	69	44
O'Donnell et al. 1987 ³¹	6	24	100	100
Halliday et al. 1985 ³²	47	60	89	75
AbuRahma et al. 1991 ³³	24	66	88	75

ცხრილი II.—პროთეზით ფემორო-ფემორალური შუნტირების შედეგები

ავტორი	კიდურების რაოდენობა	დაკვირვების ხანგრძლივობა, თვეები	კლინიკური წარმატება %	გამავლობა%
Eklof et al. 1985 ²⁶	7	2-31	86	17



Yamamoto et al. 1986 ³⁴	5	1-18	60	60
Comerota et al. 1994 ³⁵	3	40-60	67	67
Gruss & Hiemer 1992 ³⁶	32		85	85

ცხრილი III.— პროთეზის გამოყენებით ფემორო-კავალური/ილიო-კავალური შუნტირების შედეგები

ავტორი	კიდურების რაოდენობა	დაკვირვების ხანგრძლივობა, თვეები	კლინიკური წარმატება %	გამავლობა%
Husfeldt 1981 37	4	4-30	100	100
Dale et al. 1984 38	3	1-30	100	100
Ijima et al. 1985 39	5	22-36	60	60
Eklof et al. 1985 26	7	2-31	86	29
Plate et al. 1985 40	3	1-11	67	33
Okadome et al. 1989 41	4	17-48	100	100
Gloviczki et al. 1992 ⁴²	12	1-60	67	58
Alimi et al. 1997 ⁴³	8	10-45	88	88
Jost et al. 2001 ²⁸	13	1-150	49	54

კვლევაში, 83% -იან გამავლობას საჩინო ვენით ფემორო-ფემორალური ჯვარედინ შუნტირებას. ღია ვენური რეკონსტრუქცია ქრონიკული ფემორო-ილიო-კავალური ობსტრუქციისას ნაჩვენებია მხოლოდ მძიმე სიმპტომების მქონე, ქირურგიული ჩარევისათვის შესაფერის მდგომარეობაში მყოფი პაციენტებისათვის, რომელთაც წარუმატებლად ჩაუტარდათ ან ვერ ჩაუტარდათ ენდოვენური მკურნალობა⁴⁴.

საჩინო-მუხლქვეშა შუნტი

საჩინო-მუხლქვეშა ვენური შუნტირების ოპერაცია უკუდენის ობსტრუქციის დროს იშვიათად ტარდება. აღწერილია პაციენტთა მცირერიცხოვანი სერიები^{29,33,45}, რომლებმაც 1-დან 5 წლამდე დაკვირვების პერიოდის შემდეგ აჩვენეს კლინიკური წარმატებისა და გამავლობის დონე 31-58% და 56-67%, შესაბამისად.

ღრმა ვენების ენდოფლემექტომია



ენდოფლებექტომია შეიძლება ჩატარდეს კიდურზე ბარძაყის საერთო უკუდენის სეგმენტური ობსტრუქციისას^{46,47}. იგი ასევე შეიძლება იყოს შუნტირების ან სტენტირების პარალელურად ადინების გამაუმჯობესებელი ჰიბრიდული პროცედურის ნაწილი^{44,48}.

ფემორო-ილიო-კავალური სტენტირება

პერკუტანულმა თემოს ვენის ბალონურმა დილატაციურმა სტენტირებამ დრამატულად გააფართოვა მკურნალობის შესაძლებლობები. გართულებები არის მინიმალური, ხოლო სიკვდილიანობა არის ნულის ტოლი.ეს ამჟამად არის ფემორო-ილიო-კავალური ობსტრუქციის მკურნალობის არჩევის მეთოდი. ბოლო წლებში გამოქვეყნდა მრავალი ცხოვან შემთხვევათა რამოდენიმე სერია, რომლებმაც დაადასტურა მკურნალობის ამ მეთოდის ეფექტურობა⁴⁹⁻⁵². გამავლობის ხარისხი, რომელიც ფასდებოდა დუპლექს ულტრაბგერით ან ფლებოგრაფიით, წარმატებულად სტენტირებულ კიდურებზე ნაჩვენებია ცხრილში IV.

არათრომბოზული დაავადების გამო სტენტირებული კიდურები ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე პოსტთრომბოტული დაავადების მქონე პაციენტებში. მათთვის 4-6 წლის შემდეგ კუმულაციური გამავლობის ხარისხი იყო 100% და 86-90%, შესაბამისად (იხ.ცხრილი IV, NIVL და პოსტთრომბოზული).მძიმე სტენტისშიდა მორეციდივე სტენოზი, რაც განისაზღვრებოდა როგორც დიამეტრის 50%-ით შემცირება ერთსიბრტყიან წინა-უკანა ვენოგრამაზე, იშვიათი იყო და აღინიშნებოდა ერთ კვლევაში, 72 თვის შემდეგ, მხოლოდ 5%-ში^{51,60}. კუმულაციურად უფრო მეტი ხარისხი სტენტისშიდა მორეციდივე სტენოზისა ნანახი იქნა თრომბოზულ კიდურებში არათრომბოზულ კიდურებთან შედარებით და 72 თვის შემდეგ იყო, შესაბამისად 10% და 1%. იგი უფრო ხშირად აღინიშნებოდა პოსტთრომბოტული ვენური ოკლუზიისას, ვიდრე არაოკლუზიური დაავადების დროს. თრომბოფილია არ ასოცირდებოდა მომატებულ სტენტისშიდა რესტენოზთან. სტენტირებული ვენის სიგრძე და საზარდულის იოგის ქვემოთ მისი საერთო ფემორალურ ვენაში გავრცელების მანძილი არ ასოცირდებოდა სტენტისშიდა რესტენოზის მომატებასთან⁶¹, თუმცა, ეს ფაქტორები თავდაპირველად რესტენოზის ხელშემწყობად ითვლებოდა. როგორც ჩანს, იგივე ფაქტორები ასოცირდება სტენტების ადრეულ და გვიან ოკლუზიასთან⁵¹. გამავლობის ხარისხი ხანგრძლივ პერსპექტივაში უმჯობესდებოდა შემთხვევათა უმრავლესობაში. ერთ-ერთ კვლევაში თემოს ვენის ბალონური დილატაციის და სტენტის ჩადგმის შემდეგ აქტიური წყლულის მქონე 148 კიდურში, წყლულის რეციდივის გარეშე ყოფნის კუმულაციური სიხშირე 5 წლის შემდეგ იყო 58%⁵¹. 5 წლის შემდეგ ტკივილის და შემუპების სრული გაქრობის კუმულაციური სიხშირე იყო შესაბამისად, 62% და 32%. გამოყენებული იქნა ცხოვრების ხარისხის კითხვარი, რომელიც

ცხრილი IV ილიო-ფემორო-კავალური სტენტირების შემდგომი გამავლობის ხარისხი

ავტორი	ეტოლოგია		გამავლობის კუმულაციური ხარისხი
--------	----------	--	--------------------------------



		კიდურების რიცხვი	პირველადი	ხელშეწყ. პირველადი	მეორადი	დაკვირვების საერთო დრო (წელი)
Neglen et al. 2007 ⁵¹	ყველა	982	67%	89%	93%	6
Hartung et al. 2009 ⁴⁹	ყველა	87	83%	89%	93%	8
Neglen et al. 2007 ⁵¹	NIVL	518	79%	100%	100%	6
Ye et al. 2012 ⁵³	NIVL	205	99%	100%	100%	4
Neglen et al. 2007 ⁵¹	პოსტრომბოზული	464	57%	80%	85%	6
Rosales et al. 2010 ⁵²	პოსტრომბოზული	32	67%	76%	90%	2
Kujbel et al. 2009 ⁵⁴	პოსტრომბოზული ოკლუზია	59	70%	73%	80%	5
Raju & Neglen. 2009 ⁵⁵	პოსტრომბოზული ოკლუზია	139	30%	56%	66%	4
Kurklinsky et al. 2012 ⁵⁰	პოსტრომბოზული ოკლუზია	91	71%	90%	95%	3
Knipp et al. 2007 ⁵⁶	შერეული მწვავე/ქრონიკული	58	38%	63%	74%	5
Oguzkurt et al. 2008 ⁵⁷	შერეული მწვავე/ქრონიკული	36	80%	-	82%	4
Razavi et al. 2000 ⁵⁸	IVC ობსტრუქცია	17	-	-	87%	2
Raju & Neglen. 2006 ⁵⁹	IVC ობსტრუქცია	106	58%	82%	84%	2

NIVL = თემოს ვენის არათრომბოზული დაზიანება (პირველადი დაავადება, ეგრეთ წოდებული May-Thurner-ის სინდრომი ან Cockett-ის დაავადება).

მოიცავდა სუბიექტური ტკივილის, ძილის დარღვევის, მორალური მდგომარეობის და სოციალური აქტივობის, რუტინული და ძლიერი ფიზიკური დატვირთვის შეფასებას. პაციენტებმა ვენური სტენტირების შემდეგ აღნიშნეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ყველა ძირითადი კატეგორიის მხრივ. კლინიკური შედეგები განმტკიცებული იყო



ვენური კლინიკური სიმპტომისა და უნარშეზღუდულობის შკალეებზე ქულების მნიშვნელოვანი შემცირებით და წყლულის შეხორცების მაღალი კუმულაციური ხარისხით^{51,52,62,63}.

References

1. Johnson BF, Manzo RA, Bergelin RO, Strandness DE, Jr. Relationship between changes in the deep venous system and the development of the postthrombotic syndrome after an acute episode of lower limb deep vein thrombosis: a one- to six-year follow-up. *J Vasc Surg* 1995;21(2):307-12; discussion 313.
2. Johnson BF, Manzo RA, Bergelin RO, Strandness DE, Jr. The site of residual abnormalities in the leg veins in long-term follow-up after deep vein thrombosis and their relationship to the development of the post-thrombotic syndrome. *Int Angiol* 1996;15(1):14-9.
3. Nicolaides AN, Hussein MK, Szendro G, Christopoulos D, Vasdekis S, Clarke H. The relation of venous ulceration with ambulatory venous pressure measurements. *J Vasc Surg* 1993;17(2):414-9.
4. Mavor GE, Galloway JM. Collaterals of the deep venous circulation of the lower limb. *Surg Gynecol Obstet* 1967;125(3):561-71.
5. Delis KT, Bountouroglou D, Mansfield AO. Venous claudication in iliofemoral thrombosis: long-term effects on venous hemodynamics, clinical status, and quality of life. *Ann Surg* 2004;239(1):118-26.
6. Comerota AJ, Throm RC, Mathias SD, Haughton S, Mewissen M. Catheter-directed thrombolysis for iliofemoral deep venous thrombosis improves health-related quality of life. *J Vasc Surg* 2000;32(1):130-7.
7. Kahn SR, Hirsch A, Shrier I. Effect of postthrombotic syndrome on health-related quality of life after deep venous thrombosis. *Arch Intern Med* 2002;162(10):1144-8.
8. Delis KT, Bjarnason H, Wennberg PW, Rooke TW, Gloviczki P. Successful iliac vein and inferior vena cava stenting ameliorates venous claudication and improves venous outflow, calf muscle pump function, and clinical status in post-thrombotic syndrome. *Ann Surg* 2007;245(1):130-9.



9. Douketis JD, Crowther MA, Foster GA, Ginsberg JS. Does the location of thrombosis determine the risk of disease recurrence in patients with proximal deep vein thrombosis? *Am J Med* 2001;110(7):515-9.
10. Plate G, Akesson H, Einarsson E, Ohlin P, Eklof B. Long-term results of venous thrombectomy combined with a temporary arterio-venous fistula. *Eur J Vasc Surg* 1990;4(5):483-9.
11. Raju S, Darcey R, Neglen P. Unexpected major role for venous stenting in deep reflux disease. *J Vasc Surg* 2010;51(2):401-8; discussion 408.
12. Neglen P, Raju S. Proximal lower extremity chronic venous outflow obstruction: recognition and treatment. *Semin Vasc Surg* 2002;15(1):57-64.
13. Neglen P, Raju S. Intravascular ultrasound scan evaluation of the obstructed vein. *J Vasc Surg* 2002;35(4):694-700.
14. Forauer AR, Gemmete JJ, Dasika NL, Cho KJ, Williams DM. Intravascular ultrasound in the diagnosis and treatment of iliac vein compression (May-Thurner) syndrome. *J Vasc Interv Radiol* 2002;13(5):523-7.
15. Satokawa H, Hoshino S, Iwaya F, Igari T, Midorikawa H, Ogawa T. Intravascular Imaging Methods for Venous Disorders. *International Journal of Angiology* 2000;9(2):117-121.
16. Hingorani AP, Ascher E, Markevich N, Schutzer RW, Kallakuri S, Hou A et al. Deep venous thrombosis after radiofrequency ablation of greater saphenous vein: a word of caution. *J Vasc Surg* 2004;40(3):500-4.
17. Chung JW, Yoon CJ, Jung SI, Kim HC, Lee W, Kim YI et al. Acute iliofemoral deep vein thrombosis: evaluation of underlying anatomic abnormalities by spiral CT venography. *J Vasc Interv Radiol* 2004;15(3):249-56.
18. Fraser DG, Moody AR, Davidson IR, Martel AL, Morgan PS. Deep venous thrombosis: diagnosis by using venous enhanced subtracted peak arterial MR venography versus conventional venography. *Radiology* 2003;226(3):812-20.
19. Catalano C, Pavone P, Laghi A, Scipioni A, Fanelli F, Assael FG et al. Role of MR venography in the evaluation of deep venous thrombosis. *Acta Radiol* 1997;38(5):907-12.
20. Jensen AD, Borris LC, Christiansen TM, Lundorf E. Accuracy of magnetic resonance imaging in the diagnosis of deep vein thrombosis in asymptomatic patients with injuries of the lower extremity. A pilot study. *Thromb Res* 2001;101(6):423-6.



21. Arnoldussen CW, Wittens CH. An imaging approach to deep vein thrombosis and the lower extremity thrombosis classification. *Phlebology* 2012;27 Suppl 1:143-8.
22. Lindquist CM, Karlicki F, Lawrence P, Strzelczyk J, Pawlyshyn N, Kirkpatrick ID. Utility of balanced steady-state free precession MR venography in the diagnosis of lower extremity deep venous thrombosis. *AJR Am J Roentgenol* 2010;194(5):1357-64.
23. Sampson FC, Goodacre SW, Thomas SM, van Beek EJ. The accuracy of MRI in diagnosis of suspected deep vein thrombosis: systematic review and meta-analysis. *Eur Radiol* 2007;17(1):175-81.
24. Fraser DG, Moody AR, Morgan PS, Martel AL, Davidson I. Diagnosis of lower-limb deep venous thrombosis: a prospective blinded study of magnetic resonance direct thrombus imaging. *Ann Intern Med* 2002;136(2):89-98.
25. Lalka SG, Lash JM, Unthank JL, Lalka VK, Cikrit DF, Sawchuk AP et al. Inadequacy of saphenous vein grafts for cross-femoral venous bypass. *J Vasc Surg* 1991;13(5):622-30.
26. Eklof B, Albrechtson U, Einarsson E, Plate G. The temporary arteriovenous fistula in venous reconstructive surgery. *Int Angiol* 1985;4(4):455-62.
27. Palma EC, Esperon R. Vein transplants and grafts in the surgical treatment of the postphlebotic syndrome. *J Cardiovasc Surg (Torino)* 1960;1:94-107.
28. Jost CJ, Gloviczki P, Cherry KJ, Jr., McKusick MA, Harmsen WS, Jenkins GD et al. Surgical reconstruction of iliofemoral veins and the inferior vena cava for nonmalignant occlusive disease. *J Vasc Surg* 2001;33(2):320-7; discussion 327-8.
29. Husni EA. In situ saphenopopliteal bypass graft for incompetence of the femoral and popliteal veins. *Surg Gynecol Obstet* 1970;130(2):279-84.
30. Hutschenreiter S, Vollmar J, Loeprecht H, Abendschein A, Rodl W. Reconstructive operations on the venous system: late results with a critical assessment of the functional and vascular morphological criteria. *Chirurg* 1979;50(9):555-63.
31. O'Donnell TF, Jr., Mackey WC, Shepard AD, Callow AD. Clinical, hemodynamic, and anatomic follow-up of direct venous reconstruction. *Arch Surg* 1987;122(4):474-82.



32. Halliday P, Harris J, May J. Femoro-femoral crossover grafts (Palma operation): A long-term follow-up study. *Surgery of the veins*. Orlando, FL: Grune & Stratton, 1985. pp. 241-54.
33. AbuRahma AF, Robinson PA, Boland JP. Clinical, hemodynamic, and anatomic predictors of long-term outcome of lower extremity venovenous bypasses. *J Vasc Surg* 1991;14(5):635-44.
34. Yamamoto N, Takaba T, Hori G, Funami M, Yoshizawa T, Nomoto S et al. Reconstruction with insertion of expanded polytetrafluoroethylene (EPTFE) for iliac venous obstruction. *J Cardiovasc Surg (Torino)* 1986;27(6):697-702.
35. Comerota AJ, Aldridge SC, Cohen G, Ball DS, Pliskin M, White JV. A strategy of aggressive regional therapy for acute iliofemoral venous thrombosis with contemporary venous thrombectomy or catheter-directed thrombolysis. *J Vasc Surg* 1994;20(2):244-54.
36. Gruss JD, Hiemer W. Results of femoropopliteal and femorotibial greater saphenous vein in situ bypass. Life table analysis. *Int Angiol* 1992;11(2):94-105.
37. Husfeldt KJ. Venous replacement with Gore-tex prosthesis: experimental and first clinical results. *Pelvic and abdominal veins: Progress in diagnosis and therapy*. Amsterdam: Excerpta Medica, 1981. pp. 249-58.
38. Dale WA, Harris J, Terry RB. Polytetrafluoroethylene reconstruction of the inferior vena cava. *Surgery* 1984;95(5):625-30.
39. Ijima H, Kodama M, Hori M. Temporary arteriovenous fistula for venous reconstruction using synthetic graft: a clinical and experimental investigation. *J Cardiovasc Surg (Torino)* 1985;26(2):131-6.
40. Plate G, Einarsson E, Eklof B, Jensen R, Ohlin P. Iliac vein obstruction associated with acute iliofemoral venous thrombosis. Results of early reconstruction using polytetrafluoroethylene grafts. *Acta Chir Scand* 1985;151(7):607-11.
41. Okadome K, Muto Y, Eguchi H, Kusaba A, Sugimachi K. Venous reconstruction for iliofemoral venous occlusion facilitated by temporary arteriovenous shunt. Long-term results in nine patients. *Arch Surg* 1989;124(8):957-60.
42. Glociczki P, Pairolero PC, Toomey BJ, Bower TC, Rooke TW, Stanson AW et al. Reconstruction of large veins for nonmalignant venous occlusive disease. *J Vasc Surg* 1992;16(5):750-61.



43. Alimi YS, DiMauro P, Fabre D, Juhan C. Iliac vein reconstructions to treat acute and chronic venous occlusive disease. *J Vasc Surg* 1997;25(4):673-81.
44. Garg N, Gloviczki P, Karimi KM, Duncan AA, Bjarnason H, Kalra M et al. Factors affecting outcome of open and hybrid reconstructions for nonmalignant obstruction of iliofemoral veins and inferior vena cava. *J Vasc Surg* 2011;53(2):383-93.
45. Frileux C, Pillot-Bienayme P, Gillot C. Bypass of segmental obliterations of ilio-femoral venous axis by transposition of saphenous vein. *J Cardiovasc Surg (Torino)* 1972;13(5):409-14.
46. Raju S, Easterwood L, Fountain T, Fredericks RK, Neglen PN, Devidas M. Saphenectomy in the presence of chronic venous obstruction. *Surgery* 1998;123(6):637-44.
47. Puggioni A, Kistner RL, Eklof B, Lurie F. Surgical disobliteration of postthrombotic deep veins--endophlebectomy--is feasible. *J Vasc Surg* 2004;39(5):1048-52; discussion 52.
48. Vogel D, Comerota AJ, Al-Jabouri M, Assi ZI. Common femoral endovenectomy with ilio caval endoluminal recanalization improves symptoms and quality of life in patients with postthrombotic iliofemoral obstruction. *J Vasc Surg* 2012;55(1):129-35.
49. Hartung O, Loundou AD, Barthelemy P, Arnoux D, Boufi M, Alimi YS. Endovascular management of chronic disabling ilio-caval obstructive lesions: long-term results. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2009;38(1):118-24.
50. Kurklinsky AK, Bjarnason H, Friese JL, Wysokinski WE, McBane RD, Misselt A et al. Outcomes of venoplasty with stent placement for chronic thrombosis of the iliac and femoral veins: single-center experience. *J Vasc Interv Radiol* 2012;23(8):1009-15.
51. Neglen P, Hollis KC, Olivier J, Raju S. Stenting of the venous outflow in chronic venous disease: long-term stent-related outcome, clinical, and hemodynamic result. *J Vasc Surg* 2007;46(5):979-990.
52. Rosales A, Sandbaek G, Jorgensen JJ. Stenting for chronic post-thrombotic vena cava and iliofemoral venous occlusions: mid-term patency and clinical outcome. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2010;40(2):234-40.
53. Ye K, Lu X, Li W, Huang Y, Huang X, Lu M et al. Long-term outcomes of stent placement for symptomatic non-thrombotic iliac vein compression lesions in chronic venous disease. *J Vasc Interv Radiol* 2012;23(4):497-502.



54. Kolbel T, Lindh M, Akesson M, Wasselius J, Gottsater A, Ivancev K. Chronic iliac vein occlusion: midterm results of endovascular recanalization. *J Endovasc Ther* 2009;16(4):483-91.
55. Raju S, Neglen P. Percutaneous recanalization of total occlusions of the iliac vein. *J Vasc Surg* 2009;50(2):360-8.
56. Knipp BS, Ferguson E, Williams DM, Dasika NJ, Cwikiel W, Henke PK et al. Factors associated with outcome after interventional treatment of symptomatic iliac vein compression syndrome. *J Vasc Surg* 2007;46(4):743-749.
57. Oguzkurt L, Tercan F, Ozkan U, Gulcan O. Iliac vein compression syndrome: outcome of endovascular treatment with long-term follow-up. *Eur J Radiol* 2008;68(3):487-92.
58. Razavi MK, Hansch EC, Kee ST, Sze DY, Semba CP, Dake MD. Chronically occluded inferior venae cavae: endovascular treatment. *Radiology* 2000;214(1):133-8.
59. Raju S, Neglen P. High prevalence of nonthrombotic iliac vein lesions in chronic venous disease: a permissive role in pathogenicity. *J Vasc Surg* 2006;44(1):136-43; discussion 144.
60. Neglen P, Raju S. In-stent recurrent stenosis in stents placed in the lower extremity venous outflow tract. *J Vasc Surg* 2004;39(1):181-7.
61. Neglen P, Tackett TP, Jr., Raju S. Venous stenting across the inguinal ligament. *J Vasc Surg* 2008;48(5):1255-61.
62. Hartung O, Otero A, Boufi M, De Caridi G, Barthelemy P, Juhan C et al. Mid-term results of endovascular treatment for symptomatic chronic nonmalignant ilio caval venous occlusive disease. *J Vasc Surg* 2005;42(6):1138-44; discussion 1144.
63. Wahlgren CM, Wahlberg E, Olofsson P. Endovascular treatment in postthrombotic syndrome. *Vasc Endovascular Surg* 2010;44(5):356-60.

თავი 13

მკურნალობის ეფექტურობის შეფასება



თერაპიის ეფექტურობის ვალიდაციისათვის აუცილებელია შეფასდეს ცალკეული ნიშნები, სიმპტომები, ცხოვრების ხარისხი და ასევე, სათანადო სიძლიერის კვლევის მეთოდებით - ვენების მორფოლოგიური და ფუნქციური პარამეტრები. კლინიკური გამოსავლის ეს პარამეტრები წინასწარ უნდა იყოს ვალიდირებული. ვენების ქრონიკული დაავადების (CVD) მკურნალობის შემდგომი კლინიკური გამოსავლის შესაფასებლად მეთოდის შერჩევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კლინიკურ სურათზე. კოსმეტიკური მხარის, ან ისეთი სუბიექტური სიმპტომების შეფასება, როგორცაა კრამპი, ქავილი, დაღლილობა, საკმაოდ ძნელია. ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პაციენტის პრეფერენციები და მკურნალობის სხვადასხვა მეთოდების მიმღებლობა. სიმპტომების შეფასებაზე ბევრად უფრო ადვილია ზუსტად გაიზომოს ისეთი კლინიკური ნიშნები, როგორცაა წყლულის შეხორცება ან რეციდივი, ან კიდურის გარშემოწერილობისა და მოცულობის შემცირება. მკურნალობის ეფექტურობა ყველაზე კარგად ფიქსირდება გაუმჯობესებული ნიშნების და სიმპტომების დოკუმენტირებით და, შეძლებისდაგვარად მათი ლაბორატორიული მონაცემების განმტკიცებით; ყველა გვერდითი ეფექტის ჩანიშვნით და ხანგრძლივი დაკვირვებით, განსაკუთრებით როდესაც მკურნალობის მიზანია პროგრესირების პრევენცია¹. მკურნალობის გვერდითი ეფექტები ასევე უნდა იყოს დოკუმენტებში დაფიქსირებული. დაფიქსირებული უნდა იქნას აგრეთვე ქირურგიული ჩარევის ან სკლეროთერაპიის გართულებები, როგორებიცაა სიკვდილიანობა, ჭრილობის ინფიცირება, ზედაპირული თრომბოფლებიტი, ცელულიტი და საჩინო ნერვის დაზიანება. გაზომვის არსებული მეთოდები ქვემოთ არის შეჯამებული.

ნიშნების შეფასება

ტელეანგიექტაზიები და რეტიკულური ვენები

ტელეანგიექტაზიები და რეტიკულური ვენები შეიძლება შეფასდეს ვიზუალურად ფოტოებითა და დიაგრამებით.

ვარიკოზული ვენები

ვარიკოზული ვენები შეიძლება შეფასდეს ვიზუალურად ფოტოებითა და დიაგრამებით, ასევე ვენის დიამეტრისა და გავრცელების არეალის შეფასებით.

შეშუპება და ფეხის მოცულობა



ექსპერტთა საერთაშორისო შეხვედრის შედეგად დადგინდა, რომ წყლის გადანაცვლების ვოლუმეტრია არის ოქროს სტანდარტი CVD დროს შემუშავების მკურნალობის ეფექტის დადასტურებისა და შედარებისათვის². ეს არის ძველი^{3,4}, მაგრამ ბოლო დროს განახლებული არაინვაზიური ტექნიკა. ვოლუმეტრია რაოდენობრივად არ აფასებს შემუშავებას, მაგრამ ზომავს ხანმოკლე ვარიაბელობას, რაც ასახავს შემუშავების ცვლილებებს⁵⁻⁷. იგი რეპროდუცირებადია იმ პირობებში, როდესაც გაზომვის კონდიციები მკაცრადაა სტანდარტიზებული. ვოლუმეტრია საშუალებას იძლევა აკურატულად შედარდეს კიდურის ცვლილებები დროთა განმავლობაში - ხდება სხვადასხვა სიტუაციაში შემუშავების ინტენსივობის ცვლილების განსაზღვრა: მაგალითად დილის და საღამოს შემუშავება, მწოლიარე მდგომარეობაში და ფეხზე დგომისას, მოსვენებულ მდგომარეობაში და ვარჯიშის შემდეგ, ვენური ტურნიკეტის დადებად და მის შემდეგ, მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ და დაკვირვების პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. მეთოდის განმეორებადობა ორი ურთიერთ მომდევნო შეფასებისას ორი სხვადასხვა დამკვირვებლის მიერ, არის 0,7% , ხოლო იმავე პირობებში მისი ინტრანდივიდუალური ვარიაბელობა არის 1.3%⁶.

ვოლუმეტრიამ უკვე აჩვენა, რომ ყველაზე მეტად შუპდება მტკივანი ფეხები⁸, რომ ფეხის მოცულობა მატულობს დღიური აქტივობის დროს და ის, რომ ეს მომატება კორელირებს CVD სიმძიმესთან⁶, რომ ფეხის მოცულობა მატულობს ხანგრძლივი გადაფრენების დროს და იგი მცირდება ვენების ქირურგიული მკურნალობის⁹ და ვენური და ლიმფური სისტემის უკმარისობის მედიკამენტური მკურნალობის შემდეგ¹⁰⁻¹².

შემუშავების შეფასების სხვა მეთოდებია საზომი ლენტით ფეხის გარშემოწერილობის გაზომვა^{13,15} და ოპტო-ელექტრონული ვოლუმეტრია¹⁶⁻¹⁸.

კანის ცვლილებები და ლიპოდერმატოსკლეროზი

ლიპოდერმატოსკლეროზით გამოწვეული ინდურაციის ხარისხი შეიძლება გაიზომოს სხვადასხვა ტექნიკით, მაღალი გარჩევადობის ულტრაბგერითი B-სკანერით¹⁹ და „დურომეტრით“^{20,21}. კოჰ-წვივის სასხარში მოძრაობები შეიძლება გამოითვალოს გონიომეტრით^{22,23}. მიუხედავად ამისა, ამ ტექნიკიდან ჯერჯერობით არც-ერთი არ არის ვალიდირებული როგორც CVD-ს სამკურნალო მეთოდების შესადარებელი ინსტრუმენტი.

წყლულის შეხორცება

წყლულის სრული შეხორცება C6 პაციენტების გამოსავლის ყველაზე მნიშვნელოვანი კლინიკური საზომია¹. იგი შეიძლება შეფასდეს სიცოცხლის ცხრილის ანალიზით²⁴.

ზედაპირის ფართობის შემცირება - არის სუროგატი კრიტერიუმი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება.

წყლულის ზედაპირი შეიძლება გაიზომოს პლანიმეტრით - წყლულის კონტურების გამჭვირვალე ქალაქდზე



მოხაზვის ან სკალირებული ფოტოგრაფიის გამოყენებით, ან სინათლის ნათურის გამოყენებით პირდაპირი ციფრული გაზომვებით²⁵. ალტერნატიულად, შესაძლოა ორი მაქსიმალური პერპენდიკულარული დიამეტრის გადამრავლება და ზედაპირის ფართობის გამოთვლა სმ^2 -ში. თუ მიღებულ ციფრს შემდეგ გადავამრავლებთ $\text{p}/4$ -ზე, გამოანგარიშებული სწორკუთხედის ფართობი გადაიქცევა ელიპსის ფართობად. Gillman -მა გამოაქვეყნა მეთოდი, რომლითაც შესაძლოა ჭრილობის შეხორცების ხარისხის გამოთვლა, რაც სხვადასხვა ზომაზე და ფორმაზე კორექტირდება წყლულის ფართობის მის პერიმეტრზე გაყოფით²⁶. გეომეტრიული გაზომვების ამგვარი ცვლილებები დროის ერთეულში ხშირად გამოიყენება კლინიკურ კვლევებში^{27,28}. ყოველივე ამის მიუხედავად, სრული შეხორცება და საწყისი შეხორცების ხარისხი ყველაზე ხშირად გამოყენებადი საბოლოო წერტილებია (ენდპოინტებია)^{29,30}. საწყისი შეხორცების ხარისხი განისაზღვრება, როგორც შეხორცების დონე დროის პირველ პერიოდში. ფართობის შემცირების პროცენტული მაჩვენებელი დროის ერთეულში არ არის ვალიდური ენდპოინტი, რადგან იგი დამოკიდებულია წყლულის საწყის ზომაზე²⁷. თუმცა, Gillman-ის განტოლება ერგება წყლულის სხვადასხვა საწყის ზომას და ამიტომ იგი აკმაყოფილებს კლინიკური კვლევების მოთხოვნებს სტანდარტიზებული და ურთიერთსადარი საზომების საჭიროებაზე³⁰⁻³².

წყლულის რეციდივი

წყლულის რეციდივი ყველაზე მნიშვნელოვანი ენდპოინტია C5 პაციენტებში. იგი შეიძლება შეფასდეს ხანგრძლივი დაკვირვების კვლევებში წყლულებისაგან თავისუფალი კუმულაციური დროის გამოყენებით^{33,34}, ან სიცოცხლის ცხრილის ანალიზით - დროის მანძილზე რეციდივის გარეშე მყოფი პირების პროპორციის გამოანგარიშებით²⁴.

სიმპტომებისა და ცხოვრების ხარისხის შეფასება

სიმპტომები

სიმპტომები შესაძლოა შეაფასოს ექიმმა, ან პაციენტმა მოახდინოს თვითშეფასება. მეორე შემთხვევაში პაციენტმა მისთვის მოსახერხებელ დროს (არა ექიმის კაბინეტში) უნდა შეაფასოს სპეციალური კითხვარი. ამ მეთოდით ჩვეულებრივ ხდება შეფასება მკურნალობის დაწყებამდე, მკურნალობის პერიოდში და მკურნალობის დასრულების შემდეგ. პაციენტებს სთხოვენ მოახდინონ სიმპტომების გაუმჯობესების საერთო შეფასება, ან გამოიყენონ



რაოდენობრივი შკალები, როგორცაა Likert-ის სკალა³⁵ ან ვიზუალურ-ანალოგური შკალა. ანალგეტიკების საჭიროების რაოდენობრივი შეფასება ტკივილის შეფასებისათვის, შეიძლება იყოს სასარგებლო დამატებითი მეთოდი.

ცხოვრების ხარისხი

CVD მქონე პაციენტების ცხოვრების ხარისხი ფასდება გენერიული და დაავადება სპეციფიური მეთოდებით. ყველაზე ხშირად გამოყენებადი გენერიული საზომია "სამედიცინო გამოსავლის კვლევის მოკლე ფორმა" - Medical Outcome Study Short Form Health Survey (SF-36). ეს არის 36-განყოფილებიანი კითხვარი, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის რვა მაჩვენებელს, რომელთა შორისაა: ფიზიკური და სოციალური ფუნქციები, ემოციური ან ფიზიკური პრობლემებით გამოწვეული შეზღუდვები, მენტალური ჯანმრთელობა, ხალისიანობა/ენერგიულობა, ტკივილისა და ჯანმრთელად ყოფნის შეგრძნება. SF-36 გამოიყენება პაციენტებში ვარიკოზული ვენებითა და ასევე პაციენტებში ვენური წყლულებით^{36,37}. Garratt et al,³⁶ კვლევაში, SF-36 -მა დააკმაყოფილა ვალიდობის ფსიქომეტრიული და საიმედოობის კრიტერიუმები და აჩვენა, რომ პაციენტებს ვარიკოზული ვენებით მნიშვნელოვნად დაბალი ცხოვრების ხარისხი აქვთ, ვიდრე შესაბამისი ასაკის ჯანმრთელ პოპულაციას. EuroQol- 5D (EQ-5D) არის გენერიული QoL კითხვარის მოკლე ფორმა, და შეიცავს მხოლოდ ხუთ შეკითხვას, რომლებსაც უნდა უპასუხოთ პაციენტმა. ეს ფორმა ვალიდირებული იქნა SF-36 საშუალებით³⁸.

CVD მქონე პაციენტების სპეციფიური ჩივილები არ არის იდენტიფიცირებული თანამედროვე გენერიულ QoL კითხვარებში. შეიქმნა სპეციფიური კითხვარები იმისათვის, რომ მოხდეს ვენური დაავადების ფუნქციური და ფსიქოლოგიური გავლენების შესწავლა^{39,40}. ამათგან ყველაზე ახალია ქრონიკული ვენური უკმარისობის კითხვარი - Chronic Venous Insufficiency Questionnaire (CIVIQ), რომელიც გამოიყენეს Launois et al⁴⁰. ეს კითხვარი ვალიდირებული იქნა და იგი პასუხობს აუცილებელ ფსიქომეტრიულ კრიტერიუმებს, საიმედოობის, შინაარსის, კონსტრუქციული ვალიდობის და მგრძობიარობის თვალსაზრისით. 934 პაციენტის შემცველ რანდომიზებულ კვლევაში CIVIQ -მ აჩვენა, რომ ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უფრო დაბალი იყო ვენური უკმარისობის მქონე პაციენტებში, ვიდრე ვენური დაავადების არმქონე საკონტროლო პირებში. აბერდინის ვარიკოზული ვენების კითხვარი - The Aberdeen varicose vein questionnaire (AVVQ) ხშირად გამოიყენება UK-ში⁴¹. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხის კვლევები მომავალშიც უნდა ჩატარდეს რათა შეფასდეს CVD საერთო გამოსავალი და დადგინდეს შესაბამისი მკურნალობა^{42,43}.

ვენური კლინიკური სიმძიმის შკალა (VCSS)



VCSS⁴⁴ შექმნილი იქნა ქირურგიული მკურნალობის შემდგომი გამოსავლის შესაფასებლად. იგი ადექვატურია პაციენტებისათვის შორსწასული CVD-ით, მაგრამ ნაკლებად არის მორგებული პაციენტებზე უფრო მსუბუქი ვენური დარღვევებით. იგი ვალიდირებული იქნა⁴⁵, მისი ხანმოკლე პერიოდში განმეორებითობის თვალსაზრისითაც⁴⁶. ახლახანს მოხდა შკალირების გადახედვა⁴⁷ და ვალიდაცია⁴⁸ (იხ. თავი 5).

ვენების ფუნქციური და მორფოლოგიური პარამეტრების შეფასება

ვენურ სისტემაში რეფლუქსა და ობსტრუქციასთან დაკავშირებული მორფოლოგიური და ფუნქციური პარამეტრების შესწავლა შეიძლება მოხდეს დუპლექს ულტრაბგერით, MRV-ით, CTV-ით, პლექტიზმოგრაფიული ტექნიკით, წნევის გაზომვებით და მიკროვასკულური ტექნიკებით. მათი გამოყენება დამოკიდებულია C კლასზე და მკურნალობის შესაფასებელ სამიზნეზე (ცხრილი I).

ცხრილი I.— CVD პაციენტებში თერაპიული კვლევების გამოსავლის პარამეტრები

CEAP “C” კლასი	კლინიკური (*)	მორფოლოგია	ფუნქცია
C1	ფოტოგრაფიული ანალიზი		
C2	იგივე C1	დუპლექსი, MRV, CTV: ვენის დიამეტრი და ობსტრუქცია	დუპლექსი: რეფლუქსი და ობსტრუქცია პლექტიზმოგრაფია: დგუმის ფუნქცია და უკუდენისადმი რეზისტენტობა
C3	იგივე C1+ მოცულობის გაზომვა	იგივე C2	იგივე C2 + ვენური წნევა: ვენური დგუმის დაქვეითება და ობსტრუქცია
C4	იგივე C3 +ქრომამეტრია, დურომეტრია ან გონიომეტრია	იგივე C2 + US: კანის სისქე + კაპილაროსკოპია: კაპილარების სიმჭიდროვე + მიკროლიმფოგრაფია	იგივე C3 + TcPO2 + ლაზერული დოპლერ ფლუქსმეტრია
C5	იგივე C4 +წყლულის რეციდივის ხარისხი	იგივე C4	იგივე C4



C6	იგივე C5+წყლულის შეხორცების ხარისხი	იგივე C4	იგივე C4
(*) სიმპტომების, ცხოვრების ხარისხის შეფასების სტანდარტიზებული მეთოდები და კლინიკური სიმძიმის სკალები შეიძლება გამოიყენებოდეს სიმპტომების მქონე პაციენტებისთვის C1-დან C6-მდე.			

References

1. Vanscheidt W, Heidrich H, Junger M, Rabe E. Guide- lines for testing drugs for chronic venous insufficiency. *Vasa* 2000;29(4):274-8.
2. Fowkes FGR, Bosanquet N, Franks PJ, al e. Proposal of a consensus statement the role of oedema-protective agents in the treatment of chronic venous insufficiency. *Phlebology* 1996;11:39-40.
3. Keates JS, FitzGerald DE. Limb volume and blood flow changes during the menstrual cycle. I. Limb volume changes during the menstrual cycle. *Angiology* 1969;20(10):618-23.
4. Keates JS, FitzGerald DE. Limb volume and blood flow changes during the menstrual cycle. II. Changes in blood flow and venous distensibility during the menstrual cycle. *Angiology* 1969;20(10):624-7.
5. Barnes MD, Mani R, Barrett DF, White JE. How to measure changes in oedema in patients with chronic venous ulcers. *Phlebology* 1992;7:31-35.
6. Vayssairat M, Maurel A, Gouny P, Baudot N, Gaitz JP, Nussaume O. Leg volumetry: a precise method for quantification in phlebology. *J Mal Vasc* 1994; 19(2):108-10.
7. Vayssairat M, Maurel A, Gouny P, Veraart JC, Neumann HA. Leg volume measurements. *Phlebology* 1995;10:173-4.
8. Hands L, Collin J. Legs that swell and ache: volume changes during the day in health young adults. *Br Med J (Clin Res Ed)* 1984;288(6415):447-8.
9. Speakman MJ, Collin J. Are swelling and aching of the legs reduced by operation on varicose veins? *Br Med J (Clin Res Ed)* 1986;293(6539):105-6.



- 10 Nocker W, Diebschlag W, Lehmacher W. [A 3-month, randomized double-blind dose-response study with O-(beta-hydroxyethyl)-rutoside oral solutions]. *Vasa* 1989;18(3):235-8.
- 11 Rehn D, Hennings G, Nocker W, Diebschlag W. Time course of the anti-oedematous effect of O-(betahydroxyethyl)-rutosides in healthy volunteers. *Eur J Clin Pharmacol* 1991;40(6):625-7.
12. Casley-Smith JR, Morgan RG, Piller NB. Treatment of lymphedema of the arms and legs with 5,6-benzo-+AFs-alpha+AF0--pyrone. *N Engl J Med* 1993;329(16):1158-63.
13. Te Slaa A, Mulder P, Dolmans D, Castenmiller P, Ho G, van der Laan L. Reliability and reproducibility of a clinical application of a simple technique for repeated circumferential leg measurements. *Phlebology* 2011;26(1):14-9.
14. Berard A, Kurz X, Zuccarelli F, Ducros JJ, Abenheim L. Reliability study of the Leg-O-Meter, an improved tape measure device, in patients with chronic venous insufficiency of the leg. VEINES Group.(Venous Insufficiency Epidemiologic and Economic Study). *Angiology* 1998;49(3):169-73.
15. Brodovicz KG, McNaughton K, Uemura N, Meininger G, Girman CJ, Yale SH. Reliability and feasibility of methods to quantitatively assess peripheral edema. *Clin Med Res* 2009;7(1-2):21-31.
16. Blume J, Langenbahn H, Champvallins M. Quantification of oedema using the volometer technique: therapeutic application of Daflon 500 mg in chronic venous insufficiency. *Phlebology* 1992;2(suppl):37-40.
17. Schmidt C. Opto-electronic volumetry: another method for quantification of edema. *J Mal Vasc* 1994;19(4):326-7.
18. Veraart JC, Neumann HAM. Leg volume measurements with a modified optoelectronic measurement system. *Phlebology* 1995;10:62-4.
19. Gniadecka M. Dermal oedema in lipodermatosclerosis: distribution, effects of posture and compressive therapy evaluated by high-frequency ultrasonography. *Acta Derm Venereol* 1995;75(2):120-4.
20. Falanga V, Bucalo B. Use of a durometer to assess skin hardness. *J Am Acad Dermatol* 1993;29(1):47-51.
21. Romanelli M, Falanga V. Use of a durometer to measure the degree of skin induration in lipodermatosclerosis. *J Am Acad Dermatol* 1995;32(2 Pt 1):188-91.



22. Dix FP, Brooke R, McCollum CN. Venous disease is associated with an impaired range of ankle movement. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2003;25(6):556-61.
23. Back TL, Padberg FT, Jr., Araki CT, Thompson PN, Hobson RW, 2nd. Limited range of motion is a significant factor in venous ulceration. *J Vasc Surg* 1995;22(5):519-23.
24. Nelzen O, Fransson I. True long-term healing and recurrence of venous leg ulcers following SEPS combined with superficial venous surgery: a prospective study. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2007;34(5):605-12.
25. Solomon C, Munro AR, Van Rij AM, Christie R. The use of video image analysis for the measurement of venous ulcers. *Br J Dermatol* 1995;133(4):565-70.
26. Gillman TH. Parameter for measurement of wound closure. *Wounds* 1990;3:95-101.
27. Martin M. Dynamic wound healing profile of venous ulcer cruris. *Vasa* 1994;23(3):228-33.
28. Ibbotson SH, Layton AM, Davies JA, Goodfield MJ. The effect of aspirin on haemostatic activity in the treatment of chronic venous leg ulceration. *Br J Dermatol* 1995;132(3):422-6.
29. Skene AI, Smith JM, Dore CJ, Charlett A, Lewis JD. Venous leg ulcers: a prognostic index to predict time to healing. *Br Med J* 1992;305(6862):1119-21.
30. Gorin DR, Cordts PR, LaMorte WW, Manzoian JO. The influence of wound geometry on the measurement of wound healing rates in clinical trials. *J Vasc Surg* 1996;23(3):524-8.
31. Teepe RG, Roseeuw DI, Hermans J, Koebrugge EJ, Altena T, de Coninck A et al. Randomized trial comparing cryopreserved cultured epidermal allografts with hydrocolloid dressings in healing chronic venous ulcers. *J Am Acad Dermatol* 1993;29(6):982-8.
32. Margolis DJ, Gross EA, Wood CR, Lazarus GS. Planimetric rate of healing in venous ulcers of the leg treated with pressure bandage and hydrocolloid dressing. *J Am Acad Dermatol* 1993;28(3):418-21.
33. Zamboni P, Cisno C, Marchetti F, Mazza P, Fogato L, Carandina S et al. Minimally invasive surgical management of primary venous ulcers vs. compression treatment: a randomized clinical trial. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2003;25(4):313-8.



34. Barwell JR, Davies CE, Deacon J, Harvey K, Minor J, Sassano A et al. Comparison of surgery and compression with compression alone in chronic venous ulceration (ESCHAR study): randomised controlled trial. *Lancet* 2004;363(9424):1854-9.
35. Laurent R, Gilly R, Frileux C. Clinical evaluation of a venotropic drug in man. Example of Daflon 500 mg. *Int Angiol* 1988;7(2 Suppl):39-43.
36. Garratt AM, Ruta DA, Abdalla MI, Buckingham JK, Russell IT. The SF36 health survey questionnaire: an outcome measure suitable for routine use within the NHS? *Br Med J* 1993;306(6890):1440-4.
37. Price P, Harding K. Quality of life. *Lancet* 1995;346(8972):445.
38. Brazier J, Roberts J, Tsuchiya A, Busschbach J. A comparison of the EQ-5D and SF-6D across seven patient groups. *Health Econ* 2004;13(9):873-84.
39. Franks PJ, Wright DD, Fletcher AE, Moffatt CJ, Stirling J, Bulpitt CJ et al. A questionnaire to assess risk factors, quality of life, and use of health resources in patients with venous disease. *Eur J Surg* 1992;158(3):149-55.
40. Launois R, Reboul-Marty J, Henry B. Construction and validation of a quality of life questionnaire in chronic lower limb venous insufficiency (CIVIQ). *Qual Life Res* 1996;5(6):539-54.
41. Nesbitt C, Wilson WR, Lees TA, Stansby G. Interpretation of patient-reported outcome measures for varicose vein surgery. *Phlebology* 2012;27(4):173-8.
42. Mackenzie RK, Lee AJ, Paisley A, Burns P, Allan PL, Ruckley CV et al. Patient, operative, and surgeon factors that influence the effect of superficial venous surgery on disease-specific quality of life. *J Vasc Surg* 2002;36(5):896-902.
43. Lamping DL, Schroter S, Kurz X, Kahn SR, Abenhaim L. Evaluation of outcomes in chronic venous disorders of the leg: development of a scientifically rigorous, patient-reported measure of symptoms and quality of life. *J Vasc Surg* 2003;37(2):410-9.
44. Rutherford RB, Padberg FT, Jr., Comerota AJ, Kistner RL, Meissner MH, Moneta GL. Venous severity scoring: An adjunct to venous outcome assessment. *J Vasc Surg* 2000;31(6):1307-12.



45. Kakkos SK, Rivera MA, Matsagas MI, Lazarides MK, Robless P, Belcaro G et al. Validation of the new venous severity scoring system in varicose vein surgery. *J Vasc Surg* 2003;38(2):224-8.
46. Meissner MH, Natiello C, Nicholls SC. Performance characteristics of the venous clinical severity score. *J Vasc Surg* 2002;36(5):889-95.
47. Vasquez MA, Rabe E, McLafferty RB, Shortell CK, Marston WA, Gillespie D et al. Revision of the venous clinical severity score: venous outcomes consensus statement: special communication of the American Venous Forum Ad Hoc Outcomes Working Group. *J Vasc Surg* 2010;52(5):1387-96.
48. Passman MA, McLafferty RB, Lentz MF, Nagre SB, Iafrati MD, Bohannon WT et al. Validation of Venous Clinical Severity Score (VCSS) with other venous severity assessment tools from the American Venous Forum, National Venous Screening Program. *J Vasc Surg* 2011;54(6 Suppl):2S-9S.
49. De Maeseneer M, Pichot O, Cavezzi A, Earnshaw J, van Rij A, Lurie E et al. Duplex ultrasound investigation of the veins of the lower limbs after treatment for varicose veins - UIP consensus document. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2011;42:89-102.

თავი 14

პოსტთრომბოტული სინდრომის პრევენცია

ღრმა ვენების თრომბოზის (DVT) კონვენციური ანტიკოაგულაციური მკურნალობისა (LMWH მინიმუმ 5 დღე, შემდეგ ვარფარინი), პაციენტთა 30-50 %, ანატომიური ლოკალიზაციიდან გამომდინარე, უვითარდებათ პოსტთრომბოტული სინდრომი (PTS)¹. PTS სიმპტომებია კიდურის გასიება, ტკივილი, სიმძიმის შეგრძნება, ქავილი, ვენური კოჭლობა, კანის ცვლილებები და წყლული², რაც ერთადერთი პროგნოზულად ყველაზე მნიშვნელოვანი კლინიკური ნიშანია. იგი შეიძლება გაჩნდეს 3 თვის შემდეგაც³. PTS არის ქრონიკული უნარშეზღუდულობის და მუშაობის შეუძლებლობის მნიშვნელოვანი მიზეზი, რასაც პაციენტისათვის და საზოგადოებისთვის საგრძნობი უარყოფითი შედეგები მოაქვს⁴⁻⁷. PTS არის ვენური ჰიპერტენზიის შედეგი, რომელიც ჩნდება მხოლოდ რეფლუქსის გამო (ვენური კედლის რემოდელირებით და/ან დაზიანებული სარქველებით გამოწვეული) ან რეფლუქსის და უკუდენის პერსისტირებადი ობსტრუქციის თანაარსებობისას⁸. ვენური ჰიპერტენზია ასოცირდება ქრონიკულ ანთებასთან, რომელიც არა მხოლოდ აზიანებს ვენის კედელს, არამედ იწვევს მიკროცირკულაციის დარღვევას, რის შედეგად ხდება კაპილარებიდან ინტენსიური ჟონვადობა და კანის კვების დარღვევა, შედეგად კი ვითარდება კანის დაწყლულება⁹.



PTS განვითარებასთან ასოცირდება შემდეგი ფაქტორები: ილიოფემორალური DVT^{4,5}, განსაკუთრებით თუ პერსისტირებს ქრონიკული ილიოფემორალური ვენური ობსტრუქცია^{10,11}; გაზრდილი BMI, ხანდაზმული ასაკი და მდებარეობითი სქესი^{5,12}; მორეციდივე DVT¹², რაც ხშირად ახდენს კოლატერალური ცირკულაციის ობსტრუქციას და ანტიკოაგულაციური მკურნალობა სუბთერაპიული დოზებით, რაც DVT რეციდივს უწყობს ხელს¹³. ახლახანს ნაჩვენები იქნა, რომ ანთებითი ბიომარკერების -II-6, ICAM-1 და CRP^{14,15} მომატება ასევე ასოცირდება DVT შემდეგ PTS სიხშირის მომატებასთან.

PTS-ის პრევენცია

პირველადი და რეციდიული DVT პრევენცია

DVT პრევენციამ უნდა შეამციროს PTS სიხშირე. არსებობს კავშირი PTS-სა და DVT რეციდივს შორის და პაციენტებს მორეციდივე DVT-ით აქვთ PTS უფრო მაღალი ინსიდენსი¹⁶. ერთსა და იმავე კიდურში მორეციდივე DVT იწვევს უფრო ხშირ და მძიმე PTS-ს. ბოლო დრომდე PTS ითვლებოდა მოგვიანებით გართულებად. თუმცა, უახლესი მონაცემები მოწმობენ, რომ PTS ვითარდება ადრე და სიმპტომების და ნიშნების არსებობა DVT -ს დაწყებიდან ერთ თვეში PTS -ის გამოხატული პრედიქტორია⁵. DVT მქონე პაციენტებში რეციდივის პრევენციამ უნდა შეამციროს PTS სიმძიმე და სიხშირე. პირველადი პრევენციის მტკიცებულებები და გაიდლაინები შეჯამებულია ერთობლივ საერთაშორისო დოკუმენტში ვენური თრომბოემბოლიის მართვისა და პრევენციის შესახებ და მოცემულია 3-12 თავებში, ხოლო მეორადი პრევენციისათვის კი 14,15,17 და 18¹⁷ თავებში. გამოქვეყნებულია გაიდლაინები რომელთა მიზანია PTS-ისა და ფეხის წყლულების 50%-ით შემცირება მომდევნო 10 წლის მანძილზე¹⁸.

კომპრესიული წინდები

ეფექტური კომპრესიული წინდები ამცირებენ ვენურ ჰიპერტენზიას, შეშუპებას და მინიმუმამდე დაჰყავთ მიკრიცირკულაციის დარღვევები^{19,20}. 745 პაციენტის მომცველმა ოთხმა RCT-მ აჩვენა, რომ პაციენტებში პროქსიმალური (მუხლის ზემოთ)

DVT -ით, მუხლამდე კომპრესიული წინდების ხმარება 2 წლის მანძილზე ამცირებს PTS ინსიდენსს 39%-დან 19% -მდე (RR 0.49; 95% CI 0.38- 0.62)²¹⁻²⁴. ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მუხლამდე და ბარძაყამდე სიგრძის კომპრესიულ წინდებს შორის განსხვავება არ არის²⁵. როგორც ჩანს, მკურნალობა LMWH-ით ადრეულ გააქტიურებასთან (სიარულთან) და ელასტიურ კომპრესიასთან კომბინაციაში ახდენს PTS -ის განვითარების პრევენციას^{26,27}.

თრომბის ადრეული ევაკუაცია

თრომბექტომიის პოპულარიზაცია მოხდა 30 წლის წინ. ადრეული ქირურგიული თრომბექტომია ილიო-ფემორალური DVT მქონე პაციენტთა მცირერიცხოვან სერიებში ასოცირებული იყო თემოს ვენის გამავლობის გაზრდასთან იზოლირებულ სტანდარტულ ანტიკოაგულაციურ მკურნალობასთან შედარებით (67%-დან 34%) (RR გამავლობისათვის 1.92; 95% CI 1.06 - 3.51). ასევე შემცირებული იყო PTS ინსიდენსი 93%-დან თრომბექტომიის



გარეშე, 58% -მდე თრომბოციტომიის ჩატარების შემთხვევაში (RR 0.63; 95% CI 0.44 - 0.90)^{28,29}. უახლესმა კვლევამ აჩვენა, რომ ილიო-ფემორალური DVT დროს ვენური თრომბოციტომია, წვივის ჩართვის დროსაც კი შემთხვევათა 63%-ში, აღწევს მისაღებ შედეგებს გამავლობის თვალსაზრისით და საშუალოდ 5 წლიანი დაკვირვების პერიოდში PTS განვითარების მხრივ. ეს პროცედურა კომბინირებული იყო პერიოპერაციულ თემოს ვენის ობსტრუქციის სტენტირებასთან (რაც სხვების მიერ არ გაკეთებულა) და AV ფისტულასთან³⁰. კათეტერით მართული თრომბოლიზისი (CDT) ობსერვაციული კოჰორტული კვლევების და შედარებითი არარანდომიზებული კვლევების მონაცემებით ასოცირდებოდა ვენის გამავლობის მომატებასთან, სარქველების უკეთ შენარჩუნებასთან და PTS-ის ინსიდენსის შემცირებასთან კონვენციურ ანტიკოაგულაციურ მკურნალობასთან შედარებით³¹⁻³⁴. ილიო-ფემორალური DVT მქონე 138 პაციენტის მონაწილეობით ორ RCT-ში მოხდა CDT შედარება სტანდარტულ ანტიკოაგულაციურ მკურნალობასთან^{35,36}. ექვსი თვის შემდეგ გამავლობის ხარისხი იყო 70% CDT ჯგუფში და 33% სტანდარტული ანტიკოაგულაციური თერაპიის ჯგუფში (RR 0.48; 95% CI 0.33 - 0.70). მეორე, უფრო ახალმა RCT-მ გააგრძელა პაციენტთა ჩართვა 209 პაციენტამდე და გამოაქვეყნა 189 პაციენტის ილიო-ფემორალური გამავლობის და PTS მონაცემები³⁷. 6 თვის შემდეგ ილიოფემორალური გამავლობა იყო 64% CDT ჯგუფში და 47% კონვენციური მკურნალობის ჯგუფში (RR გამავლობისათვის 1.42; 95% CI 1.09 - 1.85). 24 თვის შემდეგ PTS აღენიშნათ პაციენტთა 41% CDT ჯგუფში და 56% სტანდარტული ანტიკოაგულაციური მკურნალობის ჯგუფში (RR 0.74; 95% CI 0.55 - 1.00; P=0.047). კლინიკურად მნიშვნელოვანი სისხლდენის ეპიზოდი აღენიშნა პაციენტთა 9%-ს. საჭიროა მეტი RCT, სადაც პირველადი საბოლოო წერტილი (ენდპოინტი) იქნება PTS, რათა შეფასდეს CDT ეფექტურობა და უსაფრთხოება. NIH-ის მიერ დასპონსორებული კვლევის ATTRACT (NCT00790335) და დანიური კვლევის CAVA (NCT00970619) შედეგები მომავალში გამოქვეყნდება.

ქრონიკული პოსტთრომბოზული ილიო-ფემორალური ობსტრუქციის შემსუბუქება

პროსპექტულმა ობსერვაციულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პერკუტანეულმა ენდოვასკულურმა ვენოპლასტიკამ და სტენტირებამ ქრონიკული ვენური ობსტრუქციის კორექციისათვის, შეიძლება შეამსუბუქონ PTS-ის სიმპტომები³⁸. ენდოვასკულური ვენოპლასტიკისა და სტენტირების ეფექტურობის დასადასტურებლად სიმპტომების, დაწყულულების და რეციდივის პრევენციისათვის საჭიროა დამატებით RCT -ის ჩატარება. ყველაზე დიდ გამოქვეყნებულ სერიაში, რომელშიც შედიოდა 982 დაზიანება¹¹, 72 თვის შემდეგ, პირველადი და მეორადი კუმულაციური გამავლობის ხარისხი იყო შესაბამისად 79%, 100%, და 100% არათრომბოზული დაავადებისას, ხოლო 57%, 80%, და 86% პოსტთრომბოზული დაავადების დროს. ფეხის ძლიერი ტკივილის (ვიზუალურ ანალოგური შკალით >5) და ფეხის შეშუპების (ხარისხი 3) სიხშირე შემცირდა, შესაბამისად 54% და 44% -დან სტენტის ჩადგამდე - 11% და 18% -მდე სტენტის ჩადგმის შემდეგ. 5 წლის შემდეგ კუმულაციური ხარისხი ტკივილის და



შესიების სრული გაქრობისა იყო, შესაბამისად 62% და 32%, ხოლო წყლულის შეხორცების კი 58%. QOL-ის საშუალო CIVIQ მაჩვენებლები ყველა კატეგორიაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საჭიროა ჩატარდეს RCT-ი წინასწარი ენდოვასკულური ვენოპლასტიკისა და სტენტირების ეფექტურობის განსასაზღვრად პაციენტებში ქრონიკული პოსტთრომბოზული ილიო-ფემორალური ობსტრუქციით.

ხანგრძლივი ანტიკოაგულაციური მკურნალობა LMWH-ით

DVT-ის სტანდარტული მკურნალობა (ინიციალური LMWH 5 დღის მანძილზე მაინც, ხოლო შემდეგ VKA) ახდენს თრომბის ზრდისა და ემბოლიზაციის პრევენციას, მაგრამ არ იწვევს თრომბის ლიზისს, რასაც ხშირად მიეყვართ ნაწილობრივ რეკანალიზაციამდე. რამოდენიმე კვლევაში მოხდა LMWH -ით ხანგრძლივი მკურნალობისა და სტანდარტული მკურნალობის შედარება³⁹⁻⁴⁴ და ნაჩვენებია იქნა, რომ LMWH -ით ხანგრძლივი მკურნალობის ჯგუფებში მოხდა უკეთესი რეკანალიზაცია. 5 კვლევის მეტანალიზმა დააფიქსირა სრული რეკანალიზაცია და ფარდობითი რისკი 0.66 (95% CI 0.57 - 0.77; $P < 0.0001$) ხანგრძლივი LMWH მკურნალობის სასარგებლოდ⁴⁵. დიდ, მულტიცენტრულ კვლევაში, რომელშიც მონაწილეობდა 480 პაციენტი, აღინიშნა PTS სიხშირის (ინსიდენსის) უფრო მეტად შემცირება LMWH -ით ხანგრძლივი მკურნალობისას, ვიდრე სტანდარტული მკურნალობისას (RR 0.77; $P=0.001$)⁴⁶. საერთო ანალიზმა 2 კვლევისა, რომლებმაც დააფიქსირეს რომ ფეხის წყლულის განვითარება იყო PTS ნაწილი^{46,47}, აჩვენა, რომ ვენური წყლულების გაჩენის რისკი LMWH -ით ხანგრძლივი მკურნალობისას სტანდარტული მკურნალობის ნაცვლად, მცირდება 87%-ით ($P= 0.019$) [45]. ჯამში, DVT (და შესაბამისად PTS) პირველადი პრევენციის ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში გაიდლაინების დაცვა¹⁷ აუცილებელია. კომპრესიულ მკურნალობასა და ადრეულ გააქტიურებასთან (სიარულთან) ერთად რეკომენდებულია ადექვატური ინტენსივობის და ხანგრძლივობის ანტიკოაგულაციური მკურნალობა, თრომბის ადრეული ევაკუაცია CDT-ით შეიძლება გამოყენებული იქნას სპეციალიზებულ ცენტრებში შერჩეულ პაციენტებში DVT -ით. ქირურგიული თრომბექტომია შეიძლება ჩატარდეს თუ თრომბოლიზისი უკუნაჩვენებია ან მისი ჩატარება შესაძლებელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციური ანტიკოაგულაციური მკურნალობა (LMWH-ით 5 დღის მანძილზე მაინც, ხოლო შემდეგ VKA) ეფუძნება მაღალი დონის მტკიცებულებას VTE რეციდივის პრევენციის თვალსაზრისით, პაციენტებში პროქსიმალური DVT -ით, PTS -ის პრევენციისათვის უპირატესობა ენიჭება პროლონგირებულ მკურნალობას LMWH-ით. პაციენტებში პროქსიმალური DVT-ით, რეკომენდებულია 2 წლის მანძილზე მაინც სათანადო ანტიკოაგულაციის პარალელურად მუხლამდე გადაუირებული კომპრესიული წინდების ხმარება.

References



1. Prandoni P, Villalta S, Bagatella P, Rossi L, Marchiori A, Piccioli A et al. The clinical course of deep-vein thrombosis. Prospective long-term follow-up of 528 symptomatic patients. *Haematologica* 1997;82(4):423-8.
2. Kahn SR, Ginsberg JS. Relationship between deep venous thrombosis and the postthrombotic syndrome. *Arch Intern Med* 2004;164(1):17-26.
3. Rodger MA, Kahn SR, Le Gal G, Solymoss S, Chagnon I, Anderson DR et al. Inter-observer reliability of measures to assess the post-thrombotic syndrome. *Thromb Haemost* 2008;100(1):164-6.
4. Delis KT, Bountouroglou D, Mansfield AO. Venous claudication in iliofemoral thrombosis: long-term effects on venous hemodynamics, clinical status, and quality of life. *Ann Surg* 2004;239(1):118-26.
5. Kahn SR, Shrier I, Julian JA, Ducruet T, Arsenault L, Miron MJ et al. Determinants and time course of the postthrombotic syndrome after acute deep venous thrombosis. *Ann Intern Med* 2008;149(10):698-707.
6. O'Donnell TF, Jr., Burnand KG, Clemenson G, Thomas ML, Browse NL. Doppler examination vs clinical and phlebographic detection of the location of incompetent perforating veins: a prospective study. *Arch Surg* 1977;112(1k0):31-5.
7. Monreal M, Martorell A, Callejas JM, Valls R, Llamazares JF, Lafoz E et al. Venographic assessment of deep vein thrombosis and risk of developing post-thrombotic syndrome: a prospective study. *J Intern Med* 1993;233(3):233-8.
8. Shull KC, Nicolaidis AN, Fernandes e Fernandes J, Miles C, Horner J, Needham T et al. Significance of popliteal reflux in relation to ambulatory venous pressure and ulceration. *Arch Surg* 1979;114(11):1304-6.
9. Bergan JJ, Schmid-Schonbein GW, Smith PD, Nicolaidis AN, Boisseau MR, Eklof B. Chronic venous disease. *N Engl J Med* 2006;355(5):488-98.
10. Meissner MH, Eklof B, Smith PC, Dalsing MC, DePalma RG, Gloviczki P et al. Secondary chronic venous disorders. *J Vasc Surg* 2007;46 Suppl S:68S-83S.
11. Neglen P, Hollis KC, Olivier J, Raju S. Stenting of the venous outflow in chronic venous disease: long-term stent-related outcome, clinical, and hemodynamic result. *J Vasc Surg* 2007;46(5):979-990.



12. Kahn SR, Partsch H, Vedantham S, Prandoni P, Kearon C. Definition of post-thrombotic syndrome of the leg for use in clinical investigations: a recommendation for standardization. *J Thromb Haemost* 2009;7(5):879-83.
13. Van Dongen CJ, Prandoni P, Frulla M, Marchiori A, Prins MH, Hutten BA. Relation between quality of anticoagulant treatment and the development of the postthrombotic syndrome. *J Thromb Haemost* 2005;3(5):939-42.
14. Shbaklo H, Holcroft CA, Kahn SR. Levels of inflammatory markers and the development of the post-thrombotic syndrome. *Thromb Haemost* 2009;101(3):505-12.
15. Roumen-Klappe EM, Janssen MC, Van Rossum J, Holewijn S, Van Bokhoven MM, Kaasjager K et al. Inflammation in deep vein thrombosis and the development of post-thrombotic syndrome: a prospective study. *J Thromb Haemost* 2009;7(4):582-7.
16. Kahn SR. The post-thrombotic syndrome. *Hematology Am Soc Hematol Educ Program* 2010; 216-20.
17. Nicolaidis AN, Fareed J, Kakkar AK, Comerota AJ, Goldhaber SZ, Hull R et al. Prevention and treatment of venous thromboembolism. International Consensus Statement. Guidelines according to scientific evidence. *Int Angiol* 2013;32(2):111-260.
18. Henke P, Kistner B, Wakefield TW, Eklof B, Lurie F. Reducing venous stasis ulcers by fifty percent in 10 years: the next steps. *J Vasc Surg* 2010;52(5 Suppl):37S-38S.
19. Pierson S, Pierson D, Swallow R, Johnson G, Jr. Efficacy of graded elastic compression in the lower leg. *JAMA* 1983;249(2):242-3.
20. Musani MH, Matta F, Yaekoub AY, Liang J, Hull RD, Stein PD. Venous compression for prevention of postthrombotic syndrome: a meta-analysis. *Am J Med* 2010;123(8):735-40.
21. Prandoni P, Lensing AW, Prins MH, Frulla M, Marchiori A, Bernardi E et al. Below-knee elastic compression stockings to prevent the post-thrombotic syndrome: a randomized, controlled trial. *Ann Intern Med* 2004;141(4):249-56.
22. Ginsberg JS, Hirsh J, Julian J, Vander LaandeVries M, Magier D, MacKinnon B et al. Prevention and treatment of postphlebotic syndrome: results of a 3-part study. *Arch Intern Med* 2001;161(17):2105-9.



23. Brandjes DP, Buller HR, Heijboer H, Huisman MV, deRijk M, Jagt H et al. Randomised trial of effect of compression stockings in patients with symptomatic proximal-vein thrombosis. *Lancet* 1997;349(9054):759-62.
24. Aschwanden M, Jeanneret C, Koller MT, Thalhammer C, Bucher HC, Jaeger KA. Effect of prolonged treatment with compression stockings to prevent post-thrombotic sequelae: a randomized controlled trial. *J Vasc Surg* 2008;47(5):1015-21.
25. Prandoni P, Noventa F, Quintavalla R, Bova C, Cosmi B, Siragusa S et al. Thigh-length versus below-knee compression elastic stockings for prevention of the postthrombotic syndrome in patients with proximal-venous thrombosis: a randomized trial. *Blood* 2012;119(6):1561-5.
26. Partsch H, Blattler W. Compression and walking versus bed rest in the treatment of proximal deep venous thrombosis with low molecular weight heparin. *J Vasc Surg* 2000;32(5):861-9.
27. Partsch H, Kaulich M, Mayer W. Immediate mobilisation in acute vein thrombosis reduces post-thrombotic syndrome. *Int Angiol* 2004;23(3):206-12.
28. Plate G, Eklof B, Norgren L, Ohlin P, Dahlstrom JA. Venous thrombectomy for iliofemoral vein thrombosis--10-year results of a prospective randomised study. *Eur J Vasc Endovasc Surg* 1997;14(5):367-74.
29. Comerota AJ, Gale SS. Technique of contemporary iliofemoral and infrainguinal venous thrombectomy. *J Vasc Surg* 2006;43(1):185-91.
30. Lindow C, Mumme A, Ascitutto G, Strohmman B, Humemel T, Geier B. Long-term results after transfemoral venous thrombectomy for iliofemoral deep venous thrombosis. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2010;40(1):134-8.
31. AbuRahma AF, Robinson PA, Boland JP. Clinical, hemodynamic, and anatomic predictors of long-term outcome of lower extremity venovenous bypasses. *J Vasc Surg* 1991;14(5):635-44.
32. Comerota AJ. Catheter-directed thrombolysis for the treatment of acute iliofemoral deep venous thrombosis. *Phlebology* 2001;15:149-155.
33. Markevicius N, Apanavicius G, Skerbinskas S. Comparison between long term results of catheter directed thrombolysis and anticoagulation in the treatment of acute iliofemoral deep vein thrombosis. *Phlebology* 2004;19:148-9.



34. Broholm R, Sillesen H, Damsgaard MT, Jorgensen M, Just S, Jensen LP et al. Postthrombotic syndrome and quality of life in patients with iliofemoral venous thrombosis treated with catheter-directed thrombolysis. *J Vasc Surg* 2011;54(6 Suppl):18S-25S.
35. Elsharawy M, Elzayat E. Early results of thrombolysis vs anticoagulation in iliofemoral venous thrombosis. A randomised clinical trial. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2002;24(3):209-14.
36. Enden T, Klow NE, Sandvik L, Slagsvold CE, Ghanima W, Hafsahl G et al. catheter-directed thrombolysis vs. anticoagulant therapy alone in deep vein thrombosis: results of an open randomized, controlled trial reporting on short-term patency. *J Thromb Haemost* 2009;7(8):1268-75.
37. Enden T, Haig Y, Klow NE, Slagsvold CE, Sandvik L, Ghanima W et al. Long-term outcome after additional catheter-directed thrombolysis versus standard treatment for acute iliofemoral deep vein thrombosis (the CaVenT study): a randomised controlled trial. *Lancet* 2012;379(9810):31-8.
38. Neglen P, Raju S. Intravascular ultrasound scan evaluation of the obstructed vein. *J Vasc Surg* 2002;35(4):694-700.
39. Nazarian GK, Bjarnason H, Dietz CA, Jr., Bernadas CA, Hunter DW. Iliofemoral venous stenoses: effectiveness of treatment with metallic endovascular stents. *Radiology* 1996;200(1):193-9.
40. Romera A, Cairois MA, Vila-Coll R, Marti X, Colome E, Bonell A et al. A randomised open-label trial comparing long-term sub-cutaneous low-molecular-weight heparin compared with oral-anticoagulant therapy in the treatment of deep venous thrombosis. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2009;37(3):349-56.
41. Daskalopoulos ME, Daskalopoulou SS, Liapis CD. Tinzaparin in long-term treatment of deep venous thrombosis. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2007;34(3):353-4.
42. Gonzalez-Fajardo JA, Arriba E, Castrodeza J, Perez JL, Fernandez L, Agundez I et al. Venographic comparison of subcutaneous low-molecular weight heparin with oral anticoagulant therapy in the long-term treatment of deep venous thrombosis. *J Vasc Surg* 1999;30(2):283-92.
43. Lopez-Beret P, Orgaz A, Fontcuberta J, Doblaz M, Martinez A, Lozano G et al. Low molecular weight heparin versus oral anticoagulants in the long-term treatment of deep venous thrombosis. *J Vasc Surg* 2001;33(1):77-90.



44. Kakkar VV, Gebaska M, Kadziola Z, Saba N, Carrasco P. Low-molecular-weight heparin in the acute and long-term treatment of deep vein thrombosis. *Thromb Haemost* 2003;89(4):674-80.
45. Hull RD, Liang J, Townshend G. Long-term low-molecular-weight heparin and the post-thrombotic syndrome: a systematic review. *Am J Med* 2011;124(8):756-65.
46. Hull RD, Pineo GF, Brant R, Liang J, Cook R, Solymoss S et al. Home therapy of venous thrombosis with long-term LMWH versus usual care: patient satisfaction and post-thrombotic syndrome. *Am J Med* 2009;122(8):762-769 e3.
47. Daskalopoulos ME, Daskalopoulou SS, Tzortzis E, Sfiridis P, Nikolaou A, Dimitroulis D et al. Long-term treatment of deep venous thrombosis with a low molecular weight heparin (tinzaparin): a prospective randomized trial. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2005;29(6):638-50.

თავი 15

სიმპტომების მქონე პირების მართვა, რომელთაც არ აქვთ კლინიკური ნიშნები და პათოფიზიოლოგიური დარღვევები

პაციენტები, რომლებიც უჩივიან "ვენურ" სიმპტომებს, მაგრამ არ აქვთ არანაირი კლინიკური ნიშანი, ანატომიური ანომალია ან ფიზიოლოგიური დარღვევა, და შეიძლება იდენტიფიცირებული იქნან დამატებითი კვლევებით, გათვალისწინებული არიან CEAP კლასიფიკაციაში და მიეკუთვნებიან C0S, En, An, Pn კლასს. ასეთი პაციენტები ექიმის პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია. დეტექციის ახალმა, საერთაშორისო პროგრამამ (Vein Consult Program) აჩვენა, რომ დასკრინინგებული 91,545 ზრდასრული ადამიანიდან თითქმის 20%-ს ქონდა CEAP ხარისხი C0s¹. სიმპტომების არავენური მიზეზების გამოსარიცხად დეტალური გასინჯვის შემდეგ, უნდა მოხდეს ვარიკოზული ვენების ან ვენების სხვა პათოლოგიური მდგომარეობის არსებობის დადასტურება არაინვაზიური ტექნიკის ან, თუ საჭიროა, ინვაზიური მეთოდების გამოყენებითაც კი მძიმე სიმპტომების შემთხვევაში (III დონის გამოკვლევა)². მკურნალობისათვის არსებობს რამოდენიმე შესაძლებლობა, თუმცა არცერთი მათგანი არ არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული გარდა ვენოაქტიური პრეპარატებისა და კომპრესიისა.

პაციენტთა გამხსნევა

ეს მეთოდი ეხმარება ბევრ პაციენტს, განსაკუთრებით მათ, ვისაც ვარიკოზული ვენების ან ფეხის წყლულების ოჯახური ანამნეზი აქვთ და რომლებსაც ეშინიათ, რომ მათაც განუვითარდებათ აღნიშნული პრობლემები.



მიუხედავად ამისა, პაციენტთა გამხნეების მნიშვნელობა არ ყოფილა გამოკვლეული. ცხოვრების ხარისხის (QoL) კვლევებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ამ საკითხზე ჩვენი ცოდნა.

ცხოვრების წესის ადაპტირება

ფლებოლოგთა უმრავლესობის გამოცდილებით ბევრი სიმპტომი შესაძლებელია შემცირდეს თუ პაციენტი შეიცვლის ცხოვრების წესს. ამაში იგულისხმება სამუშაო პირობების გაუმჯობესება, უძრავად დგომის აუცილებლობისას "-ქუსლიდან -წვერზე" მოძრაობების გაკეთება, რეკრეაციული აქტივობების განხორციელება, როგორცაა მანქანით მგზავრობის ნაცვლად სიარული და ცურვა, ფეხების მაღლა აწევა შესვენებისას ან ღამით და, როდესაც ეს საჭიროა, წონაში დაკლება. თუმცა, ამ ღონისძიებების მნიშვნელობა კვლევებით დადგენილი არ არის.

პერორალური ვენოაქტიური პრეპარატები

მათი ეფექტი C0s კლასის სიმპტომებზე დადასტურებულია (იხ. თავი 8).

ტოპიკური (ადგილობრივი მოხმარების) ვენოაქტიური პრეპარატები და

ტოპიკური ჰეპარინოიდები

ამ წამლებმა შეიძლება შეამსუბუქონ ზოგიერთი ჩივილი ან შეშუპება. შესაძლოა ეს ჟელებების გამაგრებელი ეფექტის შედეგია.

კომპრესიული მკურნალობა

C0S დროს შესწავლილია კომპრესიული თერაპიის - სპეციალური წინდების ეფექტურობა. სან დიეგოს კონფერენციაზე ნაჩვენები იქნა, რომ 3 კვლევის შედეგები უზრუნველყოფენ B ხარისხის რეკომენდაციას³. სხვა კვლევამ აჩვენა, რომ "წვივზე კომპრესიულმა წინდებმა 11-დან 21 mmHg -მდე ზეწოლის წნევით, შეამცირეს ან სრულად აღმოფხვრეს საღამოს შეშუპება. ამიტომ, მათი ხმარება შეიძლება რეკომენდებული იყოს ადამიანებისათვის, რომელთა პროფესია დაკავშირებულია ხანგრძლივად ფეხზე დგომასა ან ჯდომასთან"^{4,5}. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია მსუბუქი კომპრესიის დანიშვნა C0S დროს, თუმცა მისი ეფექტურობის დამატებითი დადასტურება საჭირო.

References



1. Rabe E, Guex JJ, Puskas A, Scuderi A, Fernandez Que- sada F. Epidemiology of chronic venous disorders in geographically diverse populations: results from the Vein Consult Program. *Int Angiol* 2012;31(2):105-15.
2. Eklof B, Rutherford RB, Bergan JJ, Carpentier PH, Gloviczki P, Kistner RL et al. Revision of the CEAP classification for chronic venous disorders: consensus statement. *J Vasc Surg* 2004;40(6):1248-52.
3. Partsch H, Clark M, Bassez S, Benigni JP, Becker F, Blazek V et al. Measurement of lower leg compression in vivo: recommendations for the performance of measurements of interface pressure and stiffness: consensus statement. *Dermatol Surg* 2006;32(2):224-32; discussion 233.
4. Partsch H, Winiger J, Lun B. Compression stockings reduce occupational leg swelling. *Dermatol Surg* 2004;30(5):737-43; discussion 743.
5. Raju S, Hollis K, Neglen P. Use of compression stockings in chronic venous disease: patient compliance and efficacy. *Ann Vasc Surg* 2007;21(6):790-5.

თავი 16

ვარიკოზული ვენების მქონე პაციენტთა მართვა

არაინტერვენციული მკურნალობა

ვარიკოზული ვენების მქონე პაციენტებში სიმპტომების შემსუბუქებისა და ვენური შეშუპების გასაუმჯობესებლად ვენოაქტიური პრეპარატების ეფექტურობა დადასტურებულია. ასევე შეიძლება ეფექტური იყოს კომპრესიული მკურნალობა (იხ. თავი 7 და 8).

არაინტერვენციული მკურნალობა, ჩვეულებრივ, ძირითადი მეთოდია დასაწყისში, მანამ სანამ სრული გამოკვლევა და ინტერვენცია ჩატარდება და ასევე იმ პაციენტებისათვის, რომლებსაც არ სურთ ინტერვენციული მკურნალობა.

ეს ბოლო ჯგუფი შეიძლება შეიცავდეს პაციენტებს გარდამავალი სიმპტომებით, პაციენტებს მინიმალურად გამოხატული სიმპტომებით, რომლებიც არ არის იმდენად მძიმე, რომ ინტერვენციული მკურნალობა მოითხოვოს. ასევე პაციენტებს ბუნდოვანი ან არატიპური სიმპტომებით, რომლებიც ელიან გამოკვლევებს, რომელიც მათ



სიმპტომებს რაიმე სხვა ახსნას მოუძებნის. ვენოაქტიური პრეპარატები ნაჩვენებია პაციენტებისათვის ზემოთ ნაჩვენები მახასიათებლებით, რომლებიც ვერ იტანენ კომპრესიას. მათ შორის არიან პაციენტები ქავილის სიმპტომით, რომელიც ძლიერდება კომპრესიული წინდების ჩაცმისას და ასევე ცხელ კლიმატურ პირობებში მცხოვრები პირები, რომლებსაც უჭირთ წინდების ხმარება, განსაკუთრებით წლის თბილ პერიოდში.

ინტერვენციული მკურნალობა

ვარიკოზულ ვენებზე ინტერვენცია, ქირურგიული, ენდოვენური (რადიოსიხშირული, ლაზერული) ტექნიკები¹⁻⁴ და სკლეროთერაპია⁵ მიმართულია რეფლუქსის ელიმინაციის, ვენური ჰემოდინამიკის ნორმალიზაციის და ხილული ვარიკოზის მოცილებისკენ, იმ მიზნით, რომ მოხდეს სიმპტომების შემსუბუქება, რეციდივის პრევენცია და CVD გართულებების მინიმიზაცია (იხ. თავი 10). პრაქტიკაში ეს განაპირობებს აქსიალური რეფლუქსის^{6,7} და ვარიკოზული კლასტერების ელიმინაციას. პირველი მიიღწევა ქირურგიული ოპერაციით, ენდოვენური მეთოდებით ან ქაფით სკლეროთერაპიის მეშვეობით, ხოლო მეორე ქირურგიული ოპერაციით ან სკლეროთერაპიით.

ვარიკოზულ ვენებს სულ უფრო მეტად მკურნალობენ ქირურგიის მინიმალურად ინვაზიური ალტერნატიული მეთოდებით იმის გამო, რომ ამ მეთოდებმა შეამცირონ უნარშეზღუდულობა, შეამოკლონ ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა და დააჩქარონ ნორმალური აქტივობის აღდგენა. ასევე არსებობს ძლიერი მტკიცებულება იმისა, რომ ახალი ტექნიკები შეამცირებენ ნეოვასკულარიზაციით გამოწვეულ რეციდივებს⁸⁻¹³, თუმცა ჯერჯერობით არსებული RCT -ს მონაცემებით ვარიკოზული ვენების რეციდივების საერთო დონე ერთნაირია 5 წლიანი დაკვირვების პერიოდში (იხ. თავი 10). ქირურგიული ოპერაციით ნამკურნალევ ჯგუფებში უფრო მეტია ნეოვასკულარიზაცია, ხოლო მეტი SFJ და შენაკადების რეციდივი გვხვდება ლაზერის ჯგუფებში. ძალიან მნიშვნელოვანია პასუხი გაცეცხე შეკითხვას არის თუ არა ეს სხვადასხვაგვარი გამოვლინებები ერთნაირი კლინიკური სიმძიმის^{14,15}. იერარქია და შედარებითი ჩვენებები ზემოთ ხსენებული ინტერვენციული მკურნალობის ხერხებისათვის განისაზღვრება იმის მიხედვით, არის თუ არა საჩინო ვენაში რეფლუქსი და/ან ვარიკოზული ვენები, ხელმისაწვდომია თუ არა კონკრეტული მეთოდები, როგორია ლოკალური გამოცდილება და პაციენტის სურვილი.

1. საჩინო რეფლუქსის შემთხვევაში, მისი ელიმინაცია არის საწყისი ნაბიჯი. ამისათვის მეტად სასურველია სანათურშიდა მეთოდების გამოყენება, რასაც მოსდევს ქირურგიული ოპერაცია. გამონაკლისია არასრული ლიგაციით გამოწვეული ვარიკოზული ვენების რეციდივი, სადაც ქირურგიასთან შედარებით უპირატესობა სკლეროთერაპიას ენიჭება, პირველის პოტენციური სახიფათოობის გამო.

2. თანაარსებული ვარიკოზული ვენები შესაძლოა ავულსიით მოშორდეს საჩინო ვენაზე ჩარევისას, თუ იგი ტარდება ან მეორე სტადიაზეც კი თუ ჩატარდა სანათურშიდა აბლაცია. ზოგიერთი ქირურგი ვარიკოზული ვენების ავულსიას



ამჯობინებს სკლეროთერაპიას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საჩინო ღეროს ოპერაციული ან სანათურშიდა მკურნალობისას, ან უფრო მოგვიანებით ეტაპებზე. პაციენტს უნდა აეხსნას, რომ სკლეროთერაპიასთან დაკავშირებულია უფრო ხშირი რეციდივები, რომლებიც საჭიროებენ ხელახალ ინტერვენციას. ეს მართებულია ასევე ძირითადი საჩინო ღეროების სკლეროთერაპიისათვის.

3. იზოლირებული ვარიკოზული ვენების შემთხვევაში (ანუ არ არის საჩინო ვენის არაკომპეტენტურობა, რაც ხშირად ჩნდება პირველადი ვარიკოზული ვენების შემთხვევაში, მორეციდივე ვარიკოზული ვენები. ასევე არ არის ღეროს არაკომპეტენტურობა პაციენტის გასინჯვის დროისათვის, და არც არასაჩინო წარმოშობის ვარიკოზული ვენები) გამოიყენება ავულსია ან სკლეროთერაპია. მიუხედავად იმისა, რომ სკლეროთერაპია მეორე რიგის არჩევის მეთოდია, იგი ხშირად პირველადი არჩევანია მორეციდივე ვარიკოზული ვენების დროს. დამატებითი პარამეტრები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ, მოიცავენ თითოეული მეთოდის პოტენციურ უკუჩვენებებს, რაც განხილული უნდა იყოს პაციენტთან ერთად, სკლეროთერაპიის შემდგომი კანის პიგმენტაციის ჩათვლით, რაც უფრო პრობლემატურია ღია ფერის კანის მქონე პაციენტებში.

References

1. Merchant RF, DePalma RG, Kabnick LS. Endovascular obliteration of saphenous reflux: a multicenter study. *J Vasc Surg* 2002;35(6):1190-6.
2. Weiss RA, Weiss MA. Controlled radiofrequency endo- venous occlusion using a unique radiofrequency catheter under duplex guidance to eliminate saphenous varicose vein reflux: a 2-year follow-up. *Dermatol Surg* 2002;28(1):38-42.
3. Min RJ, Khilnani N, Zimmet SE. Endovenous laser treatment of saphenous vein reflux: long-term results. *J Vasc Interv Radiol* 2003;14(8):991-6.
4. Goldman MP, Mauricio M, Rao J. Intravascular 1320-nm laser closure of the great saphenous vein: a 6- to 12-month follow-up study. *Dermatol Surg* 2004;30(11):1380-5.
5. Cabrera J, Cabrera JJ, Garcia-Olmedo MA. Sclerosants in microfoam. A new approach in Angiology. *Phlebology* 2000;15:19-23.



6. Dwerryhouse S, Davies B, Harradine K, Earnshaw JJ. Stripping the long saphenous vein reduces the rate of reoperation for recurrent varicose veins: five-year results of a randomized trial. *J Vasc Surg* 1999;29(4):589-92.
7. Winterborn RJ, Foy C, Earnshaw JJ. Causes of varicose vein recurrence: late results of a randomized controlled trial of stripping the long saphenous vein. *J Vasc Surg* 2004;40(4):634-9.
8. Lurie F, Creton D, Eklof B, Kabnick LS, Kistner RL, Pichot O et al. Prospective randomised study of endovenous radiofrequency obliteration (closure) versus ligation and vein stripping (EVOLVEs): two-year follow-up. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2005;29(1):67-73.
9. Rautio TT, Perala JM, Wiik HT, Juvonen TS, Haukipuro KA. Endovenous obliteration with radiofrequency-resistive heating for greater saphenous vein insufficiency: a feasibility study. *J Vasc Interv Radiol* 2002;13(6):569-75.
10. Pichot O, Kabnick LS, Creton D, Merchant RF, SchullerPetroviae S, Chandler JG. Duplex ultrasound scan findings two years after great saphenous vein radiofrequency endovenous obliteration. *J Vasc Surg* 2004;39(1):189-95.
11. Stucker M, Netz K, Breuckmann F, Altmeyer P, Mumme A. Histomorphologic classification of recurrent saphenofemoral reflux. *J Vasc Surg* 2004;39(4):816-21; discussion 822.
12. van Rij AM, Jiang P, Solomon C, Christie RA, Hill GB. Recurrence after varicose vein surgery: a prospective long-term clinical study with duplex ultrasound scanning and air plethysmography. *J Vasc Surg* 2003;38(5):935-43.
13. Nyamekye I, Shephard NA, Davies B, Heather BP, Earnshaw JJ. Clinicopathological evidence that neovascularisation is a cause of recurrent varicose veins. *Eur J Vasc Endovasc Surg* 1998;15(5):412-5.
14. Disselhoff BC, der Kinderen DJ, Kelder JC, Moll FL. Five-year results of a randomized clinical trial comparing endovenous laser ablation with cryostripping for great saphenous varicose veins. *Br J Surg* 2011;98(8):1107-11.
15. Rass K, Frings N, Glowacki P, Hamsch C, Graber S, Vogt T et al. Comparable effectiveness of endovenous laser ablation and high ligation with stripping of the great saphenous vein: two-year results of a randomized clinical trial (RELACS study). *Arch Dermatol* 2012;148(1):49-58.



თავი 17

პოსტრომობოტული სინდრომის მქონე პაციენტების მკურნალობა

პოსტრომობოტული სინდრომის (PTS) მქონე სხვადასხვა CEAP კლინიკური კლასის პაციენტებში მკურნალობის სხვადასხვა ხერხების შესადარებელი პროსპექტული რანდომიზებული კვლევები არ ჩატარებულა და ამიტომ, ძლიერი რეკომენდაციის გაკეთება შეუძლებელია.

PTS მქონე პაციენტების მკურნალობის ქვაკუთხედეა კომპრესია¹ (თავი7), თუმცა უცნობია როგორია კომპრესიის ოპტიმალური ხარისხი. პაციენტთა უმრავლესობაში მუხლამდე კომპრესია ისეთივე ეფექტურია, როგორც მუხლის ჩათვლით კომპრესია². გამოყენებული კომპრესიის ხარისხი ხშირად შეირჩევა ხოლმე CEAP ხარისხისა და პაციენტის ამტანობის მიხედვით და არა ეთიოლოგიის, ანატომიური დაზიანებისა და პათოფიზიოლოგიური დარღვევების მიხედვით. ამის მიზეზი მონაცემთა არარსებობაა. PTS -ის მძიმე კლასებში ანატომიური დაზიანება ხშირად შედგება ღრმა, ზედაპირული და პერფორანტული ვენების რეფლუქსისაგან, ზოგიერთ შემთხვევაში თანდართული ობსტრუქციით³, თუმცა ამ შაბლონებთან მიმართებაში კომპრესიის მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია. ასეთივე სიტუაციაა მედიკამენტებით, ფიზიოთერაპიით და ჰიდროთერაპიით დამატებით მკურნალობასთან დაკავშირებით. ობსტრუქციის და რეფლუქსის შემსუბუქებისათვის (თავი 11 და 12) განკუთვნილი ქირურგიული და ენდოვასკულური მეთოდები დამიზნებულია სპეციფიურ ანატომიურ ადგილებზე. იმის გამო, რომ ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდების კომბინაცია ზედაპირული, პერფორანტული და ღრმა რეფლუქსისათვის, ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რომელია უფრო წარმატებული. ბევრ პაციენტს ზედაპირული ვენების უკმარისობასთან ერთად აქვს ღრმა ვენების უკმარისობაც. არსებობს ლიტერატურული მონაცემები, რომლებიც მოწმობს, რომ ზედაპირული ვენური რეფლუქსის მკურნალობა პაციენტებში, რომლებსაც აქვთ ზედაპირულ ვენურ უკმარისობასთან თანხლებული ღრმა ვენების უკმარისობაც (მაგრამ არა აქვთ ღრმა ვენების ობსტრუქცია), ხშირად აუმჯობესებს ღრმა რეფლუქსს^{4,5}. მიუხედავად იმისა, რომ ხანმოკლე კვლევებში მედიკამენტები წარმატებული აღმოჩნდა შეშუპების შესამცირებლად⁶⁻⁸ (თავი 8), კომპრესია მაინც რჩება ძირითად სამკურნალო მეთოდად C 3-6 კლასის პაციენტებში. პრაქტიკაში, კომპრესია ვარირებს მისი შემუპების კონტროლის ეფექტურობის თვალსაზრისით. პრაქტიკაში ინტერვენცია შეიძლება განიხილებოდეს თუ მკვეთრად გამოხატული შეშუპების კონტროლი კომპრესიული მკურნალობით ვერ ხერხდება საზარდულის იოგის ზედა ობსტრუქციის გამო. სამწუხაროდ, ჰემოდინამიკური დარღვევების სიმძიმის გაზომვა ძნელია. Neglen და Raju⁹ აზრით ინტრავასკულური ულტრაბგერა ყველაზე სარწმუნო გამოკვლევაა (თავი 6 და 12). არსებობს ფართო შეთანხმებული აზრი, რომ ილიო-კავალური ობსტრუქციის ან ოკლუზიის სამკურნალოდ შუნტირებასთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს ბალონურ ვენოპლასტიკას და სტენტირებას^{10,11} ვენური დაავადების ნებისმიერი სიმძიმის დროს. Raju და Neglen ხაზს უსვამენ CVD მქონე პაციენტებში თემოს ვენის არათრომბოზული ობსტრუქციის მაღალ სიხშირეს¹² და თემოს ვენის



ობსტრუქციის და რეფლუქსის მქონე პაციენტების მკურნალობას იწყებენ თემოს ვენის სტენტირებით. მათდა გასაკვირად, მათ აღმოაჩინეს, რომ თემოს ვენაში სტენტის ჩადგმა რეფლუქსის მკურნალობის გარეშე საკმარისი იყო სიმპტომების კონტროლისათვის იმ პაციენტთა უმრავლესობაში, რომლებსაც ქონდათ რეფლუქსისა და თემოს ვენის ობსტრუქციის კომბინაცია¹³.

თემოს ვენების ქრონიკულ ოკლუზიას და IVC ოკლუზიებს ამჟამად ჩვეულებრივ მკურნალობენ რეკანალიზაციით და სტენტის ჩადგმით. არსებობს ბევრი მონაცემი რომელიც ადასტურებს მაღალ ტექნიკურ წარმატებას და საშუალო და ხანგრძლივი დროით კლინიკური შედეგის არსებობას (თავი 12)¹⁴.

პაციენტებში მძიმე C4-6 CVD-ით, ასევე მიღებულია საბაზისო კონსერვატიული მკურნალობა. ქირურგიული ოპერაციის საკითხი დგება სრული გამოკვლევის შემდეგ, როდესაც კანის ან კანქვეშა ცვლილებების კონტროლი ვერ ხერხდება კომპრესიის საშუალებით.

თუ იდენტიფიცირებულია ობსტრუქცია საზარდულის იოგის პროქსიმალურად, უნდა დადგეს ანგიოპლასტიკისა და სტენტის საშუალებით რეკანალიზაციის საკითხი. არის მონაცემები საზარდულის იოგის ზემო ობსტრუქციის ენდოვლუბექტომიით მკურნალობის შესახებ¹⁵. როდესაც რეფლუქსი კომბინირებულია მძიმე ობსტრუქციასთან, პირველ რიგში უნდა მოხდეს ამ უკანასკნელის მკურნალობა. არ არსებობს PTS დროს არაკომპეტენტური პერფორანტული ვენების ქირურგიული მკურნალობის ეფექტურობის და საჭიროების შესახებ შეთანხმებული შეხედულება. იმის გამო, რომ არ ჩატარებულა რანდომიზებული კვლევა, რომელიც შეადარებდა პერფორანტული ვენების კომპრესიულ და ქირურგიულ მკურნალობას, დადებითი და უარყოფითი მხარეები კვლავ საკამათო რჩება. მიუხედავად ამისა, თუ საჭიროა ქირურგიული ოპერაცია, საერთო აზრით უპირატესობა უნდა მიენიჭოს SEPS -ს¹⁶. ულტრაბერით მართული ქაფით სკლეროთერაპია ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას PTS დროს ქვედა კიდურების არაკომპეტენტური პერტფორანტული ვენების სამკურნალოდ და იგი ითვლება საკმაოდ ეფექტურ მეთოდს¹⁷.

პერფორანტული ვენების რადიოსიხშირული და, განსაკუთრებით ლაზერული აბლაცია, გახდა მიღებული მიდგომა. მათ შეიძლება ჩაანაცვლონ პერფორანტული ვენების მკურნალობის სხვა მეთოდები იქ, სადაც ეს ტექნოლოგიურად შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ მათი ეფექტურობის მტკიცებულებები ისევ საკმაოდ სუსტია (იხ. თავი 10)¹⁸.

ღრმა ვენების რეკონსტრუქციული ოპერაციის ეფექტურობა რეფლუქსის სამკურნალოდ საკამათო რჩება (თავი 11). მათ შორის, ვინც მხარს უჭერს ამ მეთოდს, არსებობს შეთანხმება, რომ მოხდეს მხოლოდ იმ პაციენტების არჩევა, რომლებშიც კონსერვატიული მკურნალობით არ მოხდა წყლულის შეხორცება, ან პაციენტების რომელთაც აქვთ მორეციდივე წყლული და სხვა მძიმე სიმპტომები, უკუჩვენებების არარსებობის (არაეფექტური წვივის ტუმბო, კოაგულაციის მძიმე და არაკორექტირებადი პათოლოგია) პირობებში. რადგან ვალვულოპლასტიკა PTS დროს



ომვითად გამოდგება, რეკომენდებულია ან ილიის ვენის სარქველების შემცველი სეგმენტის გადანერგვა, ან ვენის ტრანსპოზიცია. Maleti და Lugli აღნიშნავენ, რომ PTS დროს ახალი სარქვლის შექმნას დამაიმედებელი შედეგები აქვს¹⁹. სხვადასხვა პროცედურებით მიღებული შედეგები განხილულია ღრმა ვენური ობსტრუქციისა და რეფლუქსისადმი მიძღვნილ თავებში. ყველა შემთხვევაში, ღრმა ვენური რეფლუქსის ან ობსტრუქციის დროს ქირურგიული ჩარევა უნდა მოხდეს სპეციალიზებულ ცენტრში და იგი უნდა ჩაატაროს მაღალკვალიფიციურმა სამედიცინო პერსონალმა.

ვარჯიშის პროგრამა მწვავე DVT მქონე პაციენტებში არ ზრდის ფილტვის ემბოლიზაციის რისკს და კლინიკურ გამოსავალზე უარყოფით გავლენას არ ახდენს. არსებული კვლევები აშკარად არ მიუთითებენ ვარჯიშის მკვეთრ დადებით შედეგებზე, მაგრამ არსებობს დანიშნული ვარჯიშის პირობებში გაუმჯობესების ტენდენციის მონაცემები²⁰. ENREF 20 უფრო ქრონიკული DVT დროს ვარჯიშის პროგრამა აუმჯობესებს განდევნის ფრაქციას და კუნთების ძალას, მაგრამ არ ზრდის სარქვლოვან რეფლუქსს, ვენური კლინიკური სიმძიმის ქულას და ცხოვრების ხარისხს. ამ საკითხის დასადგენად დამატებითი კვლევებია საჭირო²¹ (ცხრილი I) .

ცხრილი I.— ვენების ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტების მართვა CEAP კლასიფიკაციის მიხედვით.

C კლასი	A: S, D P*	P: R, O, O+R	კანჭის დღეში	მკურნალობა
C0-2 S	S	R O-ს გარეშე	ნორმალური	კონსერვატიული მკურნალობა: კომპრესია, ვენოტონური წამლები ზედაპირული რეფლუქსის მკურნალობა: სკლეროთერაპია ქირურგიული ოპერაცია
მსუბუქი C3 S, AD მძიმე C3 S	D საზარდულის ზედა მნიშვნელოვანი O	O	ნორმალური	კონსერვატიული მკურნალობა: კომპრესია, ვენოტონური წამლები კონსერვატიული მკურნალობის უეფექტობა: ბალონირება და სტენტირება
C 4-6	D საზარდულის ზედა მნიშვნელოვანი O	O	ნორმალური	კონსერვატიული მკურნალობა: კომპრესია, ვენოტონური წამლები კონსერვატიული მკურნალობის უეფექტობა:



				ბალონური ვენოპლასტიკა და სტენტირება
C 6 შეუხორცებელი წყლული მორეციდივე წყლული	D	R+O	ზოგჯერ ნორმალურ	კონსერვატიული მკურნალობა: კომპრესია, ვენოტონური წამლები (იხ. თავი 18) კონსერვატიული მკურნალობის უეფექტობა: ჯერ ობსტრუქციას უმკურნალებთ. სარქველის გადატანა
A = ანატომიური; P = პათოფიზიოლოგიური; S = ზედაპირული; D =ღრმა; P* = პერფორანტული ვენა; R = რეფლუქსი; O = ობსტრუქცია.				

References

1. Cullum N, Nelson EA, Fletcher AW, Sheldon TA. Compression for venous leg ulcers. Cochrane Database Syst Rev 2001(2):CD000265.
2. Blair SD, Wright DD, Backhouse CM, Riddle E, McCollum CN. Sustained compression and healing of chronic venous ulcers. Br Med J 1988;297(6657):1159-61.
3. Nelson EA, Iglesias CP, Cullum N, Torgerson DJ. Randomized clinical trial of four-layer and short-stretch compression bandages for venous leg ulcers (VenUS I). Br J Surg 2004;91(10):1292-9.
4. Partsch H, Damstra RJ, Tazelaar DJ, Schuller-Petrovic S, Velders AJ, de Rooij MJ et al. Multicentre, randomised controlled trial of four-layer bandaging versus short-stretch bandaging in the treatment of venous leg ulcers. Vasa 2001;30(2):108-13.
5. Franks PJ, Moody M, Moffatt CJ, Martin R, Blewett R, Seymour E et al. Randomized trial of cohesive short-stretch versus four-layer bandaging in the management of venous ulceration. Wound Repair Regen 2004;12(2):157-62.
6. Scriven JM, Hartshorne T, Thrush AJ, Bell PR, Naylor AR, London NJ. Role of saphenous vein surgery in the treatment of venous ulceration. Br J Surg 1998;85(6):781-4.



7. Barwell JR, Davies CE, Deacon J, Harvey K, Minor J, Sassano A et al. Comparison of surgery and compression with compression alone in chronic venous ulceration (ESCHAR study): randomised controlled trial. *Lancet* 2004;363(9424):1854-9.
8. Adam DJ, Bello M, Hartshorne T, London NJ. Role of superficial venous surgery in patients with combined superficial and segmental deep venous reflux. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2003;25(5):469-72.
9. Gohel MS, Barwell JR, Taylor M, Chant T, Foy C, Earnshaw JJ et al. Long term results of compression therapy alone versus compression plus surgery in chronic venous ulceration (ESCHAR): randomised controlled trial. *Br Med J* 2007;335(7610):83.
10. Nelzen O, Fransson I. True long-term healing and recurrence of venous leg ulcers following SEPS combined with superficial venous surgery: a prospective study. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2007;34(5):605-12.
11. Forssgren A, Nelzen O. Changes in the aetiological spectrum of leg ulcers after a broad-scale intervention in a defined geographical population in Sweden. *Eur J Vasc Endovasc Surg* 2012;44(5):498-503.
12. Jull A, Arroll B, Parag V, Waters J. Pentoxifylline for treating venous leg ulcers. *Cochrane Database Syst Rev* 2007(3):CD001733.
13. Smith PC. Daflon 500 mg and venous leg ulcer: new results from a meta-analysis. *Angiology* 2005;56 Suppl 1:S33-9.
14. Coccheri S, Scondotto G, Agnelli G, Aloisi D, Palazzini E, Zamboni V. Randomised, double blind, multicentre, placebo controlled study of sulodexide in the treatment of venous leg ulcers. *Thromb Haemost* 2002;87(6):947-52.
15. Scondotto G, Aloisi D, Ferrari P, Martini L. Treatment of venous leg ulcers with sulodexide. *Angiology* 1999;50(11):883-9.
16. Kucharzewski M, Franek A, Koziolok H. Treatment of venous leg ulcers with sulodexide. *Phlebologie* 2003;32:115-20.
17. Zou Y-X, Feng X, Jing Z-P. Efficacy and safety of sulodexide in the treatment of venous ulcers of leg. *Pharm Care Res (Yaoxue Fuwu Yu Yanjiu)* 2007;7:22-4.
18. Pekanmaki K, Kolari PJ, Kiistala U. Intermittent pneumatic compression treatment for post-thrombotic leg ulcers. *Clin Exp Dermatol* 1987;12(5):350-3.



19. Hazarika EZ, Wright DE. Chronic leg ulcers. The effect of pneumatic intermittent compression. Practitioner 1981;225(1352):189-92.
20. Dillon RS. Treatment of resistant venous stasis ulcers and dermatitis with the end-diastolic pneumatic compression boot. Angiology 1986;37(1):47-56.
21. Coleridge Smith P, Sarin S, Hasty J, Scurr JH. Sequential gradient pneumatic compression enhances venous ulcer healing: a randomized trial. Surgery 1990;108(5):871-5.
22. Nelson EA, Mani R, Thomas K, Vowden K. Intermittent pneumatic compression for treating venous leg ulcers. Cochrane Database Syst Rev 2011(2):CD001899.
23. Nikolovska S, Arsovski A, Damevska K, Gocev G, Pavlova L. Evaluation of two different intermittent pneumatic compression cycle settings in the healing of venous ulcers: a randomized trial. Med Sci Monit 2005;11(7):CR337-43.
24. Kalodiki E. Use of intermittent pneumatic compression in the treatment of venous ulcers. Future Medicine 2007;3(2):185-91.

თავი 18

ქვედა კიდურის წყლულების მკურნალობა

კომპრესიული მკურნალობა

ვენური ჰიპერტენზიის და ქსოვილთა შეშუპების მართვა კომპრესიული ნახვევით ხელს უწყობს ვენური წყლულების შეხორცებას. Cochrane-ს ანალიზმა აჩვენა, რომ კომპრესია ზრდის წყლულის შეხორცების ხარისხს კომპრესიის არარსებობასთან შედარებით¹. ამასთანავე, მაღალი დონის კომპრესია უფრო ეფექტურია, ვიდრე დაბალი დონის კომპრესია¹. ოთხფენიანი ნახვევი ქმნის 42.5 mmHg წნევას გოჯის დონეზე, რომელიც შესაძლოა შენარჩუნდეს ერთი კვირის მანძილზე. ოთხფენიანი ნახვევის ყოველკვირეული დადების შემდეგ ქრონიკული ვენური წყლულის მქონე 148 ფეხიდან 110-ზე მოხდა წყლულის შეხორცება 12 კვირაში². ოთხფენიანი ნახვევი ყველაზე ფართოდ გამოყენებული მეთოდია ბრიტანეთში, მაშინ როდესაც კონტინენტურ ევროპაში უპირატესობას ანიჭებენ მოკლე გაწელვის დოლბანდებს. რამოდენიმე რანდომიზებულმა კვლევამ შეადარა ერთმანეთს სხვადასხვა სისტემის ნახვევები. ზოგიერთმა აჩვენა, რომ წყლულის შეხორცებისათვის უფრო ეფექტურია ოთხფენიანი ნახვევი, ვიდრე



მოკლე გაწევის დოკუმენტები, ხოლო ზოგმა აჩვენა, რომ მათ შორის სხვაობა არ არის^{3,5}. ყველა ჩატარებული კვლევის ნაკლია ის, რომ არ ხდებოდა გოჯის დონეზე ნახვევით განვითარებული წნევის გაზომვა.

ზედაპირული ვენების ქირურგიული მკურნალობა

ზედაპირულ ვენებზე ქირურგიულმა ჩარევამ, კომპრესიის გარეშე, შეიძლება გამოიწვიოს ვენური წყლულის შეხორცება⁶. რანდომიზებულმა კონტროლირებულმა კვლევამ (ESCHAR) გაანაწილა პაციენტები იზოლირებული ზედაპირული ვენური რეფლუქსით და შერეული ზედაპირული და ღრმა რეფლუქსით მრავალფენიანი კომპრესიული ნახვევით მკურნალობის ჯგუფში (n=258) და კომპრესიითა და ზედაპირული აბლაციით კომბინირებული მკურნალობის ჯგუფში (n=242)⁷. მრავალშრიანმა კომპრესიულმა ნახვევმა 12 თვის შემდეგ შეამცირა რეციდივების დონე მეტად, ვიდრე მხოლოდ კომპრესიამ, მაგრამ არ მოახდინა გავლენა შეხორცების ხარისხზე. როდესაც ღრმა ვენური რეფლუქსი სეგმენტური და ლიმიტირებულია და ასოცირებულია ზედაპირულ ვენურ რეფლუქსთან და ფეხის წყლულებთან, ზედაპირული ვენების ქირურგიული ოპერაცია ამცირებს ღრმა ვენურ რეფლუქსს კიდურების 50%-ში, ხოლო 12 თვის შემდეგ ხდება ფეხის წყლულების 77%-ის შეხორცება⁸. ის, რომ ზედაპირული ვენების ოპერაცია ღრმა ვენის სეგმენტური არაკომპეტენტურობის მქონე პაციენტებში ეფექტურია, დადასტურებული იქნა ასევე კვლევაში ESCHAR. ამ კვლევაშიც აღინიშნა ოპერაციის უფრო მეტი სარგებლიანობა აქსიალური რეფლუქსის მქონე პაციენტებში⁹. ამ ჯგუფში წყლულის იშვიათი რეციდივი ნაჩვენებია იქნა ასევე შვედეთში ჩატარებულ პროსპექტულ კვლევებში პაციენტების მონაწილეობით, რომლებსაც ასევე ჩაუტარდათ SEPS¹⁰. დღესდღეობით არსებობს საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ ვენური წყლულების მქონე პაციენტებში წყლულის შეხორცების დალოდების გარეშე, მოხდეს ზედაპირული ვენური არაკომპეტენტურობის ადრეული ქირურგიული მკურნალობა, ეფექტურ კომპრესიულ მკურნალობასთან კომბინაციაში. შვედეთში ჩატარებულმა ჯვარედინმა კვლევამ აჩვენა, რომ ეს მიდგომა პოპულაციური თვალსაზრისით ცვლილების მომცემია, რადგან ვენური წყლულების გავრცელება (პრევალენსი) 14 წლიანი პერიოდის მანძილზე თითქმის ორჯერ შემცირდა¹¹.

არაკომპეტენტური პერფორატანტული და ღრმა ვენების ქირურგიული მკურნალობა

პერფორატული ვენების ლიგაცია (SEPS), ღრმა ვენების რეკონსტრუქცია და ბალონური დილატაცია სტენტირებით ან სტენტირების გარეშე განხილულია მე-12 თავში. აღნიშნული მეთოდები ნაჩვენებია პაციენტებისათვის,



რომლებსაც წყლული არ დაეხურათ კომპრესიული ან კომბინირებული კომპრესიული და ვენოაქტიური მედიკამენტური მკურნალობისას.

პერორალური მედიკამენტების და კომპრესიის კომბინაცია

რამოდენიმე კვლევაში შესწავლილი იქნა კომპრესიულ თერაპიასთან კომბინაციაში მედიკამენტური მკურნალობის ეფექტურობა. 659 პაციენტის მომცველი 7 RCT -ის მეტაანალიზმა აჩვენა, რომ 8-24 კვირის შემდეგ შეხორცების ხარისხი იზრდება 40%-დან კომპრესიის ჯგუფში 64%-მდე კომპრესია+პენტოქსიფილინის ჯგუფში (RRR 33%; 95% CI 25% - 45%; $P < 0.001$)¹². 616 პაციენტის მომცველი 5 RCT-ის მეტაანალიზმა აჩვენა, რომ 6 თვის მანძილზე წყლულები ხორცდებოდა უფრო სწრაფად, როდესაც ფლებოტონიური მიკრონიზებული გაწმენდილი ფლავონოიდური ფრაქცია კომბინირდებოდა ორფენიან კომპრესიასთან, მხოლოდ კომპრესიასთან შედარებით. RRR იყო 32% (95% CI 3% - 70%; $P = 0.03$). ამ სხვაობას ადგილი ქონდა მე-2 თვიდან და ასოცირებული იყო შეხორცებამდე გასულ უფრო მოკლე დროსთან (16 კვირა და 21 კვირა ; $P = 0.0034$)¹³. 488 პაციენტის მომცველი ოთხმა RCT-მ აჩვენა, რომ შეხორცების ხარისხი 2-3 თვის შემდეგ იყო უფრო მეტი კომპრესიასთან სულოდექსინის კომბინირებისას, ვიდრე მხოლოდ კომპრესიის შემთხვევაში. შეხორცების საერთო ხარისხი გაიზარდა 32%-დან კომპრესიის ჯგუფში 54%-მდე კომპრესია + სულოდექსიდის ჯგუფში (RRR 41%; 95% CI 27% - 52%; $P < 0.001$)¹⁴⁻¹⁷.